

II თავი. ისტორიული აზროვნების განვითარების მტაკმა

I თემა: ისტორიული აზროვნების განვითარების მტაკმა

§1. რას შეისწავლის ისტორიულავია.

მეცნიერები ტერმინს — „ისტორიოგრაფია“ ორი მნიშვნელობით იყენებს. ზოგადი მნიშვნელობით ისტორიოგრაფია არის იმ ისტორიულ თხზულებათა ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ ხალხს თვისი ისტორიის მანძილზე შეუქმნია.

მეორე, და დღეისათვის უფრო გავრცელებული, მნიშვნელობით კი:

წერო 1

„ის აღნიშვნას მეცნიერებას, რომელიც სწავლობს საისტორიო მწერლობას, მის ისტორიას, ისტორიული ცოდნის, აზროვნების, ისტორიული მეცნიერებების ისტორიას. რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნებოდა, ამ მეცნიერებისათვის ისტორიოგრაფიის ისტორია გვეწოდებინა, მაგრამ სიმოკლისათვის მის სახელწოდებად ისტორიოგრაფია დამკვიდრდა...“

ისტორიოგრაფიის შესწავლის საგანია საისტორიო მწერლობა, ისტორიული ცოდნისა და აზროვნების ძეგლები (ისტორიოგრაფიული ფაქტები)... ისინი გვაცნობენ ჩვენ არა მარტო იმას, თუ როდის, სად და რა მოვლენა მოხდა, არამედ იმასაც, თუ როგორ აფასებდნენ, რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი წინაპრები მათი დროის თუ წინარე ხანის მოვლენებს. რა პოზიციებიდან ამჟექებდნენ მათ ძეგლებში შეღვნდება მათი უტორუების მსოფლმხედველობა, მედასერია (ამა თუ იმ დასის მომხრეობა), ეროვნული და მრავალი სხვა ასპექტი. ისტორიოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორიის, ამიცანაა შეისწავლოს ისტორიკოსთა შქედულებები, დაახსიათოს მათი ნააზრევი, შეაფასოს მათი მნიშვნელობა ისტორიული აზროვნების, ისტორიული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით.“

შ. ხანთაძე.

წერო 2

„ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა თვით მისი საკუთარი ისტორიის შესწავლა. სწორედ ამ რთული და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება სპეციალური დისციპლინა — ისტორიული მეცნიერების ისტორია, ანუ ისტორიოგრაფია“.

პ. რატიანი.

წერო 3

„....ისტორიოგრაფიის დანიშნულებაა გაანალიზოს თუ როგორ სწავლობდნენ წარსულში ქვეყნის ისტორიას. მისი ამოცანაა შეხედულებათა აღწერა და ანალიზი, ისტორიკოსთა იდეებისა და კონცეფციების, ისტორიის მეთოდოლოგიის შესწავლა. ისტორიის მეთოდოლოგია ამუშავებს პრინციპებსა და მეთოდებს, თუ როგორ უნდა იქნეს მოპოვებული ცოდნა წარსულის შესახებ“.

ქ. ნადირაძე.

დავალება

1. წერო 1-ის, 2-სა და 3-ის მიხედვით, იმსჯელე ისტორიოგრაფიის კვლევის საგანზე.

2. ჩამოთვალე ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენენ ისტორიული თხზულების შინაარსზე და განმარტე, რაში შეიძლება გამოიხატოს ეს გავლენა; ახსენი ამ ფაქტორების გამოვლენისა და გაანალიზების მნიშვნელობა წარსულის შესწავლის პროცესში.

3. მოხმობილი წეროების საფუძველზე დაასაბუთე ისტორიკოს პროფესიი რატიანის დებულება, რომლის მიხედვითაც ისტორიოგრაფია ისტორიულ მეცნიერებათა ურთულეს დარგადა აღიარებული.

3. განმარტე განსხვავება ისტორიასა და ისტორიოგრაფიას შორის.

წერილობით წყაროებს წარსულის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, ისინი ხშირ შემთხვევაში შეუცვლელ მასალას გვწვდიან ისტორიულ მოვლენებზე. ისტორიკოსი, კურძოდ წყაროთ-მცოდნე, იკვლევს წერილობითი დოკუმენტების შინაარსს, უდარებს მათში მოხმობილ ცნობებს სხვა წყაროებს, ახდენს დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციების შეჯერებას არქეოლოგიურ, ეპიგრაფიკულ, ეთნოლოგიურ და სხვა სახის მასალებთან. ამ ფონზე, ალბათ, საინტერესოა, რა სახის სამუშაოს ას-რულებს უშუალოდ ისტორიოგრაფი წერილობითი წყაროების, ისტორიული თხზულებების შესწავლის პროცესში? და, რატომ ითვლება ძველი თხზულების ისტორიოგრაფიული ანალიზი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ისტორიის ობიექტური შესწავლისთვის? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავეცნოთ, თუ რას აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიოგრაფიული ძველი ისტორიული თხზულებების კვლევისას.

წყარო 4

„თითოეული ძეგლი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო აუტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, უამთააღმწერლის (აქ, ზოგადად ისტორიკოსის) წერის წესი და მეთოდები...“

თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თვის ძლიერ დაღსა ასვამს ხოლმე და ნება უწებლიერ მიუღიოლობაზე მოქმედებს, რომ „მაცდურ სოფლის“ მოძულე ბერი-მემატიანე თვისუფალი აზროვნების და ყოფა-ცხოვრების მიმღებარი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პიროვნელობას ვერ გამოიჩენდა, მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მემატიანეც მეფეთა საძრახისს საქციელს, ან სათაკილო ამბების აღწერილობას თვის ნაწარმოებში არ შეიტანდა, ხოლო მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურთადმი სიმულგილსა ვერ შეიკავებდა...“

... ჩემი წადილი იყო შეძლებისდაგვარად გამომერკვია, როგორც თითოეული მემატიანისა და ისტორიკოსის პიროვნება, — თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლიშედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო, — ისე აგრეთვე შემეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწამდა მას, როდესაც თვის თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე ყოველთვის ვცდილობდი, გამუგო რადარა და რამდენად სანდო წყაროები ჰქონდა თვითონეულს მათგანს და რა გზით და რა საშუალებით სურდათ და შესძლეს თვიანთი მიზნების განხორციელება?“

თუ ჯავახიშვილი.

წყარო 5

„... „ქართლის ცხოვრების“ ავტორებს... თვისი მეტი შექქაბა და მისი ღირსეული შესხმა ჰქონია მიზნად დასახული. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მემატიანე, მეფის დახასიათებისას და მასზე საუბრისას სიტყვებს არ იშურებდა მის საქებრად და საღიძებლად...“.

კ. გრიგოლია.

კითხვები:

1. წყარო 4-ისა და 5-ის მიხედვით, ისტორიული თხზულებების ანალიზისას, რა საკითხებს აქცევს ისტორიოგრაფი განსაკუთრებულ ყურადღებას?

2. შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხების გათვალისწინება თხზულებაში მოცემული ინფორმაციის ანალიზისა?

3. რომელ ისტორიულ დისციპლინებთან აქვს ისტორიოგრაფიას ყველაზე მჭიდრო კავშირი? დაასაბუთე შენი პოზიცია.

განმარტება

მედასეობა — ამა თუ იმ დასის მომხრეობა.

§2. მითი თუ ისტორია

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ უძველესი ისტორიული გადმოცემები შუამდინარეთში მცხოვრებმა ხალხებმა შექმნეს. სხვებს მიაჩნიათ, რომ ეს გადმოცემები არ არის ისტორიული შინაარსის, რაღაც მათში მთავარ მოქმედ პირებს წარმოადგენს არა ადამიანები, არამედ ღმერთები.

ძვ.წ. XXIV საუკუნით დათარიღებულ შუმერულ დოკუმენტში გადმოცემულია ორი ქალაქ-სახელმწიფოს ლაგაშისა და უმას ურთიერთობა:



სურ. 1. ლაგაში

წყარო 1

„ლაგაშისა და უმას მეფებს შორის დაგა ატყდა მათი სამფლობელოების საზღვრების თაობაზე. ამ სადაო საკითხის გადაწყვეტა მათ სთვევეს ქიშის მეფეს — მესილიმს, მაგრამ ის გადაწყვიტეს ღმერთებმა, ვისთვისაც ქიშის, ლაგაშისა და უმას მეფები მხოლოდ მსახურები და ქურუმები არიან... ქიშის მეფე მესილიმსა თვისი ღვთაების ჰუ-სილიმის მოთხოვნით ამ ადგილას აღმართა სტელა. მაგრამ უმის მსახური უში თვისი პატივმოყვარელი ზრახვებით ხელმძღვანელობდა. მან მესილიმის სტელა მოშალა და ლაგაშის დაბლობზე გადაიტანა. ღვთაება ენლილის... სამართლიანი გადაწყვეტილებით, მოხდა ომი უმასთან. ღვთაება ენლილის ბრძანებით, ამ მეომარმა მთლიანად დაამარცხა თვისი მტრუბი და სანიშნე ქვები აღმართა იქ, სადაც ისინი დაბლობზე ყრია“.

დაგალება 1

იმსჯელე, თუ როგორ ესმოდათ შუმერებს ისტორია, ვინ მიაჩნდათ მის შემოქმედად და რა როლს აკისრებდნენ ისტორიაში ადამიანს.

ეს საინტერესოა:

ხშირად შუამდინარეთის წარწერებში რეალური ისტორიული ამბებს იმდენად მითოლოგიური ელფერი ადგვს, რომ მნელდება მითსა და ისტორიულ მოვლენას შორის ზღვრის გავლება.

წყარო 2

„მე ვარ შარუქინი, მეფე ქლიერი, მეფე აქადისა, დედაჩემი ღვთის მხევალი იყო, მამა არ ვუწყო. მმა მამაჩემისა მთიანეთში სახლობდა, ხოლო ქალაქი ჩემი — იზუფირანი — ვეფრატის ნაპირზეა გაშენებული... დედამ, ღვთის მხევალმა იღუმლად შშობა, ლერწმის კიდობანში ჩამსვა, კარი ფისით ამომიქოლა, მდინარეს მიმცა, წყალმა არ დამტარა; წამიღო მდინარემ, აქი მერწყულთან მიმიტანა: აქი მერწყულმა წყლიდან სარწყულით ამომიყვნა... შვილად ამიყვანა... თვის მებაღედ დამაყნა. ოდეს მებაღე ვიყავ, იშთარმა (შუამდინარეთის ღმერთი) შემიყვარა. ორმოცდათხუთმეტი წელი მეფობას ვიქმოდი, შავთავიან ხალხზე (ასე იხსენიებდნენ შუმერები მათ მეზობელ ტომებს) გბატონობდი, ვმართავდი, ძლიერ მთაგრძილებს ბრინჯაოს ცულებით განგრევდი... ზღვის ქვეყანას სამჯერ შემოვაღექ“.



ლეგენდა სარგონ აქადელზე.

სურ. 2. იშთარის ტაძარი

კითხვები:

1. შენი აზრით, წყარო 2-ში გადმოცემულ ამბავში, რა არის ღვევენდარული და რა — ისტორიული?
2. ხომ ვერ გაიხსენებ ამ ღვევენდაში აღწერილი სიუჟეტის მსგავსს ძველი მსოფლიოს ისტორიიდან? შენი აზრით, რა უწყობს ხელს სხვადასხვა ხალხის მითების სიუჟეტურ მსგავსებებს?

ისტორიაში ადამიანისა და ღმერთების როლს საინტერესოდ გადმოგვცემს ერთი ხეთური მითი. მითის მიხედვით, სხვა ღმერთებსა და ადამიანებზე განაწყენებული ნაყოფიერების ღმერთი თელეფინუ გაუჩინარდა, რითაც ღმერთებს შიმშილით დაღუპვის საფრთხე დაემუქრა, რაღაც ისინი ადამიანების მიერ შენაწირს ვერ იღებდნენ. ღმერთებმა თელეფინუს კაბლს ვერ მიაგნეს. მათ დახმარებისათვის ადამიანებს მიმართეს. ადამიანებმა ლოცვითა და ვედრებით შეძლეს გამწყრალი ღმერთის გულის მოგება.

წერო 3

„მე ადამიანმა თელეფინუს სხეულს ბოროტება განვარიდე, რისხა განვარიდე, წყრომა განვარიდე, ავგულობა განვარიდე... მის ენას სიავე მოვაშორე, ბოროტება მოვაშორე... როდესაც ტაროსის (ამინდის) ღმერთი მრისხანებს, მის მრისხანებას ტაროსის ღმერთის მსახური აკავებს! მდუღარე ქვაბს გადმოდენისაგან კოჭი აკავებს. ამგვარადვე შეაკავოს ადამიანის სიტყვებმა თელეფინუს რისხა, წყრომა და ავგულობა“.


ფრაგმენტი „თელეფინუს მითიდან“.

ძვ.წ. XXII საუკუნით თარიღდება ძველებების გველების მეტებით აღმართული „პერაკლეპოსის მეფის შეგონება თავისი შვილის მერიკისადმი“. მასში კარგად ჩანს გვიპტელების დამოკიდებულება ისტორიისადმი, ის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი წარსულის ცოდნას.

წერო 4

„მიჰყევი შენი მამების, წინაპრების კვალს. სიბრძნეს ცოდნა ქმნის. იცოდე, მათი სიტყვები წერილობით აღმართულია. გაშალე მათი გრავნილები. შეიგნე ის საბრძნე, რომ, ვინც ისწავლის, ის გახდება მცოდნე. სასარგებლოა ზრუნვა მომავალზე. ამქვეყნიური ცხოვრება ხანმოკლეა. მოგებული რჩება ის, ვინც კეთილ კვალს ტოვებს...“

სხვის ძეგლებს ნუ წაახდენ. დაე... ქვები შენთვისაც მოთხარონ. ნუ დაანგრევ სხვის აკლდამებს, რათა შენი აკლდამა აიშენო... კარგი რამ არის მეფეური ძალაუფლება... მაგრამ შენი ძეგლი ხელთუქმნელი მაშინ იქნება, თუ შენი წინაპრებისასაც ააგებ, რათა იმან, ვინც შენს შემდეგ მოვა, შენი ძეგლი გაამაგროს“.




სურ. 3. ეგვიპტური მონუმენტური ქანდაკებები

ადრინდელ ურარტულ წყაროებში სახელმწიფოთა წარმატება და მისი ძლიერება მეფეთა მოქმედებებს უკავშირდებოდა. მოგვიანებით კი ჩნდება ღმერთების როლის ხაზგასმა ისტორიული მოვლენების შეფასებისას. ისტორიკოსთა აზრით, ასეთი ცვლილება იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ურარტუში გაიზარდა რელიგიისა და ქურუმების როლი. ასეთია მენუა I-ის (ძვ.წ. IX-VIII ს.) წარწერები, რომელთავან ერთ-ერთი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მასში აღწერილია ურარტულთა ლაშქრობა უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების — „დიაოხის“ წინააღმდეგ.

მსგავსი შინაარსის ტექსტები საკმაოდ ინფორმაციულია და ისტორიულ ფაქტებს ძირითადად რეალისტურად გადმოგვცემენ, რის გამოც მათი მითებად ან მხოლოდ რელიგიურ გადმოცემებად მიჩნევა შეცდომა იქნებოდა.

თანამედროვე ისტორიკოსთა შეფასებით, წინააზიური მითები, რელიგიური ხასიათის ლიტერატურა და მეფეთა მოღვაწეობის ამსახველი წარწერები, მიუთითებენ ისტორიული აზროვნების გარკვეული საფუძვლების არსებობაზე შუმერებში, ბაბილონელებში, ურარტულებს, ასურელებს, ეგვიპტელებს, ხეთებსა და ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხებში.



სურ. 4. ურარტული ტექსტი

წერო 5

„იზრდება ინტერესი წარსულისადმი, წინაპართა საქმიანობისა და მეტკვიდრეობისადმი, რაც აისახება არა მარტო ისტორიული ხასიათის ლიტერატურის რაოდენობრივ ზრდაში, არამედ შინაარსში...“

ყალიბდება და მკვიდრდება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების აღწერის თხრობითი ფორმა და სტილი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შემდეგში წარმოშობილი და გაუცელებული ტერმინის — „ისტორიის“ თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ წარსულზე თხრობა იყო.

ჩნდება ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერაც, რაც მაღე ისტორიოგრაფიის საყველოთა საგალდებულო პრინციპად იქცა.

ფაქტებისა და მოვლენების აღწერისას თავს იჩენს მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპი... დიდ ადგილს იკავებს კანონმდებლობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ცოდნიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის, არამედ აგრეთვე მისი წარსულის ტრადიციების შენარჩუნების, შეფასებისა და გათვალისწინებისათვისაც“.

ფ. ლომაშვილი.

დაგალება 3

წყარო 5-ის მიხედვით იმსჯელე ისტორიის იმ პრინციპებზე, რომლებიც ძველი აღმოსავლეთის ხალხების ლიტერატურაში იკვეთება. განსაზღვრული მათი როლი ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში.

დამოუკიდებელი სამუშაო

გაიხსენე რომელიმე ისტორიული ფაქტი და გადმოეცი ის ძველი აღმოსავლელი მემატიანის ენით. დაგალება შეასრულებს წერილობით.

§3. პირველი ისტორიკოსები

ისტორიას, როგორც მეცნიერების დარგს, საფუძველი ძველმა ბერძნებმა ჩაუყარეს. არაერთი ბერძნი სწავლული გამოთქვამდა მოსაზრებებს კაცობრიობის ისტორიული განვითარების საკვანძო საკითხებზე. მაგალითად, ჰერაკლიტე ეფესელს (ძვ.წ. VI-V სს.) მიაჩნდა, რომ საზოგადოების განვითარებას განაპირობებდნენ არა ღმერთები ან რაიმე შემთხვევითობები, არამედ შინაგანი მიზეზები და აუცილებლობები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ფილოსოფოს დემოკრიტეს შეხედულებები (ძვ.წ. V-IV სს.).

წყარო 1




„(თვალისწილები) მოუწესრიგებლად და ცხოველებივით ცხოვრობდნენ. ისინი ცალ-ცალკე დადიოდნენ საკვების მოსაპოვებლად და მათთვის საჭირო ბალახსა და ველურ მცენარეთა ნაყოფს აგროვებდნენ. როცა მათ თავს ესხმოდნენ მხეცები, ისინი ერთიანდებოდნენ და ერთმანეთს ქმარებოდნენ. ზამთრობით ისინი თავს აფარებდნენ გამოქვაბულებს და იქვე ინახავდნენ ისეთ ნაყოფს, რაც არ ფუჭდებოდა. შემდეგ კი ისინი გაეცნენ ცეცხლს და სხვა რამებს, გამოიგონეს ხელოვნება და ყველაფერი, რაც საერთო ცხოვრებისათვის სასარგებლო იყო. საერთოდ, ადამიანისთვის მოთხოვნილებები ყველაფრის მასწავლებლად იქცა“.

დემოკრიტე.

დაგალება 1

1. იმსჯელე იმ ფაქტორებზე, რომლებსაც ჰერაკლიტე ეფესელი და დემოკრიტე კაცობრიობის განვითარების განმაპირობებლად თვლიდნენ. შეაფასე ამ ფაქტორების მნიშვნელობა.
2. შეუდარე ბერძნი სწავლულების თვალსაზრისები ძველადმოსავლურ წარმოდგენებს და მიუთითე მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე. იმსჯელე ამ სხვაობის მიზეზებზე. მოიტანე არგუმენტები შენი აზრის გასამყარებლად.

„ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.) ბერძნულ ქალაქ ჰალიკარნასში დაიბადა. თავის ნაწარმოებს — „ისტორიას“ ის საჯაროდ კითხულობდა ათენში, კორინთოში, ოლიმპიასა და სხვა ბერძნულ ქალაქებში. ჰეროდოტე თავისი თხზულების შესაგალები წერდა:



სურ. 2. ჰეროდოტე

წყარო 2

„... ისტორიის ეს გადმოცემა, მიზნად ისახავს იმას, რომ დროთა ვითარებაში არ იქნეს დავიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა, არც ის დიდი და საოცარი საქმეები არ უნდა დარჩეს განუდიღებელი, რომლებიც აღასრულებს, როგორც ელინელებმა, ისე ბარბაროსებმა...“.

ჰეროდოტეს სჯერა ბედისწერისა, რაც, მისი აზრით, გარდაუგალია. მაგრამ, მისივე აზრით, ადამიანთა თავისი გააზრებული მოქმედებით მაინც შეუძლია შეარბილოს მოსალოდნელი საფრთხე ან ხელი შეუწყოს, დააჩქაროს საქმის კეთილად დაბოლოება. ბერძენ-სპარსელთა ომის აღწერისას ჰეროდოტე გადმოგვცემს ერთ ეპიზოდს: გამარჯვებული სპარსეთის მეფე კიროსი ეკითხება ბერძენთა სარდალს, თუ ვინ ურჩია მას და ელინებს სპარსელებთან ბრძოლის დაწყება. ბერძენი სარდალი ამაზე მიუგებს:

წყარო 3

„მეფეო, ამის მიზეზი იყო ელინთა ღმერთი, რომელმაც წამაქეზა სალაშქროდ. არავინაა ისე უგუნური, რომ მო ერჩიონოს შშვიდობას... მაგრამ, ჩანს დემონებს სურდათ, რომ ასე არ ყოფილიყო“.

ჰეროდოტე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა ისტორიული ფაქტის მიზეზ-შედეგობრიობის საკითხის გარკვევას. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი სწორედ ბერძენ-სპარსელთა ომების რეალური მიზეზების ძიებას ქება. ჰეროდოტე ასვე ცდილობს დაადგინოს ათენის ქალაქ-სახელმწიფოს გაძლიერების მიზეზებიც.

წყარო 4

„ყოველმხრივ ცხადია, რომ თანასწორუფლებიანობა მეტისმეტად კარგი რამ არის, რადგან სანამ ათენელები ტირანთა მმართველობაში იყვნენ, არაფრით სჯობდნენ თავის მეზობლად მოსახლე ხალხებს საომარ საქმიანობაში, ხოლო ტირანთაგან რომ განთვისუფლდნენ, ნამდვილად პირველები გახდნენ“.

ჰეროდოტემ პირველმა მიაქცია ყურადღება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობას ხალხის ხასიათის, მისი კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში.

ჰეროდოტემ საფუძველი ჩაუყარა წყაროთა დამუშავების ე.წ. „კრიტიკულ მეთოდს“. ისტორიკოსი წერილობითი წყაროების, მათ შორის, პომეროსის, ჰესიოდეს, ესქილესა და სხვათა ისტორიული თემატიკის ლიტერატურული ქმნილებების ცნობებს ერთმანეთს უდარებდა, მოწოდებულ ინფორმაციას „კრიტიკულად ითვისებდა“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეკვინდა თვის ნაწარმოებში ესა თუ ის ფაქტი. ჰეროდოტე თვის ნაწარმოებზე მუშაობისას იყენებდა თვითმხილველთა ცნობებს. მაგრამ აქაც, „კრიტიკული მეთოდის“ გამოყენებით, არჩევდა ისეთ მასალას, რომელიც შინაარსობრივად უფრო დამაჯერებელი ჩახდა.

კითხვები

1. წყარო 2-ის მიხედვით, როგორ ესმის ჰეროდოტეს ისტორიის მნიშვნელობა? რამდენად ეთანხმები მის მოსაზრებას?

2. ტექსტისა და წყარო 3-ის მიხედვით, რა როლს აკისრებს ჰეროდოტე ბედისწერას ისტორიაში? რამდენად ეთანხმები მის პოზიციას?

3. წყარო 4-ის მიხედვით, რით ხსნის ისტორიკოსი ათენის სიძლიერებს? როგორ შეაფასებ მის არგუმენტებს?

4. ეთანხმები თუ არა ჰეროდოტეს აზრს ბუნებრივ-კლიმატური პირობების მნიშვნელობის შესახებ? დაასაბუთე შენი პოზიცია.

5. შენი აზრით, რამდენად სანდოა ჰეროდოტეს მიერ შერჩეული კვლევის მეთოდები?

ჰეროდოტეს თანამედროვე იყო ისტორიკოსი თუკიდიდე. მისი დაუმთავრებელი ნაშრომი — „ისტორია“ ქება პელოპონესის ომს — ომს ორ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს — ათენსა და სპარსას შორის.

თუკიდიდე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ბედისწერას. მას სჯეროდა, რომ ისტორია იქმნებოდა არა ღმერთულის ნებით, არამედ შინაგანი კანონზომიერებებით. თუკიდიდე თვლის, რომ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სრული სიზუსტით აღდგენა შეუძლებელია, ამიტომ თვით საუკეთესო ისტორიულ ნაშრომშიც კი მხოლოდ წარსულის მოვლენების მიახლოებითი აღწერაა მოცემული და არა გარდასულ ამბავთა ზუსტი ასახვა.

წყარო 5

„რაც არ უნდა მნელი იყოს საისტორიო გამოკვლევები, მაინც ჰქონდა იქნება ის, ვინც აღიარებს, რომ ჩემს მიერ აღწერილი ძველი ამბები დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო და არ დაუჯერებს არც პოეტებს, რომლებიც აზვიადებენ და ალამაზებენ მათ მიერ აღწერილ ამბებს, არც იმ ლოგოგრაფოსებს, რომლებიც ისტორიებში უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კეთილსიტყვაობას, ვიდრე სიმართლეს, არც იმ ისტორიებს, რომელთა უმრავლესობა ზღაპრად ქცეულა და გადამოწმების საშუალებას არ იძლევა. ზემოთ მოყვანილი თვალსაჩინო არგუმენტებით ის დარწმუნდება ესოდენ ძველი ამბების ჩემეული გამოკვლევის სანდოობაში. რაც შევხება სიტყვებს (გამოთქმულთ ომის წინ და ომის შემდეგ), მათი ზუსტად დამახსოვრება და აღდგენა შეუძლებელი იყო — არც იმ სიტყვებისა, რომლებიც მე თვითონ მომისმენია და არც იმ სიტყვებისა, რომლებიც სხვებმა გადმომცეს. მე ჩემს ისტორიაში ყოველ ორატორს სწორედ ის ვათქმევინე, რაც ყველაზე უფრო შესაძლებელი იყო, რომ მას ამ საკითხზე ეთქვა“.

ოუკიდიდეს

თუკიდიდეს შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ თანამედროვე მკვლევარები, ისინი თვლიან, რომ თუკიდიდემ შეძლო ჰეროდოტეს ისტორიული შეხედულებების განვითარება და გამორჩეული როლი შეასრულა ისტორიული მეცნიერების შემდგომ დაწინაურებაში.

წყარო 6

„თუკიდიდე, „ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტეზე, თავის უფროს თანამედროვეზე, მაღლა დგას. მისთვის უცხო იყო ჰეროდოტესათვის დამახასიათებელი ზოგიერთი გულუბრყვილო მოსაზრება, სასწაულებისა და წინასწარმეტეველთა რწმენა. მას ახასიათებდა საღი კრიტიკა და თავისუფალი იყო შეგნებული ტენდენციურობისაგან. მისი ნააზრევი ემყარებოდა ამბების ღრმა შესწავლასა და ანალიზს, დოკუმენტებს, ხელშეკრულებათა ტექსტებს, წარწერებსა და თვითმხილველი მცოდნე პირებისაგან მიღებულ და შემოწმებულ ცნობებს. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა მოფიქრებული და შინაარსიანია. როგორც ისტორიკოსი, თუკიდიდე გამოირჩევა ობიექტურობით“.

ალექსანდრე წერული.

კითხვები:

1. წყარო 5-ის მიხედვით, თუკიდიდეს აზრით, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ისტორიული ნაშრომი?
2. წყარო 6-ის მიხედვით, რაში მდგომარეობს თუკიდიდეს დამსახურება ისტორიული მეცნიერების წინაშე?

ეს საინტერესოა:

დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არის სტოტელე ისტორიას არ თვლიდა მეცნიერებად. მისი აზრით, ისტორია შეისწავლის წარსულში მომხდარ ცალკეულ ფაქტებს და მოვლენებს, რომლებიც აღარასოდეს განმეორდებან, ამდენად ისინი წარმოადგენენ ერთჯერად მოვლენებს და მათი აზნა რაიმე საერთო, ზოგადი კანონზომიერებით ვერ ხერხდება. არის სტოტელე ისტორიას აფასებს, როგორც შეულებულ დარგს მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის.



სურ. 5. პლატონი და არისტოტელე

წყარო 7

„პოეტის ამოცანაა ილაპარაკოს არა ნამდვილად მომხდარზე, არამედ იმაზე, რაც შეიძლება მომხდარიყო, მაშასადამე, იმაზე რაც შესაძლებელია ალბათობით ან აუცილებლობით. სახელდობრ, ისტორიკოსი და პოეტი (ერთმანეთისაგან) განსხვავდებან არა იმით, რომ ერთი (ლექსის) ზომას იყენებს, მეორე კი — არა; შეიძლებოდა ჰეროდოტეს თხზულება გაგველექსა, მაგრამ მაინც ისტორიად დარჩებოდა; ისინი განსხვავდებან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს ნამდვილად მომხდარზე, მეორე კი იმაზე, რაც შეიძლებოდა, მომხდარიყო. ამიტომ პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო სერიოზულია, ვიდრე ისტორია: პოეზია უფრო მეტად ლაპარაკობს ზოგადზე, ისტორია კი — ერთულზე“.

არის სტოტელე.

დავალება 2

შეაფასე არის სტოტელეს დამოკიდებულება ისტორიისადმი. იმსჯელე იმ არგუმენტებზე, რომლებსაც ფილოსოფოსი იშველიებს საკუთარი შეხედულებების გასამყარებლად. გამოთქვი შენი აზრი.

ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობით-
მა ომებმა ვითარება ძირულად შეცვალა.
მთელი მაშინდელი ცივილიზაციული მსო-
ფლიონ თითქმის მთლიანად ერთიანი იმპე-
რიის ფარგლებში აღმოჩნდა. დაიწყო ე.წ.
„ელინისტური ხანა“. ამ დროს ერთმანეთს
დაუახლოედა აღმოსავლური და ბერძნუ-
ლი ცივილიზაციები. ამ პროცესში წამყვან
როლს ბერძნული კულტურა ასრულებდა.
ბერძნული ენა, ლიტერატურა, ხელოვნება,
ზექ-ჩეულებები და ყოფა მთელს იმპერიაში თუ არ გაბატონდა, მისაბად ნიმუშად მაინც იქცა. ამ ცვლი-
ლებებმა დიდი გავლენა მოახდინა ისტორიულ აზროვნებაზეც.



სურ. 6. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია

წერო 8

„... საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის ისტორიოგრაფიას... რომელიც ორი ძირითადი ახალი ნიშნით ხასიათდება: გაფართოებით და გაღრმავებით.

ისტორიის გაფართოება იმით გამოიხატა, რომ ამიერიდან იწერუბოდა არა ცალკეული ქალაქ-სახელმწიფოს ან ხალხის, არამედ მთელი იმპერიისა და მასში შემავალი ხალხების საერთო ისტორია. თუ მანამდე ბერძნები ისტო-
რიკოსები ბარბაროსთა ისტორიას მხოლოდ იმდენად ჭებოდნენ, რამდენადაც ამ ხალხებს ურთიერობა პერიოდით ბერძნებთან, ამიერიდან ბარბაროსთა ისტორიამაც თუ ისტორიას მნიშვნელობა შეიძინა და სამპერიო ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ისტორიის „გაღრმავება“ კი იმით გამოიხატა, რომ მან... რამდენიმე თაობის (100-200 წლის) წარსულიც მოიც-
ვა. თუ პერიდოტესათვის მთავარი იყო თანადროულობის აღწერა, ელინისტური ეპოქის ისტორიკოსები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და წარსულის სიღრმეში შეძლებისდაგვარად იჭრებოდნენ“.

ფ. ლომაშვილი.

დავალება 3


წერო 8-ის მიხედვით იმსჯელე ელინისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ელინისტური ეპოქის ისტორიკოსების ხედვა ისტორიული მეცნიერების განვითარების თვალსახრისით.

რომის იმპერიის ცნობილი ისტორიკოსები არიან: პოლიბიოსი, ლივიუსი, ტაციტუსი, პლუტარქე და სხვები.

წერო 9

„წარსულის შეგნებას ყოველ ახალ ცოდნაზე უფრო მეტად შეუძლია მოუტანოს კაცს სარგებლობა. ისტორიი-
დან ამოკრეფილ გაკეთილებს უფრო სწორად მიჰყავს ადამიანი განათლებისაკენ და ამზადებს მას საზოგადოებ-
რივი საქმიანობისათვის. მოთხოვთ სხვების მიერ განცდილი ტანჯვისა, არის შთამაგონებელი და ერთადერთი
დამრიგებელი, რომელიც გვასწავლის მამაცურად ავიტანოთ ბედის უკუღმარობა“.

პოლიბიოსი (ძვ.წ. 200-120 წწ.).



„ლივიუსის (59-17 წწ.) მიერ შექმნილი რომის ისტორია ამავე დროს მთელი
მსოფლიოს ისტორიასაც წარმოადგენდა, რადგან მის დროს იმპერიის ფარგლე-
ბი კიდევ უფრო გაფართოვდა. ის დარწმუნებული იყო, რომ რომი განსაკუთრე-
ბული ქვეყნაა, ხოლო მისი დედაქალაქის შექმნაში ადამიანებთან ერთად ღმერ-
თუბიც მონაწილეობდნენ. ამიტომ რომის მიერ დანარჩენი მსოფლიოს დაპყრობა
მას კანონზომიერ და საამავო საქმედ მიაჩნდა“.

ფ. ლომაშვილი.

„ტაციტუსის (I-II სს.) შეფასებით იმპერატორთა მოღვაწეობა პროგრესუ-
ლია, რადგან ისინი იმპერიის დიდებას განამტკიცებული მაგრამ ამავე დროს, იგი

მათ სისხლიან ტირანებსაც უწოდებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი ურდნობოდნენ დაუნდობელ სამხედრო ძალას, მოღალატე მოხელეებს და ღუპავდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილებს.

... მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები „მრისხანებისა და მიკრობის გარეშე“. ამ სიტყვებით მან ისტორიული პროცესების მკვლევარებს შეახსენა — თქვენი უპირველესი მოგალეობა ჰქონდა რიტების დაღენა.

აღნიშვნულმა ფორმულამ შემდგომი განვითარება სპინოზას გამონათქაში ჰპოვა — „მხოლოდ გაგებით და არა სიცილით, ტირილით და სიძულვილით“, რომელიც დღეს ისტორიული მეცნიერების დევიზი გახდა“.

ქ. ნადირაძე.

რომაული ისტორიოგრაფია ზოგადად შეიძლება, ასე შევაფასოთ:

წერო 10

„განხორციელდა ისტორიის გამოყოფა არა მარტო მითოსისაგან, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი აზროვნების ყველა სხვა დარგისაგან და მისი ჩამოყალიბება ცოდნის განცალკევებულ დარღად. ისტორიკოსობა დამოუკიდებელ სპეციალობად იქცა. ამიერიდან იგი აღარ წამოადგენდა ქურუმთა და მისანთა პრივილეგიას, ან მხოლოდ ფილოსოფოსთა მოგალეობას... ისტორიკოსის მთავარ მოგალეობად იქცა თანამედროვეთა და წინაპართა მოქმედებების აღწერა, მათი წარმატებისა და მარცხის დაღენა...“

ფ. ლომაშვილი.



სურ. 8. რომის იმპერია

მონაწილეობას. სწორედ ამიტომ ნებისმიერი ისტორიული მოვლენა ადამიანთა ნება-სურვილის პირდაპირ შედგად განიხილება. ამ ეპოქის ისტორიკოსებისათვის მთავარია — ადამიანის არჩევნის თავისუფლების იდეა“.

ქ. ნადირაძე

დაგალება 3.

დაიყვაით ჯგუფებად და:

1. წერო 9-ის მიხედვით, იმსჯელეთ რომაელი ისტორიკოსების შეხედულებებზე ისტორიის მნიშვნელობის, ისტორიაში ადამინის როლის, მსოფლიოსა და რომის ისტორიის ურთიერთობის, მმართველობის საიმპერატორო სისტემის ავკარგიანობისა და წარსულის შესწოლისადმი დამოკიდებულების შესახებ. გადმოეცით თქვენი პოზიცია.

2. წერო 10-ის მიხედვით, შეაფასეთ რომაული ისტორიოგრაფიის ხასიათი, ახსენით მისი უპირატესობა.

დამოუკიდებელი სამუშაო

მოიპოვე დამატებითი ინფორმაცია ანტიკური პერიოდის რომელიმე ისტორიკოსზე და წარმოაჩინე მისი მოღვწეობის მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში.

განმარტება

ლოგოგრაფოსი — ძვ. ბერძენი მწერლები — ისტორიული პროზის პირველ თხზულებათა აუტორები (ძვ. წ. VI-V ს.); გადმოსცემდნენ პროზის სახით ხალხურ თქმულებებსა და ეპიკურ პოემებს.

§4. ნეტარი აპგუსტინედან მოღტერამდე

ქრისტინობის გავრცელებამ ისტორიულ აზროვნებაში სერიოზული ცვლილებები გამოიწვია.

წერო 1

„ისტორიის გაფართოება და ჰერმარიტად საყოველთაო ისტორიად გადაქცევა დაკავშირებულია ქრისტიანულ მოძღვრებასთან ადამიანთა საერთო წარმომავლობის შესახებ. როგორც წარღვნისშემდგომდროინდელი ეგველა ადამიანი, ტომი, ხალხი და რასა, მთელი კაცობრიობა ადამიან და ეგვადან მოღის. ამ მხრივ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან... მაშასადამე ისტორიის საგანია მთელი კაცობრიობის წარსული. ჰერმარიტი ისტორია მსოფლიო ისტორიაა. მას არ შეუძლია შემოიზღუდოს რომელიმე ხალხის, სახელმწიფოს, თუნდაც უშარმაზარი იმპერიის, აღწერით...“.

ფ. ლომაშვილი.

ქრისტიანობამ ახლებურად დაინახა ისტორიაში ღმერთისა და ადამიანის მოქმედება. გაბატონდა ისტორიისადმი პროვიდენციალური მიღომა, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ცხოვრების განმსაზღვრელია ღვთის ნება.

წერო 2

„პროვიდენციალიზმი... ისტორიას ღვთის ნების, ადამიანის ხსნის ღვთაებროვი გეგმის განხორციელებად მიიჩნევს. იგი ეველა თეოსტური (ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი) რელიგიის არსებითი ნიშანია. ეს მიმღინარეობა IV საუკუნეში ჩაისახა და იმთავითვე ცდილობდა, ბიბლიური სქემით აუგო მსოფლიო ისტორია. იგი ესწრაფეოდა, ისტორიული მოვლენები... განგების, ბედისწერის თვალსაზრისით აქსნა... პროვიდენციული გაგების მიხედვით, ადამიანები ოდენ დრამის მონაწილე მსახიობები არიან. ავტორი ღმერთია. თუმცა, ამ პიესაში ავტორის განსაკუთრებული წყალობით არავინ სარგებლობს...“.

ყველმა ადამიანმა იცის, რა სურს და მიზანსაც აღწევს. მაგრამ არ იცის, რატომ სურს, რადგან მისი მიზეზის სურვილი ღმერთია, რომელმაც სული შთაბერა ადამიანს თავის წინასწარგანზრანულობათა აღსასრულებლად. ერთი მხრივ, ისტორიის შემოქმედი ადამიანია, რადგან, რაც კი ისტორიაში ხდება, მისი ნებაა, მეორე მხრივ, ისტორიის ერთადერთი შემოქმედი ღმერთია, რადგან მხოლოდ ღვთის განგებით უზრუნველიყოფა ის, რომ ადამიანის ნებას მოცემულ მომენტში ზუსტად განსაზღვრულ შედეგამდე მფეფართ და არა — სხვა რეზულტატამდე...“.

გ. ჯოხაძე.

დაგლება 1

1. წერო 1-ის მიხედვით იმსჯელე, როგორ შეცვალა ქრისტიანობამ ისტორიული აზროვნება, შეაფასე ამ ცვლილების მნიშვნელობა.

2. წერო 2-ის მიხედვით იმსჯელე პროვიდენციალიზმის არსებული და გამოხატული შენიც პოზიცია.

ეს საინტერესო:

პროვიდენციალიზმის იდეა ეველაზე რელიეფურად ნეტარი ავგუსტინე (354-430 წწ.) შემოქმედებაში გამოვლინდა. ნეტარი ავგუსტინე ითვლება ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლად. მისი იდეა გავლენა მკაფიოა არა მხოლოდ მის თანამედროვეთა, არამედ შემდგომი ხანის ისტორიკოსთა შემოქმედებაშიც. ნეტარმა ავგუსტინემ პირველმა განიხილა მსოფლიო ისტორია ბიბლიური სქემის მიხედვით. მან ისტორიას დააკისრა მხსნელის, ცოდვათა მონაიების, დამრიგებლის მისია, მიზნად კი — უწესრიგო, ქაოსურ სამყაროში წესრიგის დამყარება.



სურ. 1. ნეტარი ავგუსტინე

შენ უკვე იცი, რომ XIV საუკუნეში ევროპაში იწყება რენესანსის (აღორძინების) და მასთან ერთად, — ჰუმანიზმის ეპოქა. რასაც უკავშირდება მრავალი სიახლე კულტურასა და აზროვნებაში და რამაც, რა თქმა უნდა, ასახვა ჰპოვა ისტორიულ აზროვნებაშიც.

წყარო 3

„.... ჰუმანისტები უარს ამბობენ რა პროფიდენციალიზმის პოზიციიდან ისტორიული მოვლენების განმარტებაზე, იწყებენ მოვლენათა ბუნებრივი მიზეზების ძიებას. ცდილობები ამოიცნონ ისტორიული განვითარების კანონები. საზოგადოების განვითარების ახსნა ხდება არა ზებუნებრივი ძალების მოქმედებით, არამედ გამოჩენილ ადამიანთა მოღვწეობით, რომელთა საქმიანობაც გაულენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე...“.

ქ. ნადირაძე.

აღორძინების ხანაში იზრდება ინტერუსი ისტორიისადმი, ინერგება წარსულის ობიექტური შესწავლის ახალი მეთოდები, რამაც ისტორიული მეცნიერების განვითარებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ამავე პერიოდში ანტიკურობისადმი ინტერუსის გაცხოველებას მოჰყვა ძველი ხელნაწერი დოკუმენტების, ლიტერატურული და ისტორიული თხზულებების, მონეტების, რუკების, გერბებისა და ა.შ. შესწავლა, რამაც ბიძგი მისცა ისტორიის დამხმარე დისციპლინების ჩამოყალიბებას.


წყარო 4

„წყაროების კრიტიკაშ დასაბამი მისცა ისტორიის დამხმარე დისციპლინების ჩასახვასა და განვითარებას. აღმოცენდა ისეთი დარგები, როგორიცაა დიპლომატიკა, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა, ისტორიული გეოგრაფია და სხვ... ჩამოყალიბდა ნაშრომთა მეცნიერული აპარატი: ციტატის წესი, საკუთარი და სხვისი აზრების გამოყოფა ერთმანეთისგან, წყაროების სრულყოფილი დასახელება, წყაროთა განსხვავებული ჩვენების აღნიშვნა და ა.შ.“.

შ. ხანთაძე.

დაფალება 2

დაიყვათ ჯგუფებად და წყარო 3-ისა და 4-ის მიხედვით იმსჯელეთ აღორძინების ხანის ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე. შეაფასე მათი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით



სურ. 2. მაკიაველი

დამატებითი მასალა

აღორძინების ხანის თვალსაჩინო მოაზროვნე და მოღვწეა იტალიელი ნიკოლო მაკიაველი (XVI-XVII ს.). გავრცელებულია აზრი, რომ მისთვის სრულიად მისაღები იყო იდეა — „მიზანი ამართლებს საშუალებაზე“. მაკიაველის შტედულებების გადმოცემისას ქართველი ფილოსოფოსი კ. ბაქრაძე, მიუთითებს:

წყარო 5

„მაკიაველისათვის მთავარია ერის დამოუკიდებლობა და მისი სიძლიერე... მეცე რომ ზნეობრივი პრინციპების მიხედვით მართვდეს სახელმწიფოს, ის თვითონ დაიღუპებოდა არსებულ გარყვნილ საზოგადობაში. მეცე ისე უნდა მოქმედებდეს, რომ ხალხს უყვარდეს და, პირველ რიგში, ეშინოდეს. როგორ უნდა მოახერხოს მეცემ ამ ორი მომენტის შეთანხმება? მეცე უნდა იყოს ერთდროულად ლომიც და მელაც... უკელა მეთოდი და საშუალება უნდა იყოს გამოყენებული მიზნის მისაღწეული კრთამი, გამცემლობა, მკვლელობა, სისასტიკე და გულქვაობა... მაკიაველი რასაკვირველია არ თვლის, რომ ეს სისასტიკე და გულქვაობა არის სამართლიანობა, ზნეობრივი პრინციპი, მაგრამ მეცე ეს კი არ აინტერესებს, არამედ მან არსებულ პირობებში ასეთ ზომებს უნდა მიმართოს ეროვნული აღორძინებისთვის“.

გავეცნოთ მაკიაველის გამონათქვამებს ისტორიის ხასიათის (ბედისწერის, ღმერთისა და ადამიანის წილი ისტორიაში) შესახებ:

„მე ვფიქრობ, რომ ბედი, შესაძლოა, ჩვენი მოქმედების ნახევარს განაგებს და ამავე ღროს მიმაჩნია, რომ ის, უკიდურეს შემთხვევაში მეორე ნახევარს მაინც, ჩვენ გვიტოვებს“.

„ბედისწერა თავის მრისხანე ძლიერებას უმეტესად იქ ამჟღავნებს, სადაც მას არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება და თავის მთავარ დარტყმას წარმართებს იქითვენ, სადაც მისი შემაკუებელი ბარიერი არ არის“;

„ადამიანები მოქმედებენ ან აუცილებლობით, ან საკუთარი თვისუფალი არჩევნით და, რაც უფრო თვისუფალი არიან ისინი თავიანთ ქცევაში, მით უფრო მეტად მუდავნდება მათი ღირსება“.

„ზოგჯერ, არც თუ იშვიათად, ხდება ხოლმე, როცა ისტორიული მოვლენები მიდის უკან, იმის ნაცვლად, რომ წინ მიდიოდეს, რადგან ისტორიის მსვლელობის შეჩერება არ შეიძლება და, თუ წინსვლა არ შეუძლია, აუცილებლად უკან იხევს“.

კითხვები

1. ტექსტისა და წყარო 5-ის მიხედვით, როგორ შეაფასებ მაკიაველის გამონათქმაში „მიზანი ამართლებს საშუალებას“?
2. მაკიაველის ცალკეული გამონათქმაშის მიხედვით იმსჯელე, როგორ წარმოუდგენია მას ისტორიული პროცესის ხასიათი?

XVIII საუკუნეში ასპარეზზე გამოდიან ფრანგი განმანათლებლები. ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს, დიდროსა და მათი თანამოაზრების იღებბმა ხელი შეუწყვეს ხალხში განათლების, სამოქალაქო აზროვნების, დემოკრატიული და პროგრესული მსოფლმხედველობის გავრცელებას, რამაც უდიდესი გაულენა მოახდინა იმდროინდელი საზოგადოების აზროვნებაზე.

ვოლტერს მიაჩნდა, რომ ისტორიაში ღირებულია არა ძალაუფლების მოპოვება-შენარჩუნებასთან და-კავშირებული მოვლენები ან იმპერიული პოლიტიკის პერიპეტიები, არამედ იმ წვლილის წარმოჩენა, რომელიც კაცობრიობის განვითარებას, ადამიანების კეთილდღეობას განაპირობებს.



სურ. 3. ვოლტერი

წყარო 6

„.... არაფერი რჩება იმათი სახელიდან, ვინც ბატალიონებსა და ესკადრონებს მეთაურობდნენ; ადამიანთა მოდგმას არავითარი სარგებლობა არ უნახავს ასობით წარმოებული ობისაგან. იმ დიდმა პირებმა კი, რომელთა შესახებაც მე ვლაპარაკობ, უზადო და ხანგრძლივი სიამოუნება მოუშავდეს იმ ადამიანებსაც, რომლებიც ჯერ კიდვ არ დაბადებულან...“

არზი, რომელიც ორ ზღვას აერთებს, დიდი შესატერის სურათი, შევენიერი ტრაგელია, ჰუშმარიტების აღმოჩენა, ათასჯერ უფრო ძვირფასი საგნებია, ვიდრე ყველა სამეფო სასახლის მატაიანები.... ჩემი შეხედულებით, ისტორიაში პირველ ადგილზე დიდი ადამიანები დგანან, ხოლო უკანასკნელზე — გმირები. მე დიდ ადამიანებს იმათ ვუწიდებ, ვინც თავი ისახელა სასარგებლო და სასიამოუნო საქმეებში, პროგინციათა აღმგველები კი მხოლოდ გმირები არიან“.

ვოლტერი.

ვოლტერის აზრით, უსარგებლოა ისეთი ისტორია, რომელიც მხოლოდ მშრალ ფაქტებს გადმოგვცემს და მხოლოდ პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებს გვისურათებს. მისი აზრით, ისტორია:

წყარო 7

„სწავლობს ზნე-ჩვეულებებს, ამჟღავნებს შეცდომებს, ცრურწმენებს, გვიხატავს ადამიანურ ვნებათა შედეგებს, გვიჩვენებს, თუ საუკუნეთა განმავლობაში რა უძედურება გამოიწვია უვიცობამ ან მეცნიერებისა და ხელოვნების წარმატებათა არასწორად გამოყენებამ, რასაც სახელმწიფოთა შემსარავი შეჯახებები და უამრავ სამეფოთა დაღუპვა მოჰყენა. აი, როგორი ისტორიაა ჩემთვის ღირებული“.

კითხვები:

1. წყარო 6-ის მიხედვით, რა მიაჩნია ვოლტერს ყველაზე ღირებულად ისტორიაში? ეთანხმები თუ არა მის აზრს?
2. წყარო 7-ის მიხედვით, რომელი საკითხების შესწავლას თვლის ვოლტერი ისტორიის ძირითად ამოცანად? როგორია შენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით?

დამოუკიდებელი სამუშაო

განმანათლებელთა უმრავლესობა სკოლიკურად უყურებდა შესაუკუნებს და მიაჩნდა, რომ ამ ეპოქას პროგრესული არაფერი მიუცია კაცობრიობისათვის და რომ მხოლოდ რეგრესის ხანა იყო. ჩვენი დღონის მკვლევარები ბოლომდე არ იზიარებენ განმანათლებელთა პოზიციას და თვლიან, რომ ასეთი შეფასება ცალმხრივი და გადაჭარბებულია.

შესაუკუნების ისტორიიდან გაისსწეო ან მოიხიე მოულენა, რომლითაც დაასაჭირო შენთვის მისაღებ თვალსაზრისს.


განმარტებები:

პროგრენციალიზმი — რელიგიურ-იდეალისტური შეხედულება, რომელიც ცდილობს, ახსნას ისტორიული მოვლენები არა მათი შენაგანი კანონზომიერებით, არამედ — განგების ძალით.

რეგრესი — უკუსვლა, დაქვეითება (საპირისპ. — პროგრესი)

§5. ახალი დროის მოაზროვნები

ისტორიის თეორიის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად იქცა იმის გარკვევა, კაცობრიობა არსებობის მანძილზე განიცდის თუ არა პროგრესს და თუ განიცდის, როგორია ამ პროგრესის ხასიათი.



სურ. 1. ფივა

იტალიული ფილოსოფოსის, ჯანბატისტა ვიკოს (XVII-XVIII სს.) აზრით, კაცობრიობის ისტორია შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად. მათგან უძველია „ღმერთების საუკუნე“. ამ დროს ადამიანი ყველაზე ახლოს იყო შემოქმედთან. არ არსებობდა სახელმწიფო და ადამიანებიც არ იყვნენ დაყოფილი არც წოდებრივი და არც ქონებრივი ნიშნით. მეორეა „გმირული“ ხანა — ჩნდება წოდებები, არისტოკრატია და სახელმწიფო. ბოლოს კი იწყება საზოგადოების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად. იქმნება სახელმწიფო ახალი ფორმა — მონარქია. მაგრამ მალე იწყება დაცემა, და ისტორია ისევ თავიდან იწყება. ასეთი ციკლები კაცობრიობის ისტორიაში, შესაძლოა, ბევრი იყოს. ვიკოს ამ შეზღულებას „წრებრუნვის“ თეორიას უწოდებენ.

სხვაგვარად ფიქრობდა გერმანელი ფილოსოფოსი ჰერდერი (XVIII ს.) ის უარყოფდა ისტორიული წრებრუნვის თეორიას, მაგრამ უარყოფდა კაცობრიობის სწორხაზოვანი განვითარების იდეასაც. მისი აზრით, ისტორიული განვითარება გარკვეული შეფერხებების გარეშე არ არსებობს და ისტორია არ არის მხოლოდ ბედნიერებისა და სიკეთის ასპარეზი, მასში ბედნიერება უბედურებასთანაა შერწყმული, სიკეთე — ბოროტებასთან.

წყარო 1

„ისტორიულ მოვლენათა ძაფი პგავს ტეხილ ხაზს, რომლის კუთხები ხან გარეთაა გამოშვერილი და ხან შიგაა ჩაზნექილი. მიუხედავად ამისა, ეს ძაფი მუდამ წინ ილტვის და მოყვართ სულ უფრო მაღალ მაქსიმუმამდე“. ჰერდერი.

დავალება 1

1. ტექსტისა და წყარო 1-ის მიხედვით შეადარე ვიკოსა და ჰერდერის თვალსაზრისები ერთმანეთს, მიუთითე საერთო და განმასხვევებელი ნიშნები.


2. ჩამოაყალიბე საკუთარი პოზიცია კაცობრიობის პროგრესის შესახებ, მოიყვანე მაგალითები, რომლითაც დაადასტურებ ან უარყოფ მის არსებობას.

ეს საინტერესოა:

❖ ჰერდერი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ვროპულთან შედარებით აღმოსავლური ციფილიზაციის აღრეულობა და მსოფლიო ციფილიზაციის ისტორიაში მისი მნიშვნელობა აღიარა.

❖ ჰერდერი დაუპირისპირდა იმ დროს გაბატონებულ აზრს, რომლის მიხედვითაც კაცობრიობა იყოფოდა კულტურულ და კულტურის აღმქონე ხალხებად. ჰერდერის აზრით, სხვადასხვა ხალხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცხოვრების წესით, კულტურის განვითარების დონით, მაგრამ არ არსებობს ხალხი, რომელსაც საკუთარი კულტურა არ გააჩნია.

❖ ჰერდერის მიაჩნდა, რომ ისტორია არის ძალადობის, ჩაგრის, უსამართლობის სურათები, სწორედ ამ მოვლენებსა და ფაქტებს ხედავს ის წარსულში.



სურ. 2. ჰერდერი


კითხვა

რეაბირიკა „ეს საინტერესოას“ მიხედვით, როგორ შეაფასებ ჰერდერის შეზღულებებს აღმოსავლური ციფილიზაციის მნიშვნელობისა და კულტურის საყოველთაობის შესახებ? პროგრესულია, თუ არა, მისი თვალსაზრისი? ეთანხმები თუ არა მის აზრს?

გერმანელ ფილოსოფოსს, ემანუელ კანტს (1724-1804) მიაჩნდა, რომ ისტორიის პროცესს განსაზღვრავს ე.წ. „მუდმივი ფაქტორები“, ხოლო ამ პროცესზე შემთხვევითობების გაფლენა არაარსებითია:

წყარო 2

„... სახელმწიფოთა და ხალხთა მდგომარეობა... (არა არის დამოკიდებული) შემთხვევით მიზეზებზე — ცალკეულ ადამიანთა ბედზე და გერგილიანობაზე (მოხერხებულობა), მაგალითად, მმართველთა ცვალებადობაზე, დაპყრობასა და სახელმწიფოთა ქიშბობაზე, არამედ... დამოკიდებულია უფრო მუძმივ მიზეზებზე, რომლებიც ამ შემთხვევით მოვლენებს საფუძვლად უდევს, სახელდობრ: ამ ქვეყნის მდგომარეობაზე, შრომის პროდუქტებზე, ზნე-ჩეულებებზე, ხელოსნობაზე, გაჭრობაზე და ხალხმოსახლეობაზე“.



სურ. 3. კანტი

წყარო 3

„ისტორიას ძალიან მისტიკური ხასიათი ექნებოდა, „შემთხვევითობანი“ არავითარ როლს რომ არ თამაშობდნენ. ... (ისტორიული პროცესის, მოვლენის) დაჩარება ან დაყოვნება ძალიან არის დამოკიდებული ამგვარ ,შემთხვევითობათაგან“...“.



სურ. 4. ჰეგელი

ჰეგელის (გერმანია, 1770-1831) აზრით, ისტორიას წარმართავს „მსოფლიო გონი“, ხოლო ისტორიის შინაარსს განსაზღვრავს ადამიანის მიერ თავისუფლების მნიშვნელობის გაცნობიერება:

წყარო 4

„(ძველმა) აღმოსავლელებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ გონი, ანუ ადამიანი... თავისთვალი თავისუფალია. მათ მხოლოდ ის იციან, რომ ერთი ადამიანია თავისუფალი, მაგრამ ის ერთი კაცი, რომელიც თავისუფალია, ამით მარტოოდენ დესპოტია და არა თავისუფალი კაცი. ბერძნებშილა ამოანათა თავისუფლების ცნობიერებამ და ამიტომაც ისინი თავისუფალნი იყვნენ. მაგრამ მათაც, რომაელთა მსგავსად, მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ზოგიერთი თავისუფალნი არიან და არა ის, რომ თავისუფალია ადამიანი, როგორც ასეთი. ეს თვით პლატონსა და არისტოტელესაც კი აზრად არ მოსვლიათ ამიტომაც იყო, რომ... როგორც მათი ცხოვრება, ისე მათი შშვენიერი თავისუფლების არსებობაც, მათ მონათმფლობელობაზე იყო დამოკიდებული... მხოლოდ გერმანელმა ერებმა მიაღწიეს, ქრისტიანობის წიაღში შესულებმა, იმის გაცნობიერებას, რომ ადამიანი თავისუფალია, როგორც ადამიანი, რომ გონის თავისუფლება მის (ადამიანის) უსაკუთრეს ბუნებას შეადგენს“.

დაგვალება 2

1. შეადარე ერთმანეთს წყარო 2 და 3; მიუთითე მათ შორის მსგავსება-განსხვავებებზე; მსჯელე ისტორიის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ და ჩამოაყალიბე საკუთარი პოზიცია ისტორიაში შემთხვევითობის მნიშვნელობაზე.

2. შენი სიტყვებით გადმოეცი ჰეგელის პოზიცია და შეაფასე.

სწავლულები გარკვეულ შენიშვნებს გამოთქვამდნენ და რჩევებს აძლევდნენ ისტორიკოსებს.

ფრიდრიხ ნიცეშ (გერმანია, 1844-1900) თვლიდა, რომ ისტორიკოსის აუცილებელი თვისება უნდა იყოს ობიექტურობა, ამისთვის კი საჭიროა, მან თავი შეიკავოს ისტორიულ პირთა ან მოვლენათა შეფასებებისაგან. ისტორიკოსი უნდა იყოს სამართლიანი და, აქედან გამომდინარე, ისტორიკოსობაც რჩეულთა ხვედრია.

ოსგალდ შპენგლერის (გერმანია, 1880-1939) აზრით, მნელია ისტორიკოსმა სრული ობიექტურობა დაიცვას, რაღაც მის შეხედულებებზე, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანისაზე, მრავალი გარემოება მოქმედებს:

წყარო 5

„ნაპოლეონი, როცა ის იმპერატორი გახდა, სულ სხვანაირად აღიქვამდა საგნებს და ადამიანებს, კიდრე მაშინ, როცა ის ლეიინტენანტი იყო... ისტორია თავისთვალი არ არსებობს. ისტორია ერთი ოჯახის სხვადასხვა წევრისთვისაც კი ისევე, როგორც ქვეყნის ისტორია ყოველი პარტიისათვის, ხოლო მთელი თანამედროვეობის ისტო-



სურ. 5. ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა

რია ყოველი ხალხისათვის, სხვადასხვანაირია. მსოფლიო ომს გერმანელი ისე როდი უყურებს, როგორც ინგლისელი, მუშა ეკონომიკის ისტორიას სხვანაირად აღიქვამს, ვინემ მწარმე, უროპელი ისტრიკოსის თვაღწინ სრულიად სხვა მსოფლიო ისტორია ვითარდება, ვიდრე დიდმა არაბმა ან ჩინელმა ისტორიკოსებმა ნახეს...“.

ვიკოს აზრით კი საჭიროა, ისტორიკოსი განთავისუფლდეს იმ „ცდუნებებისაგან“, რომლებიც, როგორც წესი, დამახასიათებელია მკვლევართა უმრავლესობისათვის.

წყარო 6

„პირველი ცდუნება ისაა, რომ ისტორიკოსები, როგორც წესი, გადაჭარბებით აფასებენ წარსულის მიღწვევებს და ივიწყებენ მის ნაკლოვანებებს. მეორე ცდუნება აიძულებს ისტორიკოსებს, გააზვიადონ საკუთარი ხალხის მიღწვევები სხვა ხალხთა მიღწვევების დამცირების ხარჯზე. მესამე ცდუნება ისტორიკოსს უბიძგებს, ამა თუ იმ ერის ესა თუ ის მიღწვება სხვა ერისაგან ნასესხებად მიიჩნიოს მაშინაც, როცა ამ ერებმა ეს წარმატებები ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოიპოვეს. მეოთხე ცდუნებით ისტორიკოსი ისტორიულ პერსონაჟებს თავის ახვევს თავისი დროის ფასეულობებს მაშინ, როცა ეს ფასეულობებიც ისტორიულია და დროთა განმავლობაში იცვლება“. ფ. ლომაშვილი.

კითხვები:

1. რამდენად ეთანხმები ნიცვეს აზრს, რომ ისტორიკოსი მოყალეა, აღწეროს მოულენები და არა — შეაფასოს ისინი? დაასაბუთე შენი მოსაზრება.
2. წყარო 5-ის მიხედვით, რა გარემოებები მოქმედებენ ისტორიკოსის შეხედულებებზე და რამდენად მნიშვნელოვნად თვლი მათ?
3. შენი აზრით, შესაძლებელია თუ არა წყარო 6-ში ჩამოთვლილი „ცდუნებებისაგან“ თავის დაღწევა? რომელი მათგანი მიგაჩნია ყველაზე „მავნედ“ წარსულის ობიექტური შესწავლისათვის?

დამოუკიდებელი სამუშაო

დაწერე ესე თუმაზე: „მე რომ ისტორიკოსი ვიყო...“.

II თემა. ქართული ისტორიოგრაფია

§1. ქართული საისტორიო მფერდობა

ტერმინი ისტორია, რომელიც დღეს ასე ნაცობია თითოეული ჩვენგანისათვის, შედარებით ახალი დამკვიდრებულია ქართულ ენაში. ძეგლად ისტორიის მნიშვნელობით ქართველი ისტორიკოსები სხვა ტერმინებს იყენებდნენ, რომელთა უმრავლესობაც დღეს ან დავიწყებულია, ან ყოველდღიურ მეტყველებაში საკმაოდ იშვიათად იხმარება.

ისტორიის ძველი შესატყვისები გამოხატავდნენ ისტორიული თხზულების შინაარსს, მის სტილსა და აგებულებას. ტერმინები ეპოქების მიხედვით იცვლებოდა.

ისტორიის ერთ-ერთი უძველესი ქართული შესატყვისია „ცხორება“. ის თავდაპირველად ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში დამკვიდრდა და „წამება-მარტვილობათა“ პარალელურად იხმარებოდა. მაგალითად: „კოლაელ ყრმათა წამება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხორება“.

წყარო 1

„ცხორება“ ძველ ქართულში... აღნიშნავდა ცოდნის იმ დარგს, რომელიც ქვეყნის ან ჯერმო პირის (დიდი სახელმწიფო ან საეკლესიო მოღვაწის) თვეგადასაყალს, მის წარსულს განიხილავდა და სწავლობდა. ასე, რომ ცხორება ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ნიშნავდა ისტორიას და ამ უკანასკნელის მაგივრად იხმარებოდა. „.

პ. გრიგოლია.

საისტორიო ნაწარმოების აღმნიშვნელი ტერმინია „მატიანე“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს თავის თხზულებაში მოხსენიებული აქვს „ძველი მატიანე ქართლისა“. აღსანიშნავია, რომ ძველად ამ სახელით მხოლოდ მოვლენათა მარტივად აღმნუსხველი საისტორიო ნაწარმოები იწოდებოდა. „ნამდვილი“ საისტორიო თხზულების სახელად კი, როგორც ითქვა, „ცხორება“ იხმარებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსმა ქართულ მწერლობაში შემოიღო ტერმინი „ისტორია“. წინათ ასევე გამოიყენებოდა ტერმინები: „მოთხოვობა“ და „თხრობა“. გვრცელებული იყო „ანალები“ და „ქრონიკები“.

წყარო 2

„შეა საუკუნეების ვეროპაში (კონკრეტულად IV-XIV საუკუნეებში) ანტიკური ხანის „ანალების“ ტიპის ისტორიული ნაწარმოებები იწერებოდა, რაც ფაქტობრივად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების წლების მიხედვით მოკლე ფიქსაციას გულისხმობს... „ანალებთან“ შედარებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ე.წ. „ქრონიკები“, რომლებიც... მოვლენების უფრო დაწვრილებით და სისტემატიზირებულ თხრობას შეიცავდნენ“.

პ. ლორთქიფანიძე.

დაგალება 1

ტერმინისა და წყარო 1-ის და 2-ის მიხედვით ჩამოთვალე ისტორიის შესატყვისი ძველქართული ტერმინები და შინაარსობრივად დაახსასიათებ ისინი.

ისტორიული ამბების აღწერა ძველთაგანვე როტულ და საპასუხისმგებლო საქმედ ითვლებოდა. განათლებული მკითხველის მოწონება რომ დაემსახურებინა, ისტორიულ ნაწარმოებს რამდენიმე აუცილებელი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა.

წყარო 3

„... ქართველი ისტორიკოსები საისტორიო მწერლობას მოწიწებით და თავიანთ მოგალეობას პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით ეპყრობოდნენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ საისტორიო თხზულებაში ყველაფრის და ყოველგვარი ცხობის შეტანა კი არ შეიძლებოდა, ...არამედ მხოლოდ ისეთი ამბების აღნუსხვა მიაჩნდათ სასურველად, რომელიც .. იყო „დირს ხსენებისა და შუენიერებაი აღწერისა...“

ქართველ ისტორიკოსებს შეგნებული პერიოდით, რომ საისტორიო ნაწარმოებში „არა საკადრებელ არს თხრობა... უშვერისა რასმე. მაგრამ ამგვარი მოკრძალებობისა და მორიდებისდა მიუხედავად ქართველ ისტორიკოსებს საისტორიო თხზულების უმთავრესი დანიშნულება არ დავიწყებიათ და ნათლად შეგნებული პერიოდათ, რომ „უამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყუელება არს, არა თვალასხმა ვისმესი...“

ყოველი განათლებული ისტორიკოსი მოვალე იყო, რომ მოთხოვის უეჭველობაზე ეზრუნა და სანდო წყაროებით ესარგებლა...“

ამ მხრივ საინტერესოა, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული ... თუ რა მნიშვნელობა აქვს საისტორიო მოთხოვის უეჭველობისათვის, როდესაც მოთხოვილი თვით აღმწერებლის ... „თვალთხილული“ იყო...“.

ფ. ჯავახიშვილი.

ქართველმა ისტორიკოსებმა იცოდნენ, რომ ყოველთვის არც თვითმხილველთა ნაამბობის ნდობა შეიძლებოდა. ამიტომ ისტორიკოსს, პირველ რიგში, თვითმხილველის პირადი თვისებებისთვის უნდა მიექცია ჯეროვანი ყურადღება, რათა დარწმუნებულიყო, რომ ამბის მთხოვილი იყო „პირი უტყუელი“ და „სარწმუნო კაცი“. მაგრამ საკმარისად არც ამ თვისებების შეცნობა ითვლებოდა. თვითმხილველს „ბრძენთა და გონიერთა კაცთა სახელი“ უნდა ჰქონდა მოხვეჭილი და თან თავისი ნაამბობის სიმართლე ფიცითაც უნდა განემტკიცებინა.

ისტორიკოსები ყურადღებას აქცევდნენ თხოვის სტილს და ნაწარმოების სხვა გარეულ მხარეებს. მაგალითად, ამბის აღწერა მკითხველისათვის არც მოსაწყენი ან უინტერესო უნდა ყოფილიყო და არც დამაბნეველი — ძირითადი აზრიდან გადახვევა, მეორეხარისხოვან ამბებზე ყურადღების გამახვილება ისტორიკოსის ნაშრომს ღირსებას უკარგავდა.

წყარო 4

„ნამდვილ ღირსეულ ისტორიკოსისასთვის სააუგო იყო, თუ რომ მისი თხზულება „სოფლურითა“ და „ლიტონითა სიტყვითა აღწერილი“ იქმნებოდა... ისტორიკოსს შესაფერისი ხელოვნება უნდა გამოეხინა (ეფრუმ მცირე)... საისტორიო თხზულებაში „უშვერისა რასმე“ მოთხოვიბა „არა საკადრებელ“ იყო (ჟამთააღმწერელი)...“

სამაგალითოდ მიჩნეული ყოფილა, თუ ისტორიკოსი თავის თხზულებას დასწერდა „ხელოვნებითა რიტორობისათა“ და „ჯეროვნად რიტორობისა“. ტყუილუბრალოდ სიტყვების რახარუხი და გაზვიადებული, ტლანქი მოქარგულობა ქართულ მწერლობაში დაგმობილი ყოფილა და არცა გვხდება...“

...ამის გამოა, რომ ქართველ ისტორიკოსებს მუდამ აღნიშნული აქვთ, ჩვენს თხზულებაში ყველაფერი კი არ არის დაწვრილებით აღწერილი, არამედ „მრავლისაგან მცირედ აღიწერაო“. „მატიანე ქართლისაის“ შემქმნელი აცხადებს, რომ თვითონეულად აღწერის მაგირ „მცირედ წარმოუთქვიო“, ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს: „მცირედ მრავლისაგან... მოსცემ თხრობასაო...“.

ფ. ჯავახიშვილი.

დავალება 2

1. ტექსტისა და წყარო 3-ის მიხედვით იმსჯელე ისტორიული ნაწარმოების მიმართ წამოყენებულ მოთხოვნებზე, განმარტე მათი მნიშვნელობა და აღნიშნე თუ რამდენად უზრუნველყოფდა მათი შესრულება ნაშრომის სრულფასოვნებას.

2. წყარო 4-ის მიხედვით იმსჯელე ისტორიკოსთა თხრობის სტილზე. რამდენად სრულყოფილად თვლი ამბის გაღმოცემის შემუშავებულ პრინციპებს? სურვილისამებრ შეავსე ეს ჩამონათვალი.

§2. ქართველი ისტორიოგრაფიის განვითარების ეტაპები.

საქართველოში ისტორიული მეცნიერება ჩამოყალიბებიდან მაღვევ აღწევს განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს.

წყარო 1

„ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლა მარტევილობათა და წმიდათა ცხორებათა განხილვით იწყება და თვითონეული წამება ან ცხორება იმგვარისავე გულმოდგინეობით და ზედმიწვნილობით არის გამოკვლეული, როგორც სმოქალაქო ისტორიის დარგის რომელიმე ნაწარმოები... ქართული სამოქალაქო ისტორიის ისეთი ძეგლების, როგორიც დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებია, ნამდვილი ღირსება-

მნიშვნელობის გათვალისწინება შეუძლებელია, თუ-კი თავდაპირველად ბასილი ზარზმელის, მეტადრე-კი გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცესმონაზონისა და ეფრემ მცირის საეკლესიო საისტორიო თხზულებები გულდასმით შესწავლილი არ გვექნება“.

ფ. ჯავახიშვილი.

დაწინაურებული ჰაგიოგრაფიული მწერლობის გარდა ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებას ხელს უწყობდა იმ დროისათვის მოწინავე ბიზანტიური და ძველბერძნული ისტორიოგრაფიული სკოლის გავლენაც.

წერო 2

„... XV საუკუნეში ქართულ საისტორიო მწერლობაში სამაგალითოდ ძველი ბერძნული და ელინური საისტორიო მწერლობა ყოფილა მიჩნეული და ელინური მწერლობის ცოდნა ქართველ ისტორიკოსებს ცხადად ეტყობათ...“.

ფ. ჯავახიშვილი.

კითხვები:

1. ტექსტისა და წერო 1-ის მიხედვით, რით დასტურდება ქართული საისტორიო მწერლობის სიძველე და მისი განვითარება?

2. წერო 1-სა და 2-ის მიხედვით, რა ახდენდა გავლენას ქართულ ისტორიულ აზროვნებაზე? და, შენი აზრით, როგორი იქნებოდა ეს გავლენა?

აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს ჩვენში ისტორიული მეცნიერების სწრაფი განვითარება. შემუშავდა ისტორიულ ნაწარმოებთა წერის სტილი, განისაზღვრა წეროებზე მუშაობის ხერხები და სხვა.

წერო 3

„ქართული საისტორიო მწერლობისა და აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით: იოანე საბანისძეს, რომელმაც თავისი შრომა გარკვეულ გეგმაზე აგო და ცხოვრების კერძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და თავის თანამედროვეებსაც დაანახა; ბასილ ზარზმელს, რომელსაც თხრობის წესისა და მეთოდების შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება; განსაკუთრებით კი გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც საისტორიო მწერლობის მეთოდები ჩვენში უაღრესად განვითარა; გიორგი ხუცესმონაზონს, რომელმაც ღვაწლის შედარებითი დაფასება პირველად შემოიღო ქართულ მწერლობაში და რასაკვირველია ეფუძნები მცირეს, ვითარცა საისტორიო მწერლობის მეთოდებისა და ტექნიკის საუკეთესო თეორეტიკოსისა და ჩვენში ანალოგიის (შედარების) მეთოდის შემოძლებელს; აგრეთვე დავით აღმაშენებლის შესანიშნავ ისტორიკოსებაც, რომელმაც ისტორიული შედარება სამოთხოვო მეთოდად აქცია და ნათლად შეიგნო, რომ სახელმწიფო მოღვაწის მოქმედების ნაყოფიერება მარტო მის პირად ნიჭისა და მხეობაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ მისი ქვენისა და ერის კულტურულ მდგრამარეობასა და პირობებზე; ისტორიკოს-ფილოსოფოს ნიკოლოზ კათალიკოზს და, დასასრულ, ქართველს დიდებულ მეცნიერს ისტორიკოსს ბატონიშვილს ვახუშტს, რომლის კრიტიკული და ისტორიული მეთოდები და თეორიული მსჯელობა საქართველოს სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების უმთავრესი ხნებისა და დამახასიათებელი თვისებების შესახებ სწორედ რომ განსაცვიფრებელია“.

ფ. ჯავახიშვილი.

დაგალება 1

წერო 3-ში მოხსენიებულია ყველა ის სწავლული მოღვაწე, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. მათ მიერ შემუშავებული და დახერგილი სიახლეების მიხედვით იმსჯელე:

1. რომელიმე მათგანის შესახებ და წარმოაჩინე მისი დამსახურება კვლევის, ისტორიული მოვლენის აღწერისა და შეფასების საქმეში.

2. ისტორიული ნაწარმოების მიმართ წამოყენებულ მოთხოვნებზე.

ქართული ისტორიული მწერლობის, ისვევ როგორც ქართული კულტურის, დაქვეითება XV საუკუნიდან იწყება. ამ დროს მონარქიულთა და თურქმან ტომთა ლაშქრობებით დაუძლეურებული ქვეყანა სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ჩვენთვის არანაკლებ მძიმე აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერიის დაცემის პოლიტიკური და კულტურული შედეგებიც.

წყარო 4

„XV-XVI საუკუნების მწერლობა საქართველოს დაქვეითების უტყუარი სურათია: დახელოვნებული საისტორიო თხზულებების მაგიერ ყოფლად უმწეო მატიანები იყო, რომელთა მსგავსი ძევლად სრულებით არ მოიპოვება. იქნება ამგვარი მატიანები ძველადაც ყოფილიყო, მაგრამ რაკი მაშინ ამასთანავე სხვაც, საუცხოვოდ აღწერილი საისტორიო ნაწარმოებნიც საქმაოდ მოიძებნებოდა, ამიტომ მატიანების ყურადღებას არ აქცივდნენ და არც შენახულა...“.

ფ. ჯავახიშვილი.

დაქვეითების პროცესი დიდხნას არ გაგრძელებულა. XVII საუკუნიდან იწყება ქართული კულტურის აღმავლობის ხანა, რაც, პირველ რიგში, ისტორიული აზროვნებისა და მწერლობის აღორძინებით აღინიშნა.

წყარო 5

„.... XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ემზევა ქართულ ისტორიულ აზროვნებას აღორძინება დასავლეთ კურობასთან და რუსეთთან კულტურული ურთიერთობის გამოცოცხლებისა და ირან-ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში.... მეფე ვახტანგის ბრძანებით შეიქმნა „სწავლულ კაცთა“ კომისია, რომელსაც საქართველოს ისტორიის („ქართლის ცხოვრების“) შესება დაგვალა... ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ამავე ხანის მეცნიერ-ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა დაიწუნა ხსენებული კომისიის ნამუშაკები და საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან თვის დრომდე ინდოიდუალურად გამართა“.

ნ. ბერძნიშვილი.

კითხვები:

1. რამ განაპირობა ქართული კულტურისა და ისტორიული მწერლობის დაქვეითება?
2. წყარო 4-ის მიხედვით, რა მეტყველებს ჩვენში ისტორიული აზროვნების დაქვეითებაზე?
3. რა გარემოებებმა შეუწყო ხელი XVII—XVIII საუკუნეებში ისტორიული მეცნიერების აღორძინებას?

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1756) ავტორია ისტორიული თხზულებისა, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც ჩვენი სამშობლოს წარსულთან ერთად მოცემულია მისი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერა. ისტორიკისები ერთხმად აღიარებუნ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ეს ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი სწორუპოვარი ძეგლია.

წყარო 6


„ვახუშტი... გეოგრაფიას ისტორიის განუყრელ ნაწილად მიიჩნევდა. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ისტორიის გადმოცემას იგი წინ უმძღვარებს მის გეოგრაფიულ მიმოხილვას...“

... ვახუშტისდროინდელ ვროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში უკვე გავრცელებული იყო ისტორიული ნარკვევისადმი ეთნოგრაფიული მიმოხილვების დართვა, ქართული ისტორიოგრაფიისათვის კი ეს წესი ახალ ამბავს წარმოადგენდა და ვახუშტი მისი დამწერებაია...

... წყაროთა კრიტიკისათვის აუცილებელი ხდება მათი წრის გაფართოება, ნარატიული წყაროების გვერდით დოკუმენტური მასალების, ნივთიერი თუ ზეპირისიტყვიერი წყაროების შემოტანა მიმოქცევაში. ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხო არ იყო წყაროთა წერის ასეთი გაფართოება, ძევლი ქართული საისტორიო მწერლობა წარმატებით იყენებდა როგორც დოკუმენტურ, ისე ზეპირისიტყვიერ მასალებს, მაგრამ მამინ ამას იშვიათი და ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. ვახუშტიმ კი ყოველგვარი წყაროს მოხმობისა და გამოყენების წესი საგალდებულოდ აქცია, ფართო და ყოვლისმომცველი ხასიათი მისცა მას...“

... ვახუშტი ხშირად მიმართავს შედარებისა და ანალოგის მეთოდებს: სურ. 1. ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოში წიგნის გაუფასურების ანალიგიად იგი სოკრატეს დროინდელ ვითარებას ახსენებს საბერძნეთში, როცა წიგნის ფასი იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე იმ მასალისა, რომელზეც ის იწერებოდა...

... მოვლენების მიხეს-შედევობრივი ახსნა ვახუშტის ნაშრომში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტის შემოქმედებაში ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი...“.



სურ. 1. ვახუშტი ბატონიშვილი

დაგულება 3

წყარო 6-ის მიხედვით იმსჯელე იმ მეცნიერულ სიახლებზე, რომელთა დანერგვაც ვახუშტი ბატონიშვილის სახელს უკავშირდება და შეაფასე მისი წელილი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

დამატებითი მასალა

ვახუშტი ბატონიშვილი ვახტანგ მეფის (ვახტანგ VI) უკანონო შვილი იყო. მის აღზრდასა და განათლებაში მონაწილეობა მიუღიათ კათოლიკე მისიონერების.

ვახუშტი ბატონიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქაეფნო საქმეებში. მან რამდენჯერმე წარმატებით იღაშქრა ქსნის ხეობაში ურჩი ერისთავების — დათვენასა და შანშეს წინააღმდეგ. მალე ის საბარათიანოს სადროშოს სარდალი გახდა და 1722 წელს მამას, მეფე ვახტანგს, თან ახლდა განჯასთან რუსთა დამხმარე ჯარის მოლოდინში. მაგრამ, როგორც უკვე იცით, რუსეთმა პირობა დაარღვია, რასაც მეფისა და მისი თანამოაზრულების რუსეთში გადახვეწია მოჰყევა.

მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად ვახუშტი რუსეთში არ წყვეტდა მეცნიერულ მუშაობას, რასაც წარმატებით უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას.



სურ. 5. ლომონოსოვი

წყარო 7

„ჩანს, ვახუშტის გარკვეული მონაწილეობა მიუღია მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. (XX საუკუნის) დასაწყისში მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი შენობის სააქტო დარბაზში ჯერ კიდევ ყოფილა დაცული ვახუშტის ბიუსტი და მემორიალური დაფა. ვახუშტის სახელი იკითხებოდა მ. ლომონოსოვის, ი. შუგლოვის და სხვათა შორის უნივერსიტეტის კედელზე მიკრულ მარმარილოს დაფაზე“.

შ. ხანთაძე.

ვახუშტი ბატონიშვილი არა მხოლოდ სახელოვანი მეცნიერია, არამედ მან ქართველ მოღვაწეთა შორის სამართლიანად დაიმკვიდრა დიდი მოაზროვნისა და განმანათლებლის სახელიც. მისი აზრით, ლირებულია მხოლოდ სწავლა, ცოდნა. დანარჩენი კი, თვით ძლევამოსილი მეფობა, თვალმიუწვდომელი სიმდიდრის დაგროვება და, მითუმეტეს, განცხომით ცხოვრება, არ იძლევა ჭეშმარიტად „კეთილ ნაყოფს“:

წყარო 8

„სწავლა განაპონობს, თვითსუფალ ჰყოფს (ადამიანს), აცნობებს ღმერთსა ... აღაფრენს და წინადაუდებს ყოველსა ქმნულებასა ცისა და ქვეყანისასა... აჩვენებს ბუნებასა... ვარსკვლავთა, ცხოველთა და ნერგთა, განსდევნის ბოროტსა, შეაფურებს მოყვასსა...“.

დაგულება 4

1. ტექსტისა და წყარო 7-ის მიხედვით იმსჯელე ვახუშტი ბატონიშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის შესახებ.

2. წყარო 8-ის მიხედვით შეაფასე ვახუშტის შეხედულებები განათლების შესახებ, რამდენად იზიარებ მის პოზიციას? დაასაბუთე შენი აზრი.

განმარტებები

ნარატიული — თხრობითი, მოთხრობითი

§3. „ქართლის ცხოვრება“

საქართველოს წარსულის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლია „ქართლის ცხოვრება“. ისტორიკოსები თვლიან, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი კრებული XI-XII საუკუნებში შეიქმნა და შემდეგ დროდადრო ხდებოდა მისი შესება.

წყარო 1

„.... ეროვნული კულტურის მაღალი დონისა და განვითარებული საისტორიო მწერლობის პირობებში ქვეყანა პოლიტიკური გაერთიანების დროს თავისი წარსულის ერთიან და სრულ აღნუსხვას მოითხოვდა. საჭირო იყო, რათა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება მტკიცედ ყოფილიყო დასაბუთებული, როგორც ისტორიულად აუცილებელი მოვლენა, მთელი ქართველი ხალხის არა მარტო საერთო წარმოშობით, არამედ მათი მმური თანამეგობრობითაც და, რაც მთავრია, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლითა და სისხლით განმტკიცებული. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ძველად ეს სწორუპოვარი ძეგლი“.

გ. გრიგოლია.

წყარო 2

„....(XI საუკუნის) ქართული ისტორიოგრაფიაში უდიდესი მნიშვნელობის სიახლეებს ვხედავთ: უპირველეს ყოვლისა ჩნდება საერთო ისტორიოგრაფია, რომელიც ჯერ საეკლესიო ისტორიოგრაფიის მხარდამხარ ვითარდება, შემდეგ კი გაბატონებული ხდება. საერთო, სამოქალაქო ისტორიოგრაფიაზე გარდამავალი ძეგლი უკვე IX საუკუნეში იწერუბა „მოქცევაი ქართლისაის“ სახით, XI საუკუნეში კი იმნება ლეონტი მროველის, ჯუანშერის, სუმბატ დავითის ძის, ანონიმის და სხვ. ნაწარმოებები, რომელთაგანაც მაღე (XII ს.) შედგა კრებული „ქართლის ცხოვრება“.

შ. ხანთაძე.

წყარო 3

„„ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს საისტორიო თხზულებათა კრებულს, სადაც შეტანილია ქართველი ისტორიკოსთა თხზულებები, რომლებიც თანმიმდევრობით მოგვითხრობენ ქართველი ერის თავგადასაყალს უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე...“

ამ კრებულის წარმოშობა ჩვენ ასე წარმოგვიდგება. როდესაც დაიბადა იმის საჭიროება, რომ პქონოდათ ქართველი ერის თავგადასაყლის შემცველი წიგნი სკოლაში სახმარ სახელმძღვანელოდ და შინ საკითხაც წიგნად, დაძებნეს ცალკეული ეპოქებისათვის დაწერილი მიმოხილვები და საისტორიო ნაშრომები, შეაერთეს ეს უკანასკნელნი ისე, რომ მოთხრობა თანმიმდევრული ყოფილიყო, და გაუკეთეს საერთო რედაქცია“.

ს. გაუხჩიშვილი.

დავალება 1

1. წყარო 1-ის, 2-ისა და 3-ის მიხედვით განმარტე ქართული ისტორიოგრაფიის დაწინაურებისა და „ქართლის ცხოვრების“ შექმნის მიზეზები.

2. ამავე წყაროების მიხედვით იმსჯელე „„ქართლის ცხოვრების“ შემდგენლების მიზნებზე.“

ეს საინტერესო:

„„ქართლის ცხოვრება“ პოპულარული ისტორიული ძეგლი იყო ძველ საქართველოში. მას ეცნობოდნენ მეცნები და წარჩინებულები, რაღაც ის წარსულის შესახებ მრავალ საგულისხმო მასალას შეიცავდა, რომლის ცოდნის გარეშე გაჭირდებოდა ქვეყნის მართვის სწორი პოლიტიკური კურსის შერჩევა. „„ქართლის ცხოვრება“ ამშვენებდა წარჩინებულთა ბიბლიოთეკებს, ხოლო პატარძლებისათვის ის, „ვეფუზისტებისანთან“ ერთად, ძვირფას სამზითვოს წარმოადგენდა.

ხალხი „„ქართლის ცხოვრებას“ ოდითგანვე „პატიოსანსა“ და „წმიდა“ წიგნად მოიხსენიებდა — „გამარჯვებულ ექმნენით... მეფესა ალექსანდრეს და დედოფალ ანას, რომლისა მიერ გვებრანა პატიოსანსა ამათ წიგნთა აღწერა...“; „დაიცვე... დედოფალთა დედოფალი მარიამ... რომლისა ბრძანებითა იწერება წმიდა ესე წიგნი“.



სურ. 1. მარიამ დედოფალი შვილთან - ოტიასთან ერთად

წერო 4

„ქართლის ცხოვრება“ წმინდა წიგნად იყო მიჩნეული, რადგან იგი შეიცავდა ქართველთა წარსული ცხოვრების ისეთ მიმოხილვას, რომელსაც უნდა აღწეარდა ახალგაზრდობა მაღალი მორალის მცნებებზე. „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ ნაწარმოებთა ავტორების ამოსავალ წერტილს, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორთა მსჯელობის ქვაკუთხედს, წარმოადგენდა ის ურყვები დებულება, რომ „უამთააღმწერლობა ჰეშმარიტების მეტყუელება არს“... ისტორიაში უნდა ყოფილიყო შეტანილი ... სწორი შეფასება როგორც ღირსეული საქმებისა, ისე უღირსი გასაკიცხი ზრახვებისა“.

ს. ყაუხჩიშვილი.

გავეცნოთ „ქართლის ცხოვრების“ სტრუქტურას. ვნახოთ, რომელი ნაწარმოებებისგან შედგება და ჩვენი ისტორიის რომელ ეპოქებს აღწერს ის:

1. ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და თავდაპირველთა მამათა და ნათესავთა“ – მოგითხობს ისტორიას უძველესი დროიდან V საუკუნეში;
2. ჯუანშერი, „ცხოვრება მეფისა ვახტანგ გორგასლისა“ – მოიცავს V-VIII საუკუნეებს;
3. ლეონტი მროველი, „წამება წმიდისა და დიღებულისა მოწამისა არჩილისი“ – გაშუქებულია VIII საუკუნის დასასრულის მოვლენები;
4. უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაი“ – გადმოგვცემს ამბებს VIII საუკუნიდან XI საუკუნის 70-იან წლებამდე;
5. უცნობი მემატიანის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“;
6. სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ – გადმოგვცემს ბაგრატიონთა გვარის ისტორიას უძველესი დროიდან XI საუკუნის 30-იან წლებამდე;
7. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“;
8. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი (პირობითად, ბასილი ეზოს მოძღვარი), „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა“;
9. ლაშა გიორგის დროინდელი უცნობი მემატიანე – აღწერს 1125-1222 წლების მოვლენებს;
10. უამთააღმწერლის სახელით ცნობილი ავტორის უსათაურო თხზულება, რომელიც ქება 1213-1318 წლების მოვლენებს და გადმოგვცემს საქართველოში მონღოლთა ბატონობის ისტორიას.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში არ არის შესული „მოქცევაი ქართლისაის“ კრებული. მასში ლაკონურადა გადმოცემული საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან, ქართლში აღექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან, VII საუკუნის შუა ხანებამდე. კრებულს თან ერთვის IX საუკუნემდე ქართლის მეფეთა, ერისმთავართა და კათალიკოსთა სია. ცენტრალური ადგილი კი ქართლში წმინდა ნინოს შემოსვლასა და საქართველოს გაქრისტიანებას ეთმობა. „მოქცევაი ქართლისაი“ გადმოგვცემს მეფეთა ზეობას, ქართლის ურთიერთობას ირანთან და ბიზანტიასთან, აღწერს დამპყრობთა ბატონობის სიმძიმეს – ირანელთა მიერ ქართლის დახარკვესა და მეფობის გაუქმებას, გვისურათებს ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის. კრებული საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე, კერძოდ, ქალაქთა შენებაზე, სარწყავი არხების გაყვანაზე, ეკლესიათა აგებაზე. ასეთი ცნობები იმდენად მრავალრიცხვანია, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიკოსები „საამშენებლო მატიანესაც“ უწოდებენ.

დავალება 2

ჩამოთვლილთაგან ბევრი ისტორიკოსი ან ნაწარმოები თქვენთვის უკვე ცნობილია. დაჯგუფდით, გაიხსენეთ რომელიმე თხზულების შინაარსი და იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს წყარო საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

ეს საინტერესოა:

ჩვენამდე მოღწეულია „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის ერთ-ერთი მარიამ დედოფლის ბრძანებით შედგენილა, რომელსაც სხვაგვარად „მარიამისეულ ნუსხასაც“ უწოდებენ.

მარიამ დედოფალი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის და იყო. თავდაპირველად ის გურიის მთავარს — სეიმონ I-ს გაჰყენა ცოლად. მალე, 1625 წელს, დადიანისა და გურიელს შორის ლანჩჩუთოან სისხლიმდვრელი ბრძოლა გაიმართა. გამარჯვება სამეგრელოს მთავარს დარჩა, მან დატყვევებულ გურიელს თვალები დასთხარა და ციხეში გამოეტა. ლევანმა თავისი და მარიამი და დისმეტილი ოტია თავის სასახლეში წამოიყვანა.

1632 წელს ირანის შაპემა ქართლის მეფედ როსტომ ხანი დასვა. როსტომ ხანმა პოლიტიკური მოსაზრებით მარიამი იქორწინა, რითაც იმ დროის უძლეველ ქართველ მთავარს დაუმოიყვრდა.

მარიამი განათლებული ქალი იყო. მისი ძალის ხმელეთი მტრის მიერ გაჩანაგებული კულტურის მრავალი ძეგლი აღადგინეს, რესტავრაცია ჩაუტარდა ეკლესია-მონასტრებსაც. ამ საქმიანობაში მეუღლეს მხარს უჭირდა ქართლის გამაპმადიანებული მეფე როსტომიც.

„ქართლის ცხოვრების“ ერთიანი ისტორიული კრებულის შექმნა ნიშნავდა სხვადასხვა თხზულებების ერთმანეთზე ლოგიკურად გადაბმას. ამ ღროს რედაქტორი ანუ „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი ან შემავსებელი, თხზულებებს, იმისათვის, რომ თხრობა გაბმული და ერთიანი ყოფილიყო, აკვეცდა დასაწყისი ხაწილს (შესავალს) და დასკვნებს (ბოლოს). მაგალითად, როდესაც აერთიანებდნენ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს, რომელთაგან პირველი V საუკუნის ამბებით სრულდება, ხოლო მეორე, ვახტანგ გორგასლის მეფობას გადმოგვცემს, რედაქტორს ისინი შეუკვეცია.

წეარო 5

„მირდატ... შეიპყრეს სპარსთა... წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკვდა...“ (ლეონტი მროველის თხზულების დასასრული);

„შეიპყრეს ქართველთა მეფე (მირდატ) სპარსთა... და წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკვდა და დაიპყრეს ქართლი სპარსთა...“ (ჯუანშერის თხზულების დასაწყისი).

წეარო 6

„არ არის საეჭვო, რომ ორი სხვადასხვა ისტორიკოსი ლეონტი მროველი და ჯუანშერი ვერ დაწერდნენ თავიანთ საისტორიო შრომებს ისე, რომ მათი ბოლო და დასაწყისი ასე ბუნებრივად გადაბმოდა ერთმანეთს. ცხადია აქ რედაქტორის ხელი უნდა ვიყრაუდოთ მათ შეუცვლიათ, როგორც ლეონტის თხზულების ბოლო, ისე ჯუანშერის თხზულების დასაწყისი...“

...ამგვარად ცხადია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი თხზულებები ძევლი ქართველი ისტორიკოსებისა ჩვენამდე მოღწეულია შეცვლილი სახით: ყოველ შემთხვევაში, ამ შრომების დასასრული და დასაწყისი რედაქტორთა მიერ იკვეცებოდა და იცვლებოდა. და რაღაც აუტორის სახელი მოხსენიებული იქნებოდა თხზულების თვეში ან ბოლოში, ჩვენ არ შევვრჩა „ქართლის ცხოვრებაში“ არც ერთი თხზულება, რომლის აუტორი იქვე იყოს დასახელებული, გარდა სუმბატ დავითის-ძის „ქრონიკისა“...“.

ს. გაუხჩიშვილი.

კითხვები

1. რატომ გახდა საჭირო „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება?
2. წეარო 6-ის მიხედვით, რა სახის ცვლილებებს იწვევდა ცალკეულ ნაწარმოებთა რედაქტირება?
3. რამდენად მნიშვნელოვანია ამ სარედაქციო ცვლილებების გათვალისწინება თანამედროვე მკვლევარის მიერ? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

§4. „ქართლის ცხოვრება“ – საქართველოს ისტორიის სადღო წყარო

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლისა და მისი მნიშვნელობის სწორად შეფასების საქმეში დიდია თერგ-დალეულების წვლილი. მათ, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად, შეძლეს ჩვენი წარსული და მისი ძირითადი წყარო — „ქართლის ცხოვრება“ დაუცათ გამყალბებლებისაგან, რომელიც ქართველი ერის ისტორიის დაკინებით ცდილობდნენ საზოგადოებაში ნიპილისტური განწყობის დამკვიდრებას და ამით რუსიფიკაციის პროცესის დაჩქარებას.

ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი კრიტიკულად არ უდგებოდნენ ძველ ისტორიულ წყაროებს და მათში გადმოცემული ყოველი ფაქტი სრულ ჟურნალისტებად მიაჩნდათ. მეტიც, „ქართლის ცხოვრებაზე“ საუბრისას ილია ერთ სერიოზულ ნაკლოვანებაზეც ამახვილებს ყურადღებას:

წყარო 1

„ჩვენი ქართლის ცხოვრება ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და, ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმარის კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“.

ილია ჭავჭავაძე.

ილიას თანამედროვე დიმიტრი ბაქრაძე დანანებით წერდა, რომ წერილობითი მასალების ძუნწი ინფორმაციებით არ ხერხდება წარსულ დროებათა ნათელი და სრული სურათის აღღენა:

წყარო 2

„შინაურს ცხოვრებას ისინი (მატიანენი) სულ არ შევხებიან და მდუმარებენ, ან თუ ამბობენ რასმე, მხოლოდ ოდნავ, გაკვრით. მხოლოდ მოწამედ ამ შინაური ცხოვრებისა არქიტექტურული სახსოვარნიღა არიან დარჩენილნი, კოშკი, ციხენი, დანგრუული ხიდი, აგრეთვე, საკლესიო შენობანი და მათი ზედწარწერანი; მაგრამ მარტო ამგვარ სახსოვართა შემწეობით უწინდელს გამქრალს ცხოვრების ნამდვილი მოთხოვა და მოგონებით აღღენა შეუძლებელია“.

მოგვიანებით, ამ საკითხს „ქართლის ცხოვრების“ არაერთი მკვლევარი შევხო. თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილი ილიას თვალსაზრისს იზიარებს. თუმცა არსებობს განსხვავებული შეფასებაც. მაგალითად, ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ძველ მატიანებში უბრალო ხალხის ცხოვრების აუსახველობას სავსებით ლოგიკურად თვლიდა და ეს ფაქტი „ქართლის ცხოვრების“ ნაკლად არ მიაჩნდა:

წყარო 3

„... საყვედური მისი („ქართლის ცხოვრების“) მისამართით, თუ რატომ არ არის ის ფეოდალური საქართველოს გამართული ისტორია, — გაუგებრობაა. ილია ჭავჭავაძეს, დ. ბაქრაძეს და სხვა სამოცაანელებს ცალმხრივობა სჭირდათ „ქართლის ცხოვრების“ შეფასებისას. მათ ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრება“ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების იდეების საქადაგოდ კი არ იყო შექმნილი, არამედ თვითი დროისათვის, ე.ი. ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვებისათვის, ფეოდალთა კლასობრივი ბატონობისათვის, რასაც ის დიდი წარმატებით ემსახურებოდა“.

კითხვები

1. შენი აზრით, რატომ თვლიდა ილია ჭავჭავაძე ხალხის ცხოვრების უგულებელყოფას „ქართლის ცხოვრების“ ნაკლად? ეთანხმები თუ არა მის პოზიციას?

2. როგორ ფიქრობ, რით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული ეს ნაკლი?

დამატებითი მასალა

თერგდალეულთა გამონათქვამებში თავს იყრის ისტორიის მნიშვნელობის მრავალმხრივი გაგება. აღიარებულია, რომ ისტორია წარსულის გაცნობით თანამედროვე ვითარებასაც უკეთესად გვაანალიზებინებს, გვეხმარება სამომავლო ორიენტირების დასახვაშიც, წარსულის მაგალითების გაცოცხლება ხელს უწყობს პროგრესული მსოფლმხედველობის დამკვიდრებას საზოგადოებაში.



სურ. 1. იაკობ გოგებაშვილი

თურგდალეულები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისტორიას, როგორც ხალხში ეროვნული ცნობიერების, მამულიშვილური გრძნობების, მისწრაფებების აღზრდის საუკეთესო საშუალებას. ისტორიის დავიწყებით კი, ერის არსებობას თითქოს ნიადაგი ეცლება, ასეთი ხალხი გასაქრობად არის განწირული.

ისტორიული ცოდნის გავრცელებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ისეთი სახელმძღვანელოს შედეგას ენიჭებოდა, რომელიც ეროვნული სიამაყის გრძნობით აღავსებდა მკითხველს გმირული წარსულის გამო და დაავიქრებდა იმ მანკიერებებზე, რომელთა დაძლევაზედაც გარკვეულწილად არის დამოკიდებული ერის მომავალი. „ამ მოსაზრებით ჩვენ ისტორიულ მოთხოვნებში ვხსნით, გარკვევთ, თუ რა ასუსტებდა წარსულში ჩვენს ერსა და რა აყენებდა მას აყვავების გზაზე. მაგალითად განცალკევება საქართველოს კუთხებისა ნამდვილი შესაძირებელი ერის მომავალი...“ (იაკობ გოგებაშვილი).

ქართველი სამოციანელები თვლიდნენ, რომ წინაპრების თავდადებული ბრძოლა ახალ დროში ასეთივე თავდადებული შრომით უნდა შეცვლილიყო, რადგანაც ამჯერად შრომის ფრთხიტი იძნდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყლი, ჩვენი ქვეყანა... ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა. შრომით და გარჯოთ, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს... და ჩვენს შშვნიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვნი დაეპატრონებიან: შრომას და გარჯას, ცოდნასა და ხერხს გერაფინ გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ“ (ილია ჭავჭავაძე)

თურგდალეულები კარგად გრძნობდნენ, რომ უკეთესი მომავალი სხვაგვარ ბრძოლას, შრომას, აზრის ახლებურ მოძრაობას მოითხოვდა. ისინი ხაზასმით აღნიშვნენ, რომ წარსულის შესწავლის მოთხოვნით გარდასულ ცხოვრებას როდი მისტირიან, რომ მისი ცოდნით სურთ „არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან“.

საკითხისადმი ასეთი მიღვომა ზრდიდა ისტორიისადმი ინტერესს, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობდა მის დაწინაურებას, სამცცირო კვლევითი მუშაობის გაფართოებას, თანამედროვე ისტორიოგრაფიის მონაცემთა გაცნობას, და კვლევის მეთოდების დახვეწისა და გამრავალფეროვნებას.

კითხვები

1. როგორ ესმით თურგდალეულებს ისტორიის მნიშვნელობა?
2. შენი აზრით, რა განაპირობებდა თურგდალეულთა განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს ისტორიისადმი და რატომ ცდილობდნენ ისინი ხალხში ისტორიული ცოდნის გავრცელებას?

„ქართლის ცხოვრება“ რომ ჩვენი წარსულის შესასწავლად დიდმნიშვნელოვანი ძეგლია, ამას ყოველი ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავს. თვით უცხოელი სწავლულებიც არ მალავენ თავიანთ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამ კრებულის მიმართ. მრავალი ფაქტობრივი მასალით დადასტურებულია, რომ „ქართლის ცხოვრება“ არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ ჩვენი მეზობლების შესახებაც ფასდაუდებელ ისტორიულ მასალას გვაწვდის — იგი ძვირფასი წყაროა სომქთა, ალბანელთა, ოსთა, დაღესტნელთა და სხვა ხალხების წარსულის შესასწავლად. მაგრამ, „ქართლის ცხოვრების“ ცნობების უკრიიტიკოდ მიღება შეცდომა იქნებოდა, რადგან მასში გადმოცემული ყოველი ინფორმაცია რეალობას როდი შეესაბამება.

წეარო 4

„ისტორიკოსები, რომელთა ნაშრომებიც ქართლის ცხოვრების კრებულშია შეტანილი, მეფეთა პოლიტიკის მომხრენი და დიდებულ აზნაურთა მოძულები იყვნენ. მნელი დასაჯერებელია, რომ მეფეთა მოწინააღმდეგ ჯაუფში ერთ-ორი ისტორიკოსი მაინც არ ყოფილიყო... თავისი მემატიანე არა ჰყოლოდა. საფიქრებელია მხოლოდ, რომ ამგვარი ისტორიული თხზულებები ქართლის ცხოვრების კრებულში იმიტომ არ იყო შეტანილი, რაკი მიმართულება და შინაარსი ქართლის ცხოვრების საერთო მიმართულებას არ უდგებოდა... ამის გამო ჩვენ მარტო მეფეთა პოლიტიკის მომხრე ისტორიკოსების ცნობები გვაქს, მათ მოწინააღმდეგეთა მოთხოვნა და საბუთიანობაკი შენახული არ არის.“

ფ. ჯავახიშვილი.

წეარო 5

„ქართლის ცხოვრებაზე“ გულდანდობით დამყარება და მისი ცნობების უკრიიტიკოდ გამოყენება არაფითარ შემთხვევაში არ შეიძლება... ჯერ ერთი, დაღენილია, რომ ქართლის ცხოვრებაში ყველა თხზულება თანამედროვეთა მიერ დაწინაურილი არ არის და იმ შემთხვევაშიც, როდესაც აფტორი თანამედროვეა, ყოველთვის არ ჩანს, იყო

თუ არა ის თვითმხილველი — მონაწილე იმ ამბებისა, რაც მას თვითს თხზულებაში აქვს აღწერილი. ასე რომ, ყოველთვის კარგად არ ვიცნობთ მის აუტორთა ხელთ არსებულ ყველა წყაროს. მათ ღირსება-ნაკლოვანებებს და ამ წყაროებისადმი აუტორთა დამოკიდებულების სისწორეს“

პ. გრიგოლია.

წყარო 6

„... „ქართლის ცხოვრების“ აუტორები, როგორც წესი, ეყრდნობიან ზეპირ გადმოცემებს, ქართულ წერილობით წყაროებს, საგვარეულო მატიანებებს, ჩანაწერებს, ცალკეულ ქრონიკებს, უცხოურ საისტორიო თხზულებებს... „ბერძნებთა ცხოვრება“, „სპარსთა ცხოვრება“, „სომებთა ცხოვრება“...

...მუსასაუკუნოვან საისტორიო თხზულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ეპიკურ (ზეპირსიტყვიერ) გადმოცემებს...

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებების აუტორები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანების მოვლენებს აკავშირებენ მსოფლიო ისტორიის ცნობილ ფაქტებთან. მაგალითად, ქართლის სამეფოს შექმნა ფარნაგაზიანთა დინასტიით სათავეში, უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს... ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, დაკავშირებულია ბიზანტიის იმპერიაში ქრისტიანობის განმტკიცება-გამარჯვების, იმპერატორ კონსტანტინე დიდის... მოღვწეობასთან... “.

მ. ლორთქიფანიძე.

დაგენერაცია

1. წყარო 2-ის მიხედვით იმსჯელე თუ რა პრინციპით დგებოდა „ქართლის ცხოვრება“ და შენი აზრით, რა გავლენა შეიძლებოდა მოქმედინა ამას თხზულების შინაარსზე?

2. წყარო 3-ისა და 4-ის მიხედვით გამოკვეთ ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს თხზულებაში ზოგიერთი მოვლენის გავლენაზე დაგენერირდა გადმოცემა.

3. წყარო 4-ის მიხედვით ჩამოთვალე ისტორიის ის წყაროები, რომლებითაც „ქართლის ცხოვრების“ აუტორები ხელმძღვანელობდნენ; ჩამოთვალე შენთვის ცნობილი ისტორიის დარგები, რომელთა მონაცემებიც „ქართლის ცხოვრების“ აუტორებს არ გამოუყენებიათ და ახსენი ამის მიზეზი.

4. რა ახსნას მოუქებნი ქართველ ისტორიკოსთა ცდებს, სამშობლოს ისტორია დაეკავშირებინათ მსოფლიო ისტორიასთან? შეაფასე ასეთი პოზიციის მართვულება.

დამოუკიდებელი სამუშაო

დაწერე ესე, რომელშიც წარმოაჩენ „ქართლის ცხოვრების“ ღირსებებსა და მის ნაკლოვან მხარეებს, იმსჯელე ამ ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებზე და შეაფასებ ამ თხზულების წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას.

გ5. დავითისა და თამარის ისტორიკოსები, შამთააღმდენელი.

„ქართლის ცხოვრებაში“ შესულ თხზულებათაგან დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსის ნაშრომი „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ ქართული ისტორიული აზროვნების მწვერვალადაა შეფასებული. ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით — „დავითის ისტორიკოსის შემდეგ ჩვენს ძველ ისტორიოგრაფიას აღარაფერი ახალი (იდეის განვითარების თვალსაზრისით) არ მოუცია“.

წყარო 1

„დავითის ისტორიკოსი თხზულებაში აღწერილი ამბების თვითმხილველი თანამედროვე და ამასთან მეფის ახლობელი კაცი ჩანს. ... ისტორიკოსი ხშირად ხლებია მეფეს „სელათა შინა თვითსთა სამეფოთასა“, როცა „დაჭირებული და მიმდლავრებული“ მეფეს ხვდებოდნენ და თავიანთ გასაჭირს მოახსენებდნენ... მეფის შეუდარებელი ნადირობის მოწმე ის თვალი ბერძენიშვილისა, როგორც ჩანს, თავისუფლად შედიოდა სამეფო წიგნთსაცავში, სინჯავდა მეფის საყვარელ წიგნებს და მის შენიშვნებს ეცნობოდა... “

ფ. ჯავახიშვილი

წერო 2

„.... თავის გმირს იგი ადარებს ძველი ისტორიის თუ ცნობილი პოეტური ნაწარმოებების გმირებს, მაგრამ დავითის სწორსა და ლირსეულს ვერსად პოულობს. ისტორიკოსს ესმის, რომ საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა მსოფლიო-ისტორიულ აქტს წარმოადგენდა. მაშინ, როდესაც „ძალი ბერძენთა შემცირებულ იყო“, საქართველო გამოვიდა ქრისტიანობისა და ქრისტიანული კულტურის დასაცავად წინა აზიაში...“.

ა. ბოგვერაძე.

კითხვები

1. წერო 1-ისა და 2-ის მიხედვით, მეფის რომელ თვისებებზე ამახვილებს ისტორიკოსი ყურადღებას?
2. როგორ ფიქრობ, რით შეიძლება აიხსნას ისტორიკოსის ასეთი პოზიცია?

დავალება 1

მოცემული წეროების საფუძველზე დაახასიათე დავითის ისტორიკოსის ეროვნული და პოლიტიკური პოზიცია, გამოთქვი გარაუდი მის „მედასეობაზე“ და დაასაბუთე შენი მოსაზრება.

დავითის ისტორიკოსის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ნაწარმოების შინაარსის ანალიზი მკვლევარებს გარკვეული დასკვნების გამოტანის საფუძველს აძლევს:

წერო 3

„ესენი მხოლოდ შშვიდობიანი, მლოცველი ბერ-მონაზვნები როდი არიან (გიორგი ათონელი, დავითის ისტორიკოსი). ისინი აქტიური პოლიტიკური მოღვაწენი არიან, ქვეყნის პოლიტიკური მშენებელნი... მათ გადააყენეს სუსტი გიორგი II, დავითის მამა და უსასტიკესი ომი გამოუცხადეს „მტრებს“ შინაურთ თუ გარეულთ“.

ნ. ბერძენიშვილი.


„ავტორი, უეჭველია, ეკუთვნოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ... დასს, რომლის საშინაო სამოქმედო პროგრამა შეადგნდა: მთავრების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისათვის ხელის შეწყობა. ჩვენი ისტორიკოსი დავითის მოღვაწეობის პასიურად შემყურე ან მარტოოდენ მადიდებელი როდია, იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწედ და ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთ მშენებლად გამოიყურება“.

ა. ბოგვერაძე.

თამარის მეფობის შესახებ ცნობებს გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ უცნობი აკტორი.

წერო 4

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი კარის ისტორიკოსია, ის იცავს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის იმ ხაზს,



სურ. 1. ვარძია

რომელსაც ხელისუფლება ატარებს. ასე მაგალითად, მიუხედვად იმისა, რომ ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა პროგრესული მოღვაწნა იყო ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში (იგი გულისხმობდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის და ეროვნური პარლამენტური წყობილების შემოღებას), ჩვენი ისტორიკოსი მის წინააღმდევ არის განწყობილი, რადგან ეს მოთხოვნა მიმართული იყო არსებული წყობილების წინააღმდევ. ისტორიკოსი ეძახის ყუთლუ-არსლანს ჯორის მსგავსად ორი ბუნების მქონე, ვერაგი ბუნების ადამიანს და მთელი ეს მოძრაობა მას მაჩნია მოსაგონებლადაც კი საზარელ ამბად. მიუხედვად ასეთი შეფასებისა, ისტორიკოსმა მაინც სწორად გადმოგვცა, თუ რაში მდგომარეობდა ეს მოთხოვნა...“.

ს. გაუხხიშვილი.

დაგულება 2

1. გადმოეცი წყარო 3-სა და 4-ში ისტორიკოსების პოლიტიკური მრწამსი.
2. იმსჯელე, თუ რა სახის გავლენას იქნიებდა ეს მათ ნაწარმოებებზე. რომელი საკითხების აღწერაში იგრძნობა მემატიანეთა პოლიტიკური შეხედულებების კვალი.

ეს საინტერესო:

დავითისა და თამარის ისტორიკოსები თავიანთ ნაწარმოებებში როგორ თეორიულ საკითხებსაც ქვებიან. ისინი ცდილობდნენ, დაედგინათ ისტორიის მამოძრავებელი ძალები, განესაზღვრათ ისტორიის მიზანი, აქსნათ მისი მნიშვნელობა და სხვა. ისტორიკოსები ასევე მსჯელობდნენ ადამიანის ხასიათის, მისი თვისებების ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაქტორებზეც. ამ საკითხის გარკვევას მიშინ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ჩენს ისტორიაში სამშობლოსა და მეფისადმი თვილადების ფაქტებს ზოგჯერ დალატიც ენაცვლებოდა. ასეთ შემთხვევაში ისტორიკოსს მკითხველისათვის უნდა აქვსნა, თუ რატომ ჰყავდათ მოწინააღმდეგენი თვით ძლევამოსილ დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს და ეს წინააღმდეგობა საფუძვლიანი იყო თუ ოპოზიციონერთა აუზნეობის, მათი ბოროტი ბუნების ნაყოფს წარმოადგენდა.

ისტორიკოსები პიროვნების ფორმირების პროცესში აღზრდის როლს როდი უარყოფდნენ, მაგრამ თვლიდნენ, რომ ადამიანს დაბადებიდანვე თან სდევს თანდაყოლილი თვისებები, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავენ კიდეც მის ზნე-ხასიათს.

წყარო 5

„ეს თანდაყოლილი საგგარუელო მიდრუკილება და თვისებანი, რომელსაც თამარ მეფის ისტორიკოსი თანაშთა-მომავლობას ეძახის, კეთილი ან ბოროტი ზნის სახით ადამიანის ბუნებას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა და აიძულებდა „მამა-პაპურ კუალთა სვლად...“

...დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმაც და თამარ მეფისამაც კარგად იცოდნენ, რომ თანაშთამომავლობის და თანდაყოლილი მიდრუკილებების შეცვლა და გასწორება ხშირად ვერა გზით ვერა ხერხდებოდა იმიტომ, რომ ზოგჯერ თანაშთამომავლობა არავითარ საშუალებას არ ემორჩილებოდა და ყოველგვარ საწინააღმდეგო სააღმზრ-დელო ღონისძიებაზე უძლიერესი იყო...“.

ფ. ჯავახიშვილი.

კითხვა

რუბრიკის „ეს საინტერესო“ და წყარო 5-ის მიხედვით, როგორ ახსნას მოუქებნიდნენ დავითისა და თამარის ისტორიკოსები სამეფო ხელისუფლებასთან ლიპარიტ ბაღგაშისა და ყუთლუ-არსლანის დაპირისპირებას? დაასაბუთე შენი პოზიცია.

„ქართლის ცხოვრებაში“ შესულია ვრცელი თხზულება, რომელიც, ძირითადად, საქართველოში მონალოლთა ბატონობის პერიოდს გადმოგვცემს. თხზულების ავტორის ვინაობა უცნობია. ფ. ჯავახიშვილი მას უამთააღმწერლის სახელით მოიხსენიებდა და ეს სახელი დამკვიდრდა კიდეც ქართულ ისტორიოგრაფიაში.

უამთააღმწერელს ისტორია ესმის, როგორც ღვთისგან წარმართული პროცესი, სადაც წარმატებაცა და მარცხიც გაგებულია ღმერთის მიერ გაღებულ წყალობად ან ხალხზე მომართულ რისხვად. მაგრამ, უამთააღმწერელმა იცის, რომ ღმერთი ტყუილუბრალოდ არ ცდის ადამიანს, არ ზღუდავს მას, არ ართმევს თავისუფლებას, არამედ განიკითხავს ნამოქმედარს და ჯილდოსაც და რისხვასაც საკადრისად მიუზღავს.

წყარო 6

„არ არის გამორიცხული შესაძლებლობა: საზოგადოება, ხალხი აცდეს სწორ გზას, ჩაიდინოს რაიმე დანაშაული (ცოდვა), ე.ი. შეცოდოს ღმერთის და უკეთური გზით დაიწყოს სიარული. ასეთ შემთხვევაში უამთააღმწერლის ცონცეფციის მიხედვით, ღმერთი დასჯის შეცოდებულთ, რისხვას მოუვლენს მათ და ამ გზით ეცდება მოაბრუნოს და კვლავ მართალ გზაზე დააყენოს ის. ასე მაგალითად, უამთააღმწერლის სიტყვით საქართველოს მეფე გიორგი ლაშა (გიორგი IV) „მიდრკა სიბოროტით თანამიმყოლითა უწესოთა კაცთათა... განამორნა გზირნი სანატრულის



სურ. 2. მონალოლები

დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარა თანამოასაკენი...“, მან დაარღვია საქართველოს სამეფო კარზე ძველიდანვე არსებული წესი და ცოლად ვიღაც ველისციხელი ქალი მოყვანა. მემატიანეს აზრით, ლაშა გიორგის აღნიშნული საქციელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საქართველოს თვეს დასტებოდა ისეთი უბედურება, როგორიც თათარ-მონღოლთა პირველი გამოჩენა და მათგან ქვეყნის აოხრება იყო...“.

პ. გრიგოლია.

უამთააღმწერელი ღმერთის განრისხების მიზეზად ასახელებს ღვთისმგმობლობასა და მცირედმორწმუნებას, საეკლესიო ქონების ხელყოფას, დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების უგულებელყოფას. მას მაგალითად მოჰყავს ღემეტრე თავდადებული, რომელსაც სამი ცოლი ჰყავდა. ისტორიკოსის აზრით, სწორედ ამგვარ ცოდვათა გავრცელებას მოჰყავს ჩვენზე უდიდესი ღვთის რისხვა — მონღოლთა გამანადგურებელი და ხანგრძლივი ბატონობა.

კითხვები

1. ტექსტისა და წყარო 6-ის მიხედვით, როგორ ესმის უამთააღმწერელს ისტორიული პროცესი?
2. როგორ ახსნას უძებნის ის ისტორიის ტრაგიკულ მოვლენებს და, შენი აზრით, ვის მიიჩნევს უამთააღმწერელი ისტორიის ძირითად მამოძრაველელ ძალად ადამიანს თუ ღმერთს?

დამოუკიდებელი სამუშაო

ჩამოაყალიბებ შენი დამოკიდებულება უამთააღმწერელის კონცეფციისადმი, მოიყვანე არგუმენტები მის დასა-დასტურებლად ან უარსაყოფად.

§6. სტავლულ კაცთა კომისია და „ქართლის ცხოვრება“.

XVIII საუკუნის დასწყისში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით ორი დიდმნიშვნელოვანი მოხდა: შეივსო და განახლდა „ქართლის ცხოვრება“ და დაიწერა „ქართლის ცხოვრების“ გარდელება. ამ სამუშაოს უძლვებოდა ქართლის მეფის (ჯანიშვინის) — ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელსაც სწავლული მოღვაწე ბერი ეგნატაშვილი ხელმძღვანელობდა.

სწავლულ კაცთა კომისია მკითხველისადმი მიმართვაში აკონკრეტებს იმ მიზეზებს, რამაც „ქართლის ცხოვრების“ ხელახალი გადამუშავების საჭიროება წარმოშვა.



სურ. 1. ვახტანგ VI

წყარო 1

„კატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო! უამთა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ გარევნილ იყო, რომელნიმე მწერალთა მიერ და რომელნიმე უამთა ვითარებისაგან. ხოლო ვახტანგ... შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი, და საცა რამ ქართლის ცხოვრები პოვნა და გუჯარნი (საბუთი) მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწეს და რომელი გარეუნილი იყო განმართეს და სხუაცა წერილნი (მოიძიეს), სომქთა და სპარსთა ცხოვრებისაგან ... და ესრუთ აღწერეს.“.

სწავლულ კაცთა კომისიამ სერიოზული სამუშაო გასწია „ქართლის ცხოვრების“ განახლებისათვის. სწორედ ამ საქმიანობას უკავშირდება:

1. ტექსტის დაყოფა ნაკვეთებად, თავებად, ქვეთავებად;
2. საძიებლებისა და ტექსტის მაჩვენებლების გაკეთება;
3. ტექსტის ბუნდოვანი აღგილების გამართვა, გამოტოვებული

სიტყვების აღდგენა, მცდარი ადგილების გასწორება, ზოგიერთი არასრული ცნობის შევსება და ცალკეული მომენტების დაზუსტება.

4. „ქართლის ცხოვრების“ შინაარსის შევსება ახალი ისტორიული ფაქტებით, მათ შორის, ბასილ ეზოსმოძღვრის (თამარის მეორე ისტორიკოსი) ნაშრომიდან ცნობების შეტანა.

„ქართლის ცხოვრების“ შინაარსის გამდიდრება, უპირატესად, საეკლესიო მოღვაწეთა შესახებ ცნობების ჩართვას უკავშირდება. ამ საქმის ინიციატორი მეფე — ვახტანგ VI უნდა ყოფილიყო, ისტორიკოსთა ვარაუდით, მეფისავე მითითებით შეუტანიათ „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობები ცამეტი ასურელი მამის შესახებ, დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობების, გობრონის წამების, ექვთიმე და გიორგი ათონელების ცხოვრების შესახებ და სხვა. საეკლესიო პირთა ცხოვრებისა და მათი მოწამებრივი აღსასრულის შეტანა ქართლის ცხოვრებაში გარკვეულ მიზანსაც ემსახურებოდა:

წყარო 2

„ეს ისტორიოგრაფიული ფაქტი აიხსნება საეკლესიო საქმის მძიმე მდგომარეობით ვახტანგ VI-ის ხანაში. მაპმადიანური ირანის მესვეურთა შემოტვა, ქრისტიანობის შეზღუდვა-შევიწროება ამ ხანაში აიძულებდა მეფეს, ეზორუნა ქართველთა ეროვნული სარწმუნოების დაცვაზე, საეკლესიო საქმეების მოწესრიგებაზე. ამ საერთო პოლიტიკის ერთ-ერთი რეალი იყო ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა დამსახურების ხაზგასმა, მათ შესახებ ცნობების შეტანა ქართლის ცხოვრების წიგნში“.

გ. ხანთაძე.

კითხვები

1. წყარო 1-ის მიხედვით, რა მიზეზებმა განაპირობეს „ქართლის ცხოვრების“ განახლების აუცილებლობა?
2. რა სახის წყაროები გამოიყენა „სწავლულ კაცთა კომისიამ“, „ქართლის ცხოვრების“ ახალი ნუსხის შესადგენად?
3. რა სახის ცვლილებები შეიტანა კომისიამ „ქართლის ცხოვრებაში“?
4. წყარო 2-ის მიხედვით, რა მიზანს ისხავდა ვახტანგ VI „ქართლის ცხოვრების“ განახლებული ვარიანტის შექმნით?

„სწავლულ კაცთა კომისიამ“ მეორე მნიშვნელოვან ამოცანასაც წარმატებით გაართვა თავი. ძველი „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ XIV საუკუნეებდე გრძელდებოდა და ჟამთააღმდეგი იმ თხზულებით სრულდებოდა, რომელშიც საქართველოში მონღოლთა ასწლოუნი ბატონობის ისტორიაა გაღმოცემული. მომდევნო საუკუნეებში კი მისი შევსება აღარ მომხდარა. ასეთ ვითარებაში კომისიის მიზანი იყო გარკვეულ ცნობებსა და წყაროებზე დაყრდნობით დაწერა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება (ე.წ. ახალი „ქართლის ცხოვრება“), რომელშიც XIV-XVII სს. ისტორია იქნებოდა გადმოცემული.

წყარო 3

„უამამდე ღვთით გვირგვინოსნისა გიორგისამდე (გიორგი V ბრწყინვალე)... წერათ ცხოვრებანი ქართველთანი... (შემდგომი მოვლენები კი) გუჯართა და სპარსთა და სომქთა (ცხოვრებიდან გამოვიდეთ და აღვწერეთ... ხოლო მეფისა როსტომის — აქათი (მისი მეფობის შემდგომი ამბები) თუთ თვალითა მნახველთა და მისთა ომებსა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია. და რაოდენ საეჭველ იყო, უხმარ ვყავით, ხოლო მართალი აღგვიწერია...“.

კომისია წერილობით ღოკუმენტებს კრიტიკულად განიხილავდა. ანალიზისას სწავლული წყაროთა ცნობებს ერთმანეთს უჯერებდნენ და თუ მათ მონაცემებს შორის არ იყო თანხვედრა, ამას საგანგებოდ აღნიშვნადნენ — „და ცხოვრება ამა ლანგ თუმურისა ვრცლად წერილ არს ცხოვრებასა შინა სპარსთა და სომქთაცა სხვებრ სადმე აღუწერიათ და ჰყებმარიტი რომელი არის, ღმერთმან უწყის“.

სწავლულ კაცთა კომისია თხრობისას იმოწებდა ხალხურ წეს-ჩვეულებებს და ტოპონიმიკურ მასალასაც.

კითხვები:

1. რა მიზანს ისხავდა „სწავლულ კაცთა კომისია“ ახალი „ქართლის ცხოვრების“ შედგენით?
2. ტექსტისა და წყარო 3-ის მიხედვით, რა სახის წყაროებით სარგებლობდა კომისია „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების წერისას? მართებულად თვლი თუ არა წყაროებისადმი „კომისიის“ დამოკიდებულებას?

ეს საინტერესოა:

XVIII საუკუნის დასაწყისში დაიწერა „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე გაგრძელება.

ერთ-ერთ მათგანს პირობითად „პარიზის ქრონიკას“ უწოდებენ, რადგან ის ინახებოდა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განცოფილებაში. ამ ძეგლის აღმომჩენი და პირველი გამომცემელია მარი ბროსე (1829 წ.). ერთი წლის შემდეგ მან ამ ძეგლის ფრანგული თარგმანიც გამოაქვეყნა. „პარიზის ქრონიკა“ მოიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიას გიორგი ბრწყინვალედან 1703 წლამდე. მისი ავტორი უცნობია, ვარაუდობენ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს გაგრძელება XVIII საუკუნის 30-იან წლებში უნდა დაწერილიყო.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა შექმნის მიზანი იყო, შევესოთ საქართველოს ისტორიის დაუწერელი ფურცლები, შეესწავლათ XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორია და პასუხი გაეცათ ყველაზე მტკვანეული კითხვებისათვის: როგორ და რატომ დაიშალა ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად; როგორ გაჩნდა და გამეტდა ბაგრატიონთა დინასტია, მისი ცალკეული შტოები კი დაშლილი ქვეყნის სხვადასხვა სამეფოებში, ვის რა ღვაწლი მიუძღვდა ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი აგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში, რა იყო ამ ბრძოლებში ქართული მხარის მარცხისათვე წამატების მიზეზი.

წყარო 4

„დიდბრძოლაგადახდილი ქართველი ხალხი ახლა, „მშვიდობიანობის“ ხანაში (XVIII საუკუნის დასაწყისი), გამოვლილ ომებს იგონებდა, მებრძოლთა შეფასებას ახდენდა და დამარცხება-გამარჯვების მიზეზებს არკვევდა. ამისდა შესაბამისად ქართველი ხალხი შემდგომი ბრძოლის საშუალებებს სახუდა...“

ფიზიკურ საშუალებათა გვერდით, თანდათან მუშავდებოდა აგრესიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ყალიბდებოდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერისტორები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ „გაიმართა“ ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გჩაღდა მაპმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა, დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება...“.



სურ. 1. არჩილი

ნ. ბერძენიშვილი.

საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო ვახტანგ VI-სა და მის მომხრეთა დასს, რომელიც ქართული კულტურის მოამაგე და განათლებულ მამულიშვილთაგან შედგებოდა, საქართველოს დატოვება და რუსეთში გადასახლება მოუწია.

დაფილება

ტექსტისა და წყარო 5-ის მიხედვით იმსჯელე ახალი „ქართლის ცხოვრების“ შექმნის მიზნებსა და მნიშვნელობაზე.

III თავი. ისტორიის ფენილობითი უფაროები

I თემა. ძველი ისტორიული დოკუმენტები და ისტორიული თხზულებები


§1. უფაროთმცოდნეობა

ისტორიკოსი იკვლევს წარსულის მოვლენებს. მისი მიზანია, მაქსიმალური სიზუსტით აღადგინოს გარდასული ამბები. ამ როგორი ამოცანის შესრულებისას მკვლევარი ეყრდნობა მრავალგვაროვან წყაროებს, რომლებიც სხვადასხვა სახის ინფორმაციებით ამდიდრებენ და აფეხებენ ერთმანეთს.

წყარო 1

„უხსოგარი დროიდან გამოიდა ქართველი ხალხი ისტორიის ასპარეზზე. დღემდე მან კულტურული ცხოვრების დიდი გზა განვლო და შექმნა მრავალსაუკუნეები მდიდარი ისტორია.

ჩვენი წინაპრების სახელოვანი ისტორიის, მათი გმირული ბრძოლის, შრომისა და შემოქმედების შესახებ მოთხოვობილია, უპირველეს ყოვლისა, თვით ხალხის მიერ შექმნილ თქმულებებში, ლეგენდებსა და იგვ-არა კებში. ამ ურიცხვი ზეპირსიტყვიერი ხალხური მასალიდან, რომლებიც თაობიდან თაობაში გადადიოდა, მრავალმა ჩვენს დრომდისაც მოაწია. ასეთია, მაგალითად, „თქმულება ამირანზე“, „ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ“ და მრავალი სხვა.



სურ. 1. ანანური

ქართველი ხალხის გმირულ თავგადასავალზე დაღადებენ აგრეთვე ჩვენი წინაპრების ხახელავი ნივთიერი ძეგლებიც: ციხე-კოშკები, გალავნები, სასახლეთა ნანგრევები, ეკლესია-მონასტრები, სამაროვნები, ნასოფლარები, რომლებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი, რომლებიც დიდი ხანია უკვე აღარ ასრულებენ თავიათ პირვანდელ დანიშნულებას, მაგრამ დგანან როგორც ცოცხალი მოწმები საქართველოს წარსულისა და უსიტყვილ მეტყველებენ მის შესახებ.

საქართველოს ისტორიის გასაშუქრებლად ძვირფასია ხალხის ყოფის ამსახველი, ენობრივი და სხვა მასალებიც. მაგრამ ქვეყნის თავგადასავლის, მისი წარსულის სრულქმნილი გაშუქება შეუძლებელია წერილობითი წყაროების გარეშე. ამიტომაც მათ ყოველი ქვეყნის ისტორიისა და მათ შორის საქართველოს ისტორიისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ხალხს ადრიდანვე უზრუნია, რათა მისი წარსული წერილობითაც აღბეჭდილიყო ქვის ფილებზე თუ ქაღალდის ფოლიანტებზე. ჩვენს წინაპრების სურდათ, რომ არც ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, მომხდარი მათ ცხოვრებაში, არც ერთი შემთხვევა გმირობის, ქვეყნის თავდადების და უანგარო მსახურებისა არ მისცემოდა დავიწყებას....“.

კონსტანტინე გრიგოლია.

დავალება 1

წყარო 1-ის მიხედვით ჩამოთვალე საქართველოს ისტორიის წყაროები, მიუთითეთ მათ მნიშვნელობაზე წარსულის შესწავლის პროცესში.

წყაროთმკოდნება ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველს წარმოადგენს. მისი მეშვეობით ხერხდება ისტორიული წყაროების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი წყაროთმკოდნება ორი მნიშვნელობით იხმარება. ფართო გაგებით, მასში იგულისხმება ისტორიულ წყაროთა ყველა ტიპი: ნივთიერი, ენობრივი, ეთნოგრაფიული, სახვითი, ზეპირი, წერილობითი, ფონო, კინო და სხვა ანუ ყოველგარი წყარო, რაც ადამიანის მოღვაწეობის შედეგად შექმნილა და ასახავს ისტორიულ პროცესს. ისტორიკოსთა ნაწილის აზრით კი, წყაროთმკოდნება, ძირითადად, წერილობით მასალებს შეისწავლის. საბოლოო ჯამში, წყაროთმკოდნება შეიძლება განვმარტოთ, როგორც მეცნიერება ისტორიული წყაროების შესახებ, რომელიც საგანგებოდ იკვლევს წერილობით ძეგლებს.

წერო 2

„ისტორიული კვლევის პროცესი განუყრელად არის დაკავშირებული ისტორიულ წყაროებთან... ჯერ კიდევ ძველ ხანაში, როცა გაჩნდა საჭიროება სხვადასხვა სახის ინფორმაციის ჩაწერის, რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთის შედგენის თუ მისი უტესებობის დადგენის, სამშენებლო ან სხვა ხასიათის წარწერის ამოკვეთისა და ა.შ. თანდათან შეიქმნა აგრეთვე მათი შესრულების ხერხებისა და საშუალებათა ერთობლიობაც. ძველი მემატიანენი თუ გადამწერ-რედაქტორები უკვე პირველი პრაქტიკის წყაროთმკოდნები იყვნენ და თვითან საქმიანობაში ტრადიციით განმტკიცებული გარკვეული ხერხებითა და მეორდებით სარგებლობდნენ...“

„წყაროთმკოდნების თეორია შეისწავლის ისტორიული წყაროების საერთო თვისებებს, მათი განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, შეიმუშავებს წყაროთა ცალკეული ტიპების, გარებისა და სახეების შესწავლის მეთოდებს. წყაროდან შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაციის მიღების გზებსა და საშუალებებს, ამ მასალის სანდოობისა და უტესებობის დადგენის ხერხებს... დღეს წყაროთმკოდნების ცენტრშია ისეთი პრობლემები, როგორიც არის ისტორიული წყაროს ფორმა და შინაარსი... ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობა ისტორიულ წყაროში, ისტორიული სინამდვილის ასახვის სისრულე...“.

გ. ალასანია, რ. კიქნაძე.

წყაროთმკოდნე ახდენს წერილობითი ძეგლების რეკონსტრუქციას, რაც გულისხმობს: 1. ტექსტის აღდგენას პირვანდელი სახით და 2. ტექსტის განთავისუფლებას გვიანდელი ჩანართუბისა და გადამწერთა შეცდომებისაგან და, ასევე, გაუგებარი, შერყვნილი აღვილების გასწორებას.

ისტორიკოსი გამოკვლევისას იყენებს ყველა არსებულ წყაროს, რომელიც შესასწავლ თემასთან დაკავშირებულ მასალას შეიცავს, ითვალისწინებს წყაროებში აღნუსხულ ფაქტებს, აანალიზებს მათ და უდარებს ერთმანეთს, რითაც ისტორიული მოვლენის შეძლებისდაგვარად უტესებარი სურათის აღდგენას ახერხებს.

კითხვები

- რა არის წყაროთმკოდნება და რაში მდგომარეობს მისი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის?
- წყარო 2-ის მიხედვით, რას შეისწავლის წყაროთმკოდნების თეორია ?
- რა განასხვავება წყაროთმკოდნისა და ისტორიკოსის საქმიანობას შორის?

ეს საინტერესოა:

არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ მახინჯდებოდა პირველწყაროს ინფორმაცია გადამწერთა მიერ:

— „... (თამარმა უბობა) მსახურთ უხუცესობა ვარამს, ზაქარიას გაგელის ძესა, კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათ შინა გამარჯვებულსა“.

თანმარის უცნობი მემატიანე, „ისტორიანი და აზმანი შარაფანდედთანი“.


— „... მსახურთ უხუცესობა უბობეს ვარამ გურიელს და აქ გურიელი დასვეს ძესა კაცსა სანაპიროსა ლაშქრობათ შინა გამარჯვებულსა“.

ფარისადან გორგიჯანიძე, XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი:

დავალება 2

შეადარე ერთმანეთს თამარის უცნობი ისტორიკოსისა და ფარისადან გორგიჯანიძის ნაამბობი და შეასწორე გადამწერის მიერ დამახინჯებული ტექსტი.

თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენი წარსულის შესახებ ცნობებს უცხოური წყაროებიც გვაწვდიან. საქართველოს მრავალსაუკუნოვნი ისტორიის მანძილზე მრავალ ქვეყანასთან, ხალხთან, სხვადასხვა ცვილიზაციებთან ჰქონდა გაცხოველებული კულტურული და საგაჭრო ურთიერთობები, მით უფრო, პოლიტიკური კავშირები. ბენებრივია, ამ ურთიერთობათა შესახებ ცნობები მეზობელი სახელმწიფოების ისტორიკოსთა ნაშრომებშიც აისახებოდა. ამიტომ ჩვენი ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელია, სპარსულ, ოურქულ, სომხურ, არაბულ, ბიზანტიურ, რუსულ და სხვა წყაროთა ცნობების ქართულთან შეჯერება. მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიის ძირითად მასალას მაინც ქართული ისტორიული წყაროები ქმნიან, მათში ჩვენი წარსულის შესახებ უწყვეტი თხრობაა მოცემული, უცხოური დოკუმენტების ინფორმაციები კი უფრო ფრაგმენტულია.



სურ. 2. ეფრემ მცირე
საქართველოს ისტორიის
შესწავლად“.

რ. კიკნაძე.

დაგალება 3

ტექსტის, წყარო 1-სა და 3-ის მიხედვით იმსჯელე საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიმღიდოზე, როგორ გგონია, თუ რამ გამოიწვია წყაროთა ასეთი მრავალფეროვანი წერილობითი ძველებისა მტკიცე წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნის... საქართველოს ისტორიის შესასწავლად“.

განმარტება

ფოლიანტი — სქელი, დიდი ფორმატის წიგნი.

§2. დოკუმენტური ფარმაცია.

დოკუმენტური წყაროები ისტორიული ამბების თხრობას არ გულისხმობს. წყაროში კერძო ხასიათის ფაქტებია დაფიქსირებული. დოკუმენტურ წყაროთა რიგს განეკუთვნება: სიგელი, ანდერძი, ნასყიდობისა და გასხვისების საბუთი, დიპლომატიური მიმოწერა თუ სახელმწიფოთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, სამართლებრივი ძეგლები და სხვ. მათში დაცული ინფორმაციების მნიშვნელობა უაღრესად დიდია ხალხის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების, სახელმწიფოთა პოლიტიკური მდგრამარეობის შესასწავლად. დოკუმენტურ წყაროებს მეცნიერები იყენებენ ისტორიულ მოთხოვებში აღწერილი ამბების დასადასტურებლადაც.

ეს სინტერესო:

ტერმინი სიგელი X-XI საუკუნეებიდან გამოიყენება და იხმარება, ძირითადად, მეფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღმნიშვნელად. XI საუკუნეში საბუთის აღმნიშვნელად „გუჯარსაც“ ხმარობდნენ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სიგელსა და გუჯარს შორის ის სხვაობაა, რომ „მეფეთა მინიჭებულსა წერილსა სიგელი“, ხოლო „აგარაკთა და სოფლებთა დამტკიცებისა წერილსა“ გუჯარი ქრიდებაო.

საბუთების სხვადასხვა სახეობას წარმოადგენდა „ხელითხაწერი“, „ნიშანი“. გამოიყენებოდა ტერმინი „პიტაკი“ (პატაკი), რაც შეება სიტყვა „საბუთს“ ის XVIII საუკუნიდან მკვიდრდება. მიღებული იყო ტერმინი „ოქრობეჭვიდი“. მონღოლთა ბატონობის დროს დამკვიდრდა მონღოლური სიტყვა „იარლიყი“.

დაფალება 1

იმსჯელე დოკუმენტურ წყაროთა მნიშვნელობაზე ისტორიის შესწავლისათვის.

თავდაპირუელად დოკუმენტურ მასალას უკრიტიკოდ იღებდნენ. ისტორიკოსებს ეჭვი არ შეჰქონდათ დამოწმებული ანდერძის, სიგელის ან რაიმე სახის ხელშეკრულების ჭეშმარიტებაში. მოგვიანებით კი ყალბი საბუთების მომრავლებამ დოკუმენტური წყაროების მეცნიერულ შესწავლას მისცა ბიძგი. ყალბი საბუთების შედგენა უროპაში ერთგარ ხელობადაც იქცა. რიგით მოქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ, წარჩინებულები და თვით სასულიერო პირებიც როდი თაკილობდნენ ყალბი საბუთებით სხვისი ქონების მითვისებას ან რაიმე ბრალდებისაგან თვის დახსნას. შემუშავებულ იქნა საბუთების უტყუარობის დადგენის ხერხები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სიგელის ენის სტილს. ზოგჯერ აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ძველი დოკუმენტი სამეტყველო ენის თანამედროვე ფორმებს შეიცავდა, რაც მის სიყალბეს ააშკარავებდა. აკვირდებოდნენ გარუნვულ მხარესაც, ამოწმებდნენ ბეჭდის ნამდვილობას. საბუთის ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მოსამართლე მის მფლობელს ხატზე აფიცებდა. ამზე დროს, რაიმე დოკუმენტის შედგენას მოწმები უნდა დასწრებოდნენ და დავის შემთხვევაში სასამართლოზე მათაც უნდა დაედასტურებინათ საბუთის და მასში გადმოცემული შეთანხმების უტყუარობა.

განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ოფიციალური დოკუმენტების შედგენას. მათი წარმოების წესი საქართველოში ადრიდანც ყოფილა მკაცრად განსაზღვრული. სხვა შემთხვევაში საბუთი შესაძლოა, ყალბად ჩათვლილიყო. ოფიციალურ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებსა და ბრძანებებს სპეციალური პირები გამოსცემდნენ.

წყარო 1

..... საფიქრებელია, რომ უკვე XI ს-ში ქართული სიგელების დაწერილობის შესასწავლად ერთგვარი სახელმძღვანელოები, სამდონო წიგნები უნდა ყოფილიყო... ვახტანგ VI-ის სასამართლო წიგნითგანაც ჩანს, რომ მოსამართლეს ნატყუარი საბუთის შეტყობა უნდა სცოდნოდა და ამისთვის მას ბეჭდი, დამწერი, მოწამე (მოწმე) და ქორონიკონი (დათარიღება) უნდა განქილა...

...სიგელი ან რაიმე ბრძანება ზოგჯერ სასწარაფოდ უნდა ყოფილიყო დაწერილი, თვით სავაზიროს სხდომის ან დარბაზობის დროსგვე. ასეთ შემთხვევაში საბუთი ზოგჯერ კარნახით უნდა ყოფილიყო დაწერილი... ქართული სახელმწიფოს სამართლის თანახმად დარბაზობასა და ვაზირობას სწორებ ამიტომ ესწრებოდნენ ხოლმე მწიგნობარი თვითით საწერლებითურთ და ამიტომვე თითოეულს მათგანს სწერი მასალაც ეძლეოდა, რომ ყოველთვის ბრძანების ჩასწერად და სიგელის შესაღენად გამზადებული ყოფილიყვნენ...“.

ფ. ჯავახიშვილი.

კითხვები:

1. შენი აზრით, რამ შეუწყო ხელი ყალბი დოკუმენტების მომრავლებას და რა საშიშიროებას ქმნიდა მათი გამოყენება ისტორიულ გამოკვლევებში?

2. რა მეთოდებს იყენებდნენ მეცნიერები დოკუმენტის ნამდვილობის დასადგენად და რამდენად სრულყოფად თვლი ამ მეთოდებს?

3. წყარო I-ის მიხედვით, როგორ იყო ორგანიზებული საქართველოს სამეფო კარზე ოფიციალური დოკუმენტების წარმოების საქმე და, შენი აზრით, გამორიცხავდა თუ არა ეს მათი გაყალბების შესაძლებლობას?

ეს საინტერესოა:

მეფის მიერ ან მისი სახელით დაწერილ საბუთს „წიგნი სამეუფო“ ან „წიგნი მეფეთა“ ქროდებოდა. განკარგულების შემცველი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად „ბრძანება“ იხმარებოდა. მოხელეთა თანამდებობებზე დანიშვნის დროს ადგენდნენ სპეციალურ სიგელს, სადაც მისი უფლება-მოგალეობები და ფუნქციები იყო აღწერილი. მითითებული იყო ამ საქმიანობისათვის განკუთხნილი სარგოს ანაზღაურების ოდენობაც.

არსებობდა წყალობისა და შეწყალების საბუთები. „სიგელი მკვიდრობისანით“ მტკიცდებოდა მამულის საკუთრება და მასზე მეტყვიდრეობა.

„თავდახსნილობის სიგელი“ დგებოდა მაშინ, როდესაც ადამიანი თვითსუფლდებოდა ყმობისაგან. სასამართლოს გადაწყვეტილებას „განაჩენი“ ქროდებოდა. „საშუალვლო წიგნი“ — ქროდებოდა ისეთ წერილს, რომელიც დაპირისპირებულ მხარეთა მორიგებას ითვალისწინებდა. თხოვნის შემცველ წერილს „წიგნი ვეღრუბისა“ ქროდებოდა. არსებობდა „მოკითხვის წიგნი“, „მიჯნურობის წიგნი“, „გლოვისა და სამძიმრის წიგნები“.

როგორც ითქვა, დოკუმენტური მასალები წარსულის შესახებ მრავალფეროვან და მდიდარ ინფორმაციას გვაწვდიან.

1812 წელს კახეთში რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყება მარცხით დასრულდა. ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა კახელებს. აჯანყებულთა დაკითხვის ოქმები ნათელს ფენს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სისასტიკეს, ააშკარავებს მის არააღამიანურ ხასიათს.

წყარო 2

სოფელ ზეგანის მცხოვრებთა მოხსენება:

„შეოთი მოხდა იმისგან, რომ ვეღარ გაუძელით უსამართლობას, შეუძლებელ სათხოვარს და ტანჯვას... და ამ რიგის სიცოცხლეს სიკედილი გარჩიეთ. საღდათებს რომ გამოგზუნიდნენ... აგვიკლიან ქათმით, ღვინით, პურით და სხვა ხორავით დღეში ანგარიში არა ჰქონდა იმათ პურის ჭამას, მთვრალები იყვნიან და სიმთვრალეში გვცემდნენ. ესეც გვითხრიან: თქვენი ცოლები მოგვგარუოთ... ვიტყოდით მოდით თავები დავირჩოთ, სხვა ნუგეში ვერა ვიცით რა. სამართალში რომ მივედით ჩვენვე ავად მოგვეკიდნენ. ბეგარაც იყო ხარით, ურმით აკლებული ვიყავით. დასასრული არა ჰქონდა იმათ ბეგარას, აღარც ხარი შეგვრჩა, აღარც ურუმი... თვის, ქათმს და სხვას რასაც გამოგვართმევდნენ იმათგან ფასი არ მოგვეცემოდა, სულ მუქთად გაართმევდნენ. ეს ამდენი ჩვენი შეწუხება ვერავისთან გაფილინეთ და ხელმწიფესთან ხომ ვერ მოვწევდით. არც არავისთან მოხსენებით გვეშველა და არც შეისმინეს ჩვენი მწუხარება... ამას გარდა ჯარები ჩამოგვიყენეს, თვიანთ ხელმწიფიდან განწესებულს ულუფას ყიდნენ და ჩვენგან მუქთად ჭამდნენ და სვამდნენ. ამ შეწუხებაში ვიყავით და ხელსაც ძალად გვწერინებდნენ, რომ მუქთად არა გვიჭამია რაო, ფასი მოგეციოთ....“.

დაგენერალება 2

1. წყარო 2-ის მიხედვით იმსჯელე კახელ გლეხთა სატკიფარზე და ჩამოთვალე ის მიზეზები, რომლებმაც 1812 წლის აჯანყება გამოიწვია.

2. გაიხსენე ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოში რუსული მმართველობის პერიოდს გადმოგვცემენ. მათში აღწერილი ეროვნული და სოციალური უსამართლობის ფაქტები შეუსაბამე კახელ გლეხთა საჩივრის პუნქტებს და:

- შეაფასე რუსული მმართველობის ხასიათი;
- იმსჯელე მხატვერული ლიტერატურის ცოდნის მნიშვნელობაზე ისტორიის შესწავლისათვის.

წყარო 3

1736 წელს შედგენილი „წყალობის წიგნი ალექსანდრე (იმერეთის) მეფისა (თავად) პაპუნა წერუთულს“:

„დევოთ გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემ, პატრონმა ალექსანდრემ... წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, წერუთულს პაპუნას, თქვენსა შვილსა ბეჟანს, სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა... აზნაური, მსახური და გლეხი თქვენთვის გვიბოძებია მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარით, ჭურ-მარნით, ტყით, ვენახით, წყლითა და წისქვილით, სასაფლაოს ეკლესიით... რისაც მქონენი იყოს, სამართლიანი საქმით გვიბოძებია და გიბედნიეროს დმერთმან. თუ თქვენ ჩვენი ერთგული იყოთ, ჩვენ ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა არაოდეს არ მოეშალოთ.“.

დაგენერალება 3

წყარო 3-ის მიხედვით იმსჯელე XVIII საუკუნის სოციალური ურთიერთობების ხასიათზე: წოდებათა შორის დამოკიდებულებაზე, საკუთრების ფორმებზე, მსხვილი თავადების უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობაზე.

§3. ისტორიის თხრობითი ფაროვანი.

წარსულის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობებს გვაწვდის თხრობითი ანუ ნარატიული წყაროები. მათში აღწერილია ისტორიული მოვლენები, მეფეთა მოღვწეობა, საომარი მოქმედებები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები.

წყარო 1

„ნარატიულ წყაროებში ასახულია მათი ავტორების ესა თუ ის ტენდენცია და ამის საფუძველზე გამორიცხული არაა სინამდვილის შეგნებული თუ შეუგნებელი გაყალბება ამა თუ იმ ზომით გარდა ამისა, ნარატიულ წყაროებში, მით უმეტეს, თუ მისი ავტორი არ არის თანამედროვე მის მიერ აღწერილი ამბებისა, ხშირია ფაქტობრივი უზუსტობები და ენობრივი შეცდომები. მაგრამ ნარატიულ წყაროებს დოკუმენტურთან შედარებით, აქეს ის უპირატესობა, რომ მათი შინაარსი უფრო ვრცელი და მრავალფეროვანია, ვიდრე დოკუმენტების. დოკუმენტური წყაროები ნაკლებ ტენდენციურია და მათში გამორიცხულია უზუსტობა გარდა, რა თქმა უნდა, ნაყალბევი საბუთებისა.

„ნარატიულ წყაროებში გამოიყოფა შემდგენ სახეები: 1. საისტორიო ხასიათის თხზულებები (მატიანები, ქრონიკები, ისტორიული მოთხრობები, აგიოგრაფიული და პიმოგრაფიული ლიტერატურა); 2. მხატვრული ნაწარმოებები (რომანი, ლირიკა, დრამა და სხვა); 3. სამეცნიერო ნაშრომები (ფილოსოფიურ-სოციოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა); 4. პირადული შინაარსის ნაწერები (მემუარები, დღიურები, ეპისტოლები)...“.

მ. ლორთქიფანიძე, ნ. ვაჩაძე, რ. მეტრეველი და სხვ.

კითხვები:

1. წყარო 1-ის მიხედვით, რა განსხვავებაა თხრობითსა და დოკუმენტურ წყაროებს შორის.
2. რა უნდა გაითვალისწინოს ისტორიკოსმა ნარატიულ წყაროებზე მუშაობისას.

ა) პირველადი და მეორადი წყაროები

ისტორიის წერილობითი მასალები იყოთა პირველად და მეორად წყაროებად. პირველადია, მაგალითად, თამარის ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ხოლო მისი შესწავლის, თხზულებაში დაცული ცნობების ანალიზის საფუძველზე შემდგომ შექმნილი ისტორიული ნაწარმოებები მეორად წყაროებს წარმოადგენს.

ზოგჯერ მეორად წყაროებში მოცემული დასკვნები, აუტორის მიერ გამოთქმული შეფასებები პირველადი წყაროს პოზიციებს არ ემთხვევა. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან, ისტორიკოსი, კვლევის პროცესში აკონკრეტებს, ამდიდრებს ან უარყოფს პირველად წყაროში გადმოცემულ ინფორმაციას ან მის ნაწილს. რა თქმა უნდა, ყოველთვის არც მეორადი წყაროების აუტორთა პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს.

თამარის მეფობის პირველ წლებში სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით გამოვიდა ყუთლუ-არსლანის დასი. ისინი მოითხოვდნენ საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილი ორგანოს — „კარავის“ დაარსებას. კარავს უნდა ჰქონოდა უზენაესი მართლმსაჯულებისა და უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გადაყენების უფლება. მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა.



სურ. 1. თამარი

თამარის უცნობი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ აუტორი:

„.... ყუთლუ-არსლანმა, ცხვარმა, ჯორის მსგავსად ორი ბუნებისამ... მოითხოვა კარვის დადგმა ისნის ველზე და თქვა: მასში (კარავში) დამსხდარნი, განმგებელი მიცემისა და წართმევისა, წყალობისა და შერისხვისა, კვადრუბდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა და მაშინ ასრულდებოდეს (მეფისაგან) ჩვენ მიერ განგებული. ეს — მეფის ხელმწიფობის აღსასრული — როგორი საწყენელიც იყო, ისე იწყინა და გაიკვირვა და განსაჯა გონებით უკლებელმა და სიბრძნის საუნჯებ (თამარმა) და განიზრახა ხელთ გვდო ამის მოქმედთა თვე და შეიძყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეულუცესი“.

შოთა ბადრიძე, XX საუკუნის ისტორიკოსი:

„.... ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ეს იყო დიდგვარიანთა პოლიტიკური გაფიცვა მათი წოდებრივი პრივილეგიების გაფართოებისათვის, ეს მოძრაობა რეაქციულ ელფერს ატარებდა: ის ასეუსტებდა და ზღუდვადა სამეფო ხელისუფლებას, რომელიც იმ ხანებში პროგრესული სახელმწიფოებრივი კურსის გატარებას ცდილობდა: ფეოდალური პარტიკულარიზმის (განკურძოების) აღაგმას, ფეოდალური ეკონომიკისა და კულტურის მოწესრიგებას...“.

როინ მეტრუელი, ჩვენი დროის ისტორიკოსი:

„ყუთლუ-არსლანის დასის... პროგრამაში მოცემულია თანმიმდევრული თეორია ხელისუფლების დანაწილებისა. ეს თეორია თავისი არსით დაკავშირებულია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების იმ ეტაპზე, როცა ახალი, მესამე წოდების ინტერესების შესაბამისი ურთიერთობები ისახება. სახელმწიფო ბრიტანიული ხელისუფლების დანაწილების თეორია თავისი არსით ანტიფეოდალურია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სინამდვილეში მეფესა და ფეოდალებს შორის არსებული ბრძოლის დროს ფეოდალები კატეგორიულად არ აყენებენ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების წინადაღებებს...“.

კითხვები:

1. როგორ ახასიათებს თამარის ისტორიკოსი ყუთლუ-არსლანს? შენი აზრით, რით არის ეს გამოწვეული?
2. ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამის შესახებ როგორია ისტორიკოსების შ. ბადრიძისა და რ. მეტრუელის პოზიციები? განსხვავდება, თუ არა, მათი შეფასებები ერთმანეთისაგან? დაასაბუთე შენი პოზიცია.
3. თანამედროვე ისტორიკოსთაგან (შ. ბადრიძე, რ. მეტრუელი), რომლის თვალსაზრისი ემთხვევა თამარის ისტორიკოსის პოზიციას? რაში მეღავდება ეს თანხვედრა?

ბ) ძველ ისტორიკოსთა განსხვავებული შეფასებები.

ზოგჯერ ძველ ისტორიკოსთა შეფასებებიც საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მაგალით 1

საქართველოს მეფის, გიორგი IV-ის (იგოე ლაშა-გიორგის) თანამედროვე ისტორიკოსი:



„(ლაშა-გიორგი) თორმეტი წლისა იყო, ოდეს მეფედ დაჯდა წერგი კეთილ-მოზარდი და ყვავილი ყოველთა ფერთაგან შემკაბილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირებულთა, მთხუართა მათითა პატიოთა, შეიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკვრელი, შმვილდოსანი და ცხენოსანი გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომი დასხნა და გარდაიხადნა სიმცროსაგე შინა სწორნი დავით პაპის-პაპისა მისისანი. ბედინერი ლაშქრობითა, ბედინერი ქეყანისა ნაყოფთა მოსვლისათვის, დაჭირვებულთა გამკითხველი, ბჭე და მოსამართლე...“.

და იყო სამეფო მისი დიდია დაწყნარებასა შინა, და იყენეს გამგედ და განშრახად ყოველთა საქმეთა მისთა... მხარგდები ზაქარია, მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი...“.

ჟამთააღმწერული, XIV საუკუნის ისტორიკოსი:

„(ლაშა გიორგი) მიდრეა სიბოროტედ თანამიმყოლითა უწესოთა კაცთა... ვითარ განის-ვენებდა ნადირობითა, და მსმურთა თანა მიდრეა სიბოროტედმი... ხოლო სმამან და ნაყრო-განებამან სიბილწესა უმეტეს გარდარია. განიშორნა გაზირნი სანატრულისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლებელნი, შეიყვარა თანამოასაკუნი... ტფილის მყოფი, წარიყვნეს სურ. 2. ლაშა-გიორგი რინდთა თანა, რათა განიძღოს სიბილწე თვისი, ხოლო რინდი, მეფისა მისვლასა არ მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს მგუმელნი ძლიერად ვიღრემდე ერთიცა თვალი მარჯვენა ხედვისაგან უხედო კვეს...“.

... ამისი მცნობელი თავადნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი, და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან. „არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა, უკუთა არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და აქსა წესსა, რომელსა იქმ...“.

დაგალება 1

ლაშა-გიორგის უცნობი მემატიანისა და ჟამთააღმწერლის ცნობების მიხედვით:

1. იმსჯელე მემატიანეთა მიერ ლაშა-გიორგის განსხვავებულ შეფასებებზე; მიუთითე წინააღმდეგობრივი ცნობები;
2. ახსენი, რას შეეძლო გამოეწია ისტორიკოსთა მხრიდან ასეთი განსხვავებული შეფასებები.

მაგალით 2

ისკანდერ მუში, XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი, გიორგი სააკაძისა და მარტყოფის ბრძოლის შესახებ:

„... მისი უდიდებელესობა ღვთის ჩრდილი შაპი სამოთხისებური მაზანდარანის საამურ ქალაქ აშრაფში ატარებდა (დღეებს) ლხენასა და სიამოგნებაში...“.

თუმცა ყოველგვარი შემთხვევა მოხდა და შთოთმა და აშლილობამ ყველგან იჩინა თავი, (მაგრამ) ბოლოს, ღვთის წყალობით, ყაენის არსების ჯანმრთელობით და მისი უდიდებულესობის იღბლის ძალით, დიდი მეცადინეობით და სწორი ღონისძიებებით პირი დაშვიდებისაკენ იძრუნა და ამბოხებანი წესრიგის დამყარებით დასრულდა...

...დაღუპულმა, ბედუულმართმა მოურავმა... გადასწყვიტა ამბოხება მოქმდინა და მთავარსარდალი მოეკლა... იმ არაშზადა მოღალატემ შუბით შეუტია მას (ყორჩიხა-ხანს) და ისე აძგერა, რომ შუბის წვერი მეორე მხარეს გამოიდა. მერე შირგანის ამირთ-ამირის კარვისაკენ გაემართა და მასაც იგვე უყო იმავე შზაკვრობით. ქართველები ამ ორი დიდებული სარდლის მოკვლის შემდეგ ყიზილბაშების ბანაკში შევიდნენ და... ყველა, ვინც კი ხელში ჩაუვარდათ, დახოცეს... ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეულ და გაძარცვულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ...“.


XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი გიორგი სააკაძისა და მისი უკანასკნელი დღე-ბის შესახებ:

„როცა მოურავი (გიორგი) სტამბოლს ჩამოვიდა... მას დიდ დამსახურებად ჩაეთვალა ყიზილბაშების განადგურება... მას ებობა ყარამანის ვილაიეთი. მოურავი ჰეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი გაუკაცი და დევის ღონის იყო...“

ყარამანში მას მიეტმასნენ ზოგნი ბოროტმოქმედი პირი, რომლებიც მძლავრობასა და უწესრიგობას სჩადიოდნენ, სახელი კი მოურავისა იყო. ამის გამო მომზონები დიდ ვეზირს ეახლნენ... დიდია ვეზირმა გასცა ბრძანება თავი მოუკვეთათ მოურავისთვის, მისი შვილისა და მასთან მყოფი ორმოცი-ორმოცდაათი ხელქვეითისთვის... ხუსრუვ-ფაშა სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწარა, მან ხონთქრისათვის (სულთნისათვის) შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოპკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ვოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა...“.



სურ. 3. გიორგი სააკაძე



სურ. 4. შაპ-აბაზ I

განსხვავდება მათი შეფასებები?

2. შაპ-აბაზის მიმართ რამდენად განსხვავებულია ისკანდერ მუნშისა და ვახუშტი ბატონიშვილის დამოკიდებულება? შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII საუკუნის ისტორიკოსი, გახტში შაპ-აბაზ I-ის ლაშქრობათა შესახებ:

„(შაპმა) მოიყვანა კონსტანტინე ძე ალექსანდრესი (კახუთის მეფე)... რომელი იყო მაპმადიანი და შემყურე სჯულთა მათთა. ეტყოდა შაპაბაზ: „.... მოგცე სრულიად სპანი შირგანისანი შემწედ... წარვედ და მოპკალ ორივენი (მამა — მეფე ალექსანდრე და ძმა — ტახტის მემკვიდრე გიორგი) და შენ დაიძყარ კახეთი და ჰყავ მაპმადიაზ“. ხოლო კონსტანტინემ აღითქვა ყოფად ყოველნი და წარმოვიდა კახეთში...“

... შაპაბაზ წარმოავლინა ტფილისიდან სპანი დიდნი... ხოლო თვით ჩამოვიდა კახეთს, მოსრნა, მოსტყვევნა, აპყარა და მოაოხრნა, გაძარცვნა ეკლესიანი, ხატნი და ჯვარნი შემუსრნა და სამგაულნი მათნი ჰყო ხარჭათა თვისთა აღსამკობელად...“.

კითხვები:

1. როგორ ახასიათებენ გიორგი სააკაძის პიროვნებას ისკანდერ მუნში და თურქი ისტორიკოსი? შენი აზრით, რატომ განსხვავდება მათი შეფასებები?

გ) წყაროთა მრავალფეროვნების მნიშვნელობა ისტორიის შესწავლის საქმეში

სხვადასხვა წყაროების მონაცემთა შეჯერებით მდიდრდება ჩვენი წარმოდგენა წარსულის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

წარსულის ობიექტური სურათის აღსაღენად, რაიმე ფაქტის, მოვლენის ან გამოჩენილი ისტორიული პიროვნების მოღვაწეობის ყოველმხრივ შესასწავლად, მეცნიერები უყრდნობიან ყველა არსებულ წერილობით ინფორმაციას, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთს აკვებენ.

დავით აღმაშენებლი უცნობი ისტორიკოსი,
„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“:

დიდგორის ბრძოლიდან „... მეორე წელსა აიღო
მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსაც ომსა, ოთ-
ხას წელი ქონებული სპარსთა, და დაუმკეიდრა
შვილთა თვისთა საჭურჭლელ და სახლად თვისად
საუკუნოდ...“

და მეორე წელსა... (დავითი) წარვიდა შარვანს,
აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა...
მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი
მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართ-
ლად... აღიღო ქალაქი დმანისი... აღიხუნა ციხენი
სომხითისანი...“

და მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა (ანისი) თა-
ვადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა... და მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი
უჭირველად... და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა.

... სულტანი დასვა მოხარეელ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თვისი, დასცნა
წარმართნი, მოსრნა ბარბაროსნი, მრწემად მოიყვანა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი, მეოტად წარიქ-
ცივნა არაბნი... მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი...“.



სურ. 6. დინარი

**XII საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი, თბილისში მცხოვრებ მაპმადიანთა
მდგომარეობის შესახებ:**

„(დავითმა) დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ,
არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის; მან მოჭრა მათვის მონეტა
(ფული) ხალიფასა და სულტნის სახელით; და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე
მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართ-
ველი, არც ებრაელი და არც სომხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში,
და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან (კათედრიდან) ილოცონ ხალიფა და სულთნისათვის
და არა მისთვის (საქართველოს მეფისთვის), მან დაწესა გამოსაღები ყოველწლიური,
ქართველთათვის — 5 დინარი, ებრაელთათვის — 4 დინარი, ხოლო მუსლიმანთათვის — 3 დინარი... იგი ისე კე-
თილად ეყრდნობოდა მუსლიმანებს და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორიც
მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის.“

მათურს ურპაეცი, XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი:

„მან გაათვისუფლა სატახტო ქალაქი ანი (ანისი), რომელიც 60 წელს იმყოფებოდა (თურქთა) ტყვეობაში,
აგრეთვე საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისისა — წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად ექციათ. შეკრიბა
სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელი და მოწესენი და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდის ზემით.

იყო სახარული ყოველი სომხის სახლ-
ში, რადგან იხილეს განთხისუფლება წმინ-
და კათოლიკე მონობისაგან...“.

**XII საუკუნეში, დასავლეთ კვრიპა-
ში, ფართოდ იყო გაგრცელებული ცნობა
დავითის მეუღლის მიერ იერუსალიმში
ჩატანილი ჯვრის შესახებ, რომელიც
მოგვიანებით, პარიზის ღვთიმშობლის
ტაძარში გაუგზავნიათ. ეს ცნობა ეკუთვ-
ნის კათოლიკე ბერ ანსელმუსს:**

„ამ ჯვარს დავითი, ქართველთა
მეფე... უაღრეს თაყვანისცემას და სიყ-
ვარულს უძღვნიდა, ის დავითი, რომელ-
საც მისი წინაპრებივით, კასპიის კარი



სურ. 5. დიდგორის მემორიალი



სურ. 7. ანისი



სურ. 8. ჯგუფები

ეჭირა და დაუცავს... ვისი ქვეყანა და სამეფო მი-
ლიელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი (ჯგუფე-
ნების), ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“.

ჯგუფები სამყაროსა და მთელ კვრიპაში
გზრუელებული იყო ლეგენდა „მეფე-მღვდელმთა-
ვარ იოანეზე“, რომელშიც სწორედ დავით აღმაშე-
ნებელი იგულისხმებოდა:

„.... მეფე და ბერი იოანე, რომელიც სპარსე-
თისა და სომხეთის გაღმა... ცხოვრობს და თა-
ვის ხალხთან ერთად ქრისტიანულ ეკლესიას...
ეკუთვნის, სპარსელთა და მიდიელთა მეფის ძმებს
თავს დაესხა და მათი რეზიდენცია ეპატანი...
დაიპრო. ამ გამარჯვების შემდეგ... მღვდელმ-
თვარ იოანეს სურდა სწრაფად დახმარებოდა
იერუსალიმის ტაძარს, მაგრამ ჯარი, რომელიც
ტიგროსს მიადგა, ვერ გადავიდა გადასასვლელე-
ბის უქონლობის გამო, შემდეგ იგი ჩრდილოეთით
მიბრუნდა, ვინაიდან მას მოახსენეს, რომ მდინარე ყინულითაა დაფარულიო“.

დაგალება 2

მოხმობილი წყაროების საფუძველზე იმსჯელე დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკაზე, მის საერთაშო-
რისო ავტორიტეტზე; შეაფასე მისი დამოკიდებულება სხვა ეროვნებებისა და სარწმუნოების მოსახლეობისადმი.

განმარტებები:

მეჭურჭლეულებები — სახელმწიფო საჭურჭლის (სალარო, საგანძური) განმგებელი

მესამე წოდება — მოქალაქები, გაჭარ-ხელოსნები

რინდი — სპარსულის სიტყვაა და მემთვრალესა და შფოთისთვის ნიშნავს

მრწყმი — უმცროსი; მრწემობა — დამჯერობა, უმცროსობა

მეოტი — ლტოლვილი, გაქცევული

მტუერი — მტვერი

II თემა. მხატვრული და კუპლიცისტური მასალები

§1. აგიოგრაფია, როგორც ისტორიული ფენი


აგიოგრაფიული ნაწარმოებები ქრისტიანობისათვის თავდადებულ ან მის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პირთა ცხოვრებას მოგვითხრობენ. ამავე დროს, მათში ასახულია ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ძლიერება, ხალხის ზნე-ხასიათი და ტრადიციები.

წერო 1

„ყველგან საქრისტიანო ქვეყნებში საეკლესიო საისტორიო მწერლობის უმცელეს დარგად მარტვილობა შეიქმნა, ხოლო შემდეგ წმიდათა ცხოვრებათა წერასაც მიჰყევს ხელი. ეს გარემოება იმით აისწენება, რომ ქრისტიანობა თავდაპირველად აკრძალულ და დევნილ სარწმუნოებად ითვლებოდა და ამ ხანაში ქრისტიანეთა განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას ის თავგანწირული პირები იყრიობდნენ, რომელთაც თავისი რწმენის სიმტკიცე სისხლის დანორეგით და სიკვდილით აღტეჭდეს...“

როგორცაც ქრისტიანობის დევნა მოისპო და ეს აღსარება ჯერ ნებადართულ, ხოლო შემდეგ სახელმწიფო სარწმუნოებადაც-კი გამოცხადებულ იქნა, მარტვილობაც მოისპო და იშვიათ შემთხვევად გადაიქცა. სამაგიეროდ V საუკუნიდან მოყოლებული წმიდათა თავგანისცემა იკიდებს თანდათან ფეხს და ამისდა მასზედით მარტვილობის მაგიერ წმიდათა ცხოვრებათა აღწერილობა აღორძინდა“. ფ. ჯავახიშვილი.

როგორც ვიცით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნის დასაწყისში იქცა. თუმცა მისი გაფრცელება I საუკუნიდან იწყება, როგორცაც მოციქულები: ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა ქრისტეს რჯულის საქადაგებლად საქართველოში მოვიდნენ. ბუნებრივია, წარმართული სახელმწიფოს მხრიდან ქრისტიანთა შევიწროებას საქართველოშიც ექნებოდა ადგილი. ასეთი ფაქტების შესახებ ისტორიული წყაროები მწირ ინფორმაციას გავწვდიან. წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ სინას მთაზე აღმოჩნდილ ხელნაწერში ვკითხულობთ „,(ნინო კაბადოკიელმა) ფრიადი მოღვაწებანი და ურიცხვი სასწაული აღასრულნა და მრავალგზის წამებანი მირიან უღმრთოისა ხელმწიფისაგან...“.



სურ. 1. წმინდა ნინო

ეს საინტერესო:

ისტორიამ ქრისტიანთა უსასტიკესი დევნის მრავალი მაგალითი შემოგვინახა. რომის ამფითეატრში მართავდნენ შემზარავ სანახაობებს, სადაც მორწმუნებს, ათასობით მოსეირის თვალწინ, დასაგლეჯად მწეცებს მიუგდებდნენ. ჩეველებრივ მოულენად ითვლებოდა ქრისტიანების სიკვდილით დასხვა, მათვის ქონების ჩამორთმება და გადასახლება. ასეთი დევნა-შევიწროების მიუხედავად ახალი რელიგია გზას იკაფავდა, მის მიმდევართა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. IV საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ხელმწირილი მიღანის ედიქტი ქრისტიანობას ნებადართულ რელიგიად აცხადებდა, ამიერიდან იკრძალებოდა მორწმუნეთა შევიწროება და ისინი საერთო მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობდნენ.

მალე კი ქრისტოაინობა რომის იმპერიაში ერთადერთ ფოციალურ რელიგიად გამოცხადდა.



სურ. 2. გლადიატორთა ბრძოლა

საქართველოში ქრისტიანთა დევნა-შევიწროება არც მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ შეწყვეტილა. აღსანიშნავია, რომ უძველესი აგიოგრაფიული ნაწარმოებები: „შუშანიკის მარტვილობა“ (Vს.), „ევსტათე მცხოვრელის მარტვილობა“ (VI ს.) და სხვ. სწორედ ქრისტი-

ანულ საქართველოში იწერებოდა. მარტვილობათა უანრი, სამწუხაროდ, გვიანობამდე შერჩა ქართულ მწერლობას. თუ ქრისტიანობის სახელმწიფო ოულიგიად გამოცხადებამდე მორწმუნებს, ძირითადად, საკუთარი ხელისუფლება და წარმართული ოულიგიის მსახურები დევნიდნენ, ახლა მათ სხვა აღმსარებლობის დამპყრობლები ავიწროებენ.

კითხები:

1. რა სახის ისტორიულ ცნობებს გვაწვდის აგიოგრაფიული ნაწარმოები?
2. წყარო 1-ის მიხედვით, რომელ უანრებად იყოფა აგიოგრაფიული მწერლობა და რატომ იცვლებოდა აგიოგრაფიული ნაწარმოების ხასიათი?
3. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოში ქრისტიანობის აღიარების შემდეგ „ცხორებათა“ პარალელურად იწერებოდა მარტვილობები?

უძველეს აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს ჩვენამდე პირვანდელი სახით არ მოუღწევია. IX საუკუნიდან იწყება მათი გადაწერა და რედაქტირება.



სურ. 3. შუშანიკი

წყარო 2

„.... ზოგიერთი მარტვილობის და წმინდანის „ცხორების“ ხელმეორედ დაწერა იმიტომ იყო საჭირო, რომ ძველი უკვე დაკარგულად ითვლებოდა...“

უმეტეს შემთხვევაში მაინც „ცხორება“, ან მარტვილობა საქართველოში დაწერილა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა პირველი, უძველესი დედანი არსებობდა... (ამის) უმთავრეს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ თავდაპირველი მარტვილობანი და ცხორებანი თავისი მარტივისა და გულუბრყვილო მოთხრობის კილოთი რიტორულ მჭერმეტყველებასა და ფილოსოფიურ მსჯელობას მიჩვეულს მკითხველებს აღარ მოსწონდათ...

ძველ ცხოვრებათა და მარტვილობათა გადამკეთებელი, უმეტეს შემთხვევაში იმდენად ისტორიულს ამბებს არ აქცვდნენ ყურადღებას, რამდენადაც ფილოსოფიურსა და საღვთისმეტყველო აზრებსა და მჭერმეტყველებას“.

ფ. ჯავახიშვილი.

კითხები:

1. წყარო 2-ის მიხედვით, რა იწვევდა აგიოგრაფიულ თხზულებათა გადაწერას და რედაქტირებას?
2. ისტორიული წყაროს თვალსაზრისით, რა ხარვეზებს შეიცავს გადაწერილ-რედაქტირებული თხზულებები?

მართალია, განახლების დროს თხზულებათა თავდაპირველი შინაარსი რამდენადმე იცვლებოდა, მაგრამ ისინი ისტორიკოსისათვის მაინც ძვირფას წყაროებს წარმოადგენს.

წყარო 3

ფრაგმენტი უცნობი ავტორის „ესტათი მცხეთულის წამებიდან“:

„წელსა მეათესა ხვასრო (სპარსეთის) მეფისა და არგანდ გუმნასისა მარზპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით... ქალაქად მცხეთად... ითხოვა მან ცოლი ქრისტიანები და თვით ქრისტიანები იქმნა და ნათელი მიიღო.“

მას უამსა შეკრბეს სპარსენი... და ზრახვა ჰყვეს წინაშე უსტამისა, მცხეთელ ციხისთვისასა, და თქვეს:

— აქა კაცი ერთი არს ჩვენისა რჩელისაგანი... არა მოვიდის და ცეცხლი არა გამოსცის, და ჩვენსა რჩელსაცა პეტობს და ჩვენ გავაინებს და იტყვის, ვითარმედ მე ქრისტიანები გროვთ.

და უსტამ, ციხისთვისმან მცხეთისამან, ისმინა მათთ... და თქვა: ამის კაცის პატივი მე არარაი ხელმწიფების, არცა აღმბაი ძელსა, არცა პეტობილებაი, არამედ წარუძღვანო გვე ტფილის ქალაქსა არგანდ გუმნასპას, ქართლისა მარზპანსა, და რაი-იგი შეპგვანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ხელმწიფების სიკვდილი და ცხორებაი...“.

კითხები:


„ესტათი მცხეთულის წამების“ მიხედვით:

1. როგორ ფაქტობ, არსებობს თუ არა ქართლში ადგილობრივი სამეფო ხელისუფლება?
2. როგორ დაახასიათებ ქართლის მარზპანის ძალაუფლება?
3. რამდენად ძლიერია აქ ცეცხლთაყვანისმცემელთა რელიგიური პოზიციები?

წყარო 4

ფრაგმენტი იოანე საბანისძის „პაბოს წამებიდან“:

„...სასტიკებისაგან და სიღერაგისა, მანქანებითა მათ საცურებისაითა, ზე-დამდგომელთა (ე.ი. არაბთა) ამათ ჩვენთა, მფლობელთა ამის უმითა, ზაკველებითა მოძღვრებისაითა... ქრისტესაგან მრავალი შეაცურნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა... რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სი-ყრმესა შინა უმცირებით, რომელნიმე შზაკვარებით. და სხვანი, რომელნი-ეს ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებული და ნაკლულებანებითა და სიგლახა-კითა შეკრული, ვითარცა რკინითა ხარგსა ქვეშე მათსა გვემული და ქეჯილნი, ძვირ-ძვირად ზღვეუნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწმნი ქარ-თაგან ძლიერთა...“



სურ. 4. აბო ტფილელი

კითხვები

„აბოს წამების“ მიხედვით

1. რაში გამოიხატება საქართველოში არაბთა ბატონობის სისასტიკე?
2. რა მეთოდებით ცდილობდნენ არაბები ქართველი მოსახლეობის დამორჩილებას?

დაგვლება

1. წყარო 3-ისა და 4-ის მიხედვით იმსჯელე საქართველოში ქრისტიანების მდგომარეობაზე სპარსთა და არაბთა ბატონობის პერიოდში.
2. შეაფასე აგიოგრაფიული ძეგლების მნიშვნელობა ისტორიული სურათის აღსაღენად.

დამოუკიდებელი სამუშაო

დაკვირვებით წაიკითხე რომელიმე ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოები და იმსჯელე მის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაზე. შენი პოზიციის დასადასტურებლად ნაწარმოებიდან მოიყვანე შესაბამისი ამონარიდები და მიუთით თუ რა სახის ისტორიულ ინფორმაციას შეიცავენ ისინი.

§2. მემუარები

მემუარები ლათინურიდან ითარგმნება, როგორც მოგონება. ის ეპიკური უნანრის პუბლიცისტურ ნაწარმოებებს მიეკუთვნება.


მემუარებში ორი მხარეა საყურადღებო:

1. უტორის პიროვნული, უტორისიოგრაფიული მომენტის წინ წამოწევა, რაც მისი ცხოვრების ზოგიერთი მხარის გაცნობის საშუალებას გვაძლევს.
2. საზოგადოებრივი მოვლენების, ეპოქის, ისტორიული ფაქტების, საზოგადოებრივი აზრის განვითარების აღწერა, რომელთა უშუალო მონაწილე ხშირად თავად მთხოვბელია.

მემუარული ლიტერატურის ცნობილი ნიმუშებია: სენ-სიმონის, ნაპოლეონ ბონაპარტის, შარლ დე გოლის, ჩერჩილის და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანის მემუარები. ქართულ ლიტერატურაში აღსანიშნავია დავით კლდი-აშვილისა და დიმიტრი ყიფანის მემუარები.

ეს საინტერესო:

ედუარდ კენედიმ, აშშ-ს სენატორმა და პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა, ხელი მოაწერა 8-მილიონიან კონტრაქტს, რომლის თანახმადაც 2010 წელს მისი მემუარები გამოიცემა. მემუარებში ედუარდ კენედი თვისის ოჯახის, ძმების, აშშ-ს პრეზიდენტის ჯონ კენედისა (1961 – 1963 წწ.) და იუსტიციის მინისტრის — რობერტ კენ-





სურ. 1. ნინო გოგებაშვილი

წერილი 1

ნინო გოგებაშვილი „ჩემი წარსული“:

„...ჩენ კიდევ ვიმედონებდით, რომ ბოლშევიკებს ბოლოს მოუღებდნენ რუსეთში და შესდებოდა ნორმალური მთავრობა... დაგაარსეთ ინტერპარტიული კომიტეტი. მთავარი საკითხი გახდა თავის დაცვა ოსმალოს შემოსვეისაგან და დამფუძნებელი კრუბის საშუალებით იმპერიის ფარგლებში ნაციონალური მმართველობის აწყობა. არც ერთ პარტიას, ჯგუფს თუ პიროვნებას არ წიმოუყენებია საკითხი დამოუკიდებლობისა. ეს იმ გარემოებაში წარმოუდგენელიც იყო. საზღვრუბზე იდგა ოსმალოს ჯარები, რუსის ჯარი კი არ ირყეოდა, ჩვენი ფიზიკური და ეთნოგრაფიული არსებობაც საფრთხეში იმყოფებოდა.

... რაკი გადამწყვეტ როლს ყველა დიდ პოლიტიკურ მდგომარეობაში ასრულებდა თვილისის სოც-დემოკრატიული ორგანიზაცია, პირველ ყოვლისა მოვიწვიეთ მისი კრება ქალაქის საბჭოში. დაესწრნენ ყველა რაიონების წარმომადგენელნი, კომიტეტი სრული შემადგენლობით... მედიოლნენ ყველა ეროვნები ქართველების გვერდით, რუსები, სომხები, ოსები, მუსულმანები — ყველა. ეს იყო მართლა ინტერნაციონალური.

... დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ქარტიად.

იშვა 26 მაისი.

... გვქონდა ცნობა, რომ პირველი შემოტევა დაიწყება ბორჩალოს საზღვრებთან და მას გამოცაცხადებდნენ აჯანყებად. ამნაირათ მთელ ომს მოსკოვი ეროვნაში გამოიტანს შინაურ ამბოხებათ და მით ხელს დაიბანს.

... ომი გაჩაღდა. მოსკოვმა ამცნო ქვეყანას რადიოთი საქართველოში აჯანყება დაიწყო, ხოლო კავკასიაში კი აცხადებდა: საბჭოთა სომხეთი თავს დაესხა მენშევიკებს და ითხოვს ბორჩალოს სომხეთისთვის შემოერთებას. ჩვენ ხალხის გასამხნევებლად ამ ვერსიას ჩავირტინდით. შემდგე აზერბაიჯანელებიც მიგყოლეთ. ხოლო, როცა ტევენებში რუსები მოხვდნენ — ვამბობდით, რუსები ქმარებანო და სხვა.... ეს აგიტაცია სჭირდა... ნამდვილი ამბავი — რომ იბრძვის რუსის ჯარი და არა სომხეთი ან აზერბაიჯანელი ჯერ კიდევ უცნობი იყო ფართუ მასისათვის.“



სურ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

კითხვები:

1. რუბრიკაში „ეს საინტერუსოა“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შენი აზრით, რით იქნება საინტერუსო საზოგადოებისთვის, ისტორიკოსებისთვის კენელის მემუარები?
2. შენი აზრით, არის, თუ არა, წყარო 1-ში მემუარებისათვის დამახასიათებელი 2 ძირითადი თვისება?
3. როგორ ახასიათებს წყარო 1-ში ნინო გოგებაშვილია სოციალ-დემოკრატების როლს საქართველოში?
4. შენი აზრით, რატომ მიმართავდა საქართველოს იმჟამინდელი მთავრობა აგიტაციას ცრუ ფაქტებზე დაყრდნობით?
5. როგორ ახასიათებს საქართველოს მთავრობას წყარო 1-ში მოტანილი ნაწყვეტი ნინო გოგებაშვილის მემუარებიდან?



სურ. 3. რუსეთის ნითელი არმიის შემოსვლა თბილისში

წერილი 2

სოლომონ ზალდასტანიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი) — „საქართველოს 1924 წლის ამბობება“

„1921 წლის 11 თებერვალს რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია და საქართველოს თავს დაესხა.

ამ ხანაშიც ქართველის ხალხის ნაწილ ფენებში ჯერ არ გამქრალიყო რუსოფილური ტენდენციები და რუ-

სეთთან შეტაკებაში მისმა ხელმძღვანელმა წრებმა ღირსეული ბრძოლა ვერ აწარმოეს.

...ამას მოპყვა შემდგი მოვლენები:...დაპკტერეს 1500-მდე ქართული ეკლესია; შეურაცხეფ-ვეს საფლავი დავითისა და კონსტანტინესი მოწამეთაში... შემდგე ჯერი მიდგა საქართველოს ტერიტორიაზე : რუსეთმა დაუთმო ანგორას (ოურქეთი) ბათუმის ოლქის ნაწილები და ართვინი, სომხებს მისცა ბორჩალოს მაზრის ნაწილი, აზერბაიჯანს – ზაქათალის, სიღნაღისა და თბილისის მაზრების ნაწილები. ... დედა აზრი ამ ცვლილებათა, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდგე, ფაქტიურად მდგომარეობს არა ხელისუფლების შეცვლაში (ქართველი მენშვიკებისა ქართველ კომუნისტებზე), რასაც ჩვენთვის მეორეხარისხოვანი ხასიათი აქვს, — არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაში...

(ამას)ქართველმა ხალხმა აჯანყებით უპასუხა.

... 1922 წლის აგვისტოში აჯანყება... მოხდა. გამოვიდა კახეთი და ხევსურეთი. ...რუსები ხევსურეთში შევიდნენ და სოფლები გაანადგურეს. თბილისში ამ გამოსვლის გამო დაჭრა და დახვრუტა დაიწყეს.

... 1923 წლის მაისში „ჩეკას“ (საგანგებო კომიტეტი) დადგენილებით დახვრუტილ იქნება: 1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვემჯდომარე კ. აფხაზი, 2. გენერალური შტაბის წევრი გენერალი ა. ანდრონიკაშვილი, 3. გენერალი გარდენ წულუკიძე, 4. პოლკოვნიკი გ. ხიმშავაშვილი, ...

... საქართველოს მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას, და თუ, ვინიცობაა, აჯანყება დამარცხდეს, მაშინ მოძრაობა პროგინციელში უნდა გაგრძელდეს, რომ ამით პარიზში მყოფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შეძლოს ზოგიერთ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური წესით მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსებთან.

... აჯანყების დაწყება 5 კაცს მიანდეს... მოვითხოვ აქტნათ, — რამ გამოიწვია სხვებისადმი ამნაირი უნდობლობა, ან სად არიან დანარჩენი სამხედრო კომისიის წევრები — მთავარი ძარღვი მთელი მოძრაობისა?... „ჩეკა“ შეუცადა და ბოლოს მაინც შექმნა ჩვენს წრეში უნდობლობა. დალატი დასწამეს პორუჩიკ ჯინორიას და გენერალ დლონტქს... (ეს ის დლონტი იყო, რომელიც „ჩეკაში“ წამების დროს ჯალათებს ხელში შემოკვედათ მაგრამ მისი პირიდან ვერც ერთი ოფიცრის გვარი ვერ გაიგეს).... „ჩეკა“ ჩვენი ხელით თავის საქმეს აკეთებდა — აქტიურ პირებს გვაკვლებულად.

... გავშალე გაზეთი და ჩემს თვალებს არ დაგუჯერე: ჭიათურა 28 აგვისტოს დილით 2 საათზე გამოსულიყო და აჯანყებულ ხალხს ქალაქი დაეკავა, ე.ი. ჭიათურა გამოიდა 24 საათით ადრე... თაბრუ დამტბა, კანკალმა ამიტანა, მწუხარებით შეპყრობილმა არ ვიცოდი, რა მექნა!... 24 საათით ადრე გამოსვლამ დრო და ინიციატივა მოქმედებისა „ჩეკას“ და ხელისუფლებას გადასცა. იმავე დღეს ე.ი. 28 აგვისტოს გამოაცხადეს სამხედრო წესები... ერთი სიტყვით, თაოსნობა ხელიდან წაგვერთვა და ხელისუფლება იერიშით ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოვიდა... კახეთის ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელები 28 აგვისტოს დაიჰირეს და ყველანი დახვრიტე... ასობით ადამიანი გაჰყავდათ დასახვრუტად“.



სურ. 4. ქ. ჩოლოყაშვილი



სურ. 5. წითელი არმიის აღლუმი

კითხვები

1. როგორ ახსნი მოსაზრებას, რომ: „ქართველის ხალხის ნაწილ ფეხებში ჯერ არ გამქრალიყო რუსოფლური ტენდენციები“?
2. როგორ ფიქრობ, იყო თუ არა გამართლებული 1922 წლის კახეთისა და ხევსურეთის გამოსვლა? პასუხი დაასაბუთე.
3. როგორ ფიქრობ, რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „ჩეკა“ ჩვენი ხელით თავის საქმეს აკეთებდა — აქტიურ პირებს გვაკვლებდა?
4. შენი აზრით, რამდენად მყარია საერთაშორისო დახმარების არგუმენტი?
5. როგორ ფიქრობ, რატომ მიმართა ხელისუფლებამ უკიდურეს ზომებს — ეჭვმიტანილთა დახვრუტას?

დამოუკიდებელი სამუშაო:

ამოირჩიე შენთვის სასურველი ერთ-ერთი თემა:

ა) მოიძიე ნოე ქორდანიას მემუარები და დაწერე თემა სათაურით „საქართველოს დამოუკიდებლობა“ ნოე ქორდანიას მემუარების მიხედვით, რომელშიც ისაუბრებ ავტორის მიერ ნახსენებ მოვლენებზე, მათი შეფასების სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებზე.

ბ) მოიძიე დამატებითი მასალა და ჩამოაყალიბე 1924 წლის აჯანყების მარცხის მიზეზები.

§3. ഫലിപ്പാൻപാടം

დღიური ავტორისეული ყოველდღიური ან პერიოდული ჩანაწერებია. ყოველი ჩანაწერი დათარიღებულია. დღიური მხატვრული პროზის ერთ-ერთი ნიმუშია. ამ ჟანრის წარმოშობა ლიტერატურულ მიმდინარეობას — სენტიმენტალიზმს, უკავშირდება. ჩანაწერები შესრულებულია თხრობის თავისუფალი, უშუალო, მხოლოდ ავტორისათვის დამახასიათებელი, სტილით. ფაქტები და მოვლენები დღიურის ავტორის განცდებისა და შთაბეჭდილებების სახით არის გადმოცემული.



1921 წლის თებერვალში, როცა დამოუკიდებელ საქართველოს რუსეთის მეთერთმეტე არმიამ შემოუტია, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, ივ. ჯავახიშვილმა სტუდენტებს სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგომისა-კენ მოუწოდა. მის მიმართას ბევრი ახალგაზრდა გამოეხმაურა. მათ შორის იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მარო მაყაშვილიც. მარო მოწევალების დად მიდის კოჯრის ბატალიონში. „ჩვენი ბიჭები სახელოვან გამარჯვებას მოიპოვებენ მტერზე“ — სწერდა ის მამას, მაგრამ სულ რაღაც ორი დღის შემდეგ მარო რუსული ზარბაზნის ყუმბარამ იმსხვერპლა.

წერო 1

მარო მაყაშვილის დღიურიდან:

1918 წლის 12 օქტომბერი.

ჩვენ წინ გაიარა პაოლო იაშვილმა... მასთან ჩემი შორეული ნათესავი იყო. მე დავუკარი თუცი. პაოლომ შეამჩნა... ისე მიყურებდა.... ჩვენ პირდაპირ დადგნენ პაოლო და ტიტე ტაბიძე და ორი პოეტი, არ ვიცი მათი გვარები. მე კვდებულ და კწითლდები... მღვავლენ ხელი ქსოვს და გვიძინებით...

1918 წელი, 28 ივნისი.

ამას წინათ მქონეულება შემჩვდა „ის“. არ ვიცი, არც მისი სახელი, არც — გვარი. ძალიან მომწონს... ამას წინათ თუთურ ჩოხაში გამოწყვობილი ვნახუ, შესანიშნავი იყო.

მინდა საზღვარგარეთ, ძალიან მინდა და წავალ უსათუოდ. სწავლის შემდგვ ერთ წელიწადს ვიმსახურებ, მოვაგროვებ ფულს და გაუუდილებ ჩემს მშობლებს ამით...

17 ენკუნისთვა.

თუ გავთხოვდები, ქმრის კისერზედ არასგზის არ ვიქნები. ჩემთვის ვიძუშვებ და ჩემთვის ფულს შევიძენ. რა სამართალია სხვისი ამაგით კეოვრება. მე მაგის წინააღმდეგი ვარ.

10 ዓዲስአበባ, 1918 ዓ.ም.

ეპ, რა დღოს პირად გრძნობაზეა ლაპარაკი. ამ დღებში წყდება საქართველოს ბეჭ-ილბალი. გათუდა მსოფლიო ომი. ვიფლერთ პატარა და დიდი მტრები ქლა მოისვენებენ. არა! ...გუშინ უღრიმატები წმოლებინა სომხის მთავრობამ ერევანისა ქართველებს. ახალქალაქი, ახალციხე, ჯავახეთი, დაგვიცალეთ და თბილისი ნიტრალურ ქალაქდ გახადეთ.... ახლა ისე დავცემით და გვილაჩრდებით, რომ ესენი ჯასრულოთ? სისხლის უკანასკნელ წვეთმდე ვიბრძოლებთ ქართველი ძალიან მომოქნია, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. მსხვერპლი დიდი იქნება. აი, რა არის საშიში... ძალა, რომ ძრონდეს მე... რა არის უძალლესი და ულამაზესი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობისა.

17 ወጋዢምስጫር

თბილისი თანდათან ივსება ინგლისელების ჯარით... ხან ფრანგები გვეწვევიან, ხან გერმანელები, ხან სომხები... რას გააკოტბენ აქ, არ ვიციო...

4 օհնարկ 1919 նոյեմբեր

მდგომარეობა უცვლელია, დენიკინი ჯარით არც ახლოვდება, არც მიღის. კრებები გაუთავებელია. ამ დღებში მობილიზაცია მოხდება. ო! როდის უნდა ამოვისუნთქოთ თავისუფლად. როდის აყვალება წალკოტიფით ჩვენი ქვეყანა. რათ ვუნდობართ ჩვენ სხვებს...დაგვანებოთ თავი...აბა რას კრჩით დენიკინს, რა უნდა ჩვენგან?

არა, ქართველი ერი მხნი და გულადი არის, არვის დაანებებს თავის სამშობლოს..

ან სიკვდილი, ან გამარჯვება...

1919 წელი

...მთვარის შუქშე ვწერ ჩემს დღიურს, სასიამოვნოა... საყვარელო მამა! მე ჯერ-ჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისაგან 112 ვერსზე ვართ, მეორისაგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან... ნუ გეშინიათ გავიმარჯვებთ სახელოვნად.

შენი მარო.“

კითხვები:

1. როგორია მარო მაყაშვილის დამოკიდებულება სამშობლოსადმი?
2. რამდენად არის გადმოცემული წყარო 1-ში ავტორის პირადი გრძნობები, პოზიციები, მისი სულიერი სამყარო და განცდები?
3. როგორ არის წყარო 1-ში გაშუქებული მიმდინარე პოლიტიკური პროცესები?
4. როგორ ახასიათებს წყარო 1-ში დღიურის ავტორი ქართველ ხალხს?
5. შენი აზრით, ობიექტურია თუ არა, მარო მაყაშვილის მსჯელობა პოლიტიკურ საკითხებზე? პასუხი დაასაბუთო.

დაგენერაცია:

მოიძე ინფორმაცია 1918-1919 წლების საქართველოზე და აღადგინე ის ისტორიული მოვლენები, რომლებზეც სუბარია მარო მაყაშვილის დღიურში. დაწერე თუმა „1918-1921 წლების საქართველო მარო მაყაშვილის დღიურში“.

ანა ფრანკი ებრაელი გოგონა იყო. გერმანელების ოკუპაციის დროს ის თავის ოჯახთან ერთად ამსტერდამის ერთ-ერთ სახლში მოწყობილ სამალაგს აფარებდა თავს. მისი დღიური, რომელშიც აგტორმა ფაშიზმის საზარელი სახე კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, წიგნად გამოიცა 1947 წელს. „ანა ფრანკის დღიური“ მრავალ ენაზე ითარებმნა და შენს თანატოლებში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.. ანა ფრანკი გარდაიცვალა 16 წლის ასაკში 1945 წლის მარტში, საკონცენტრაციო ბანაკში, პოლანდიის განთვისუფლებამდე 2 თვით აღრუ.

წყარო 2:

ანა ფრანკის დღიურიდან:



სურ. 2. ანა ფრანკი

„იმის გამო, რომ ჩვენ ებრაელები ვართ, მამა 1933 წელს გერმანიიდან პოლანდიაში გადავიდა, სადაც მოწყობილი პოლანდიური ფირმის „დაჩ ოპეკტა კომპანის“ მმართველად, რომელიც აწარმოებდა სურსათის ნახევარფაბრიკატებს.

5 აგვისტო, 1942 წელი.

„1940 წლის მაისიდან ლამაზი დღეები წარსულს ჩაბარდა: თვილაპირელად გამოაცხადეს ომი, შემდეგ კაპიტულაცია, და ბოლოს მოვიდნენ გერმანელები და ებრაელებისათვის მძიმე დრო დადგა...“

10 სექტემბერი 1942 წელი.

ჩვენ ერთი წუთითაც არ გვტოვებდა შიში იმის გამო, რომ ჩვენს ნათესავებს დევნიდნენ გერმანიაში ანტიებრაული კანონების შესაბამისად. 1938 წლის დარბევების შეძლევ ორი ბიძა გერმანიიდან ჩრდილო ამერიკაში გაიქცა...“

11 ნოემბერი 1942 წელი.

ანტიებრაული კანონების შემოღება ყოველნაირად ზღუდვადა ჩვენს თავისუფლებას, ებრაელებს აიძულებდნენ, ეტარებინათ კუთიული ვარსკვლავი, ჩაებარებინათ თავისი ველოსიპედები; ებრაელებს ეკრძალებოდათ ველოტრამგაით და მანქანით, ის მათი საკუთარიც, რომ ყოფილიყო. ებრაელებს უფლება პქონდათ გასულიყნენ მაღაზიებში მხოლოდ 3-დან 5 საათამდე; მათ უნდა ესარგებლათ მხოლოდ ებრაელი საპარიკმახეროთი; ებრაელებს ეკრძალებოდათ ქუჩაში გამოსვლა საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე...“

6 დეკემბერი, 1942 წელი.

ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ქუჩაში გასვლა, მე იმაზე უფრო მეტად მორგუნავს, ვიდრე ამის გამოხატვა შემიძლია.





სურ. 3. ებრაელთა მასობრივი განადგურება.
ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი

1944 წელი

დადგება დღე, როცა ეს საშინელი ომი ბოლოს და ბოლოს დამთავრდება. დადგება დრო, როცა ჩვენ კვლავ ვიქებით ადამიანები და არა უბრალოდ ებრაელები“.

11 აპრილი, 1944 წელი.

კითხვები:

1. შენი აზრით, რამდენად გადმოსცემს წყარო 2 ებრაელი ხალხის მდგომარეობას აღწერილ პერიოდში?
2. რამდენად გაცნობს წყარო 2 ანა ფრანკის პიროვნებას, მის სულიერ სამყაროსა და მისწრაფებებს?
3. როგორია ანა ფრანკის დამოკიდებულება თვეისი ბედის, ერისა და ომისადმი?
4. შეადარე წყარო 1-ისა და 2-ის მთავარი გმირები მარო მაყაშვილი და ანა ფრანკი.

დაგვეტყნობა

წაიკითხე ანა ფრანკის დღიური, მოიძიე მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა დენის ამსახველი მასალები და შექმნი ჟურნალი ან დაწერე თქმა: „ ფშიზმი ანა ფრანკის დღიურში“.

§4. პერიოდული მასალა

პრესა მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროა. ჟურნალ-გაზეთები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ისტორიკოსს კი კვლევისათვის მდიდარ მასალას აწვდის. პრესა ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული ცხოვრებას.

წყარო 1

„ბატონი რედაქტორო! ამ წერილს გწეროთ დიდი დიდმის ოთხივე მიკრორაინის მცხოვრებლები.“

... აი, უკვე ზამთარი მოახლოვდა და ელექტროენერგია არათუ გრაფიკით,



შემთხვევიდან შემთხვევამდე ძლივს მოგვწოდება.

უკიდურესად შეწუხულები კატეგორიულად მოვითხოვთ, დაცული იქნას გრაფიკი და დენი დილისა და საღამოს საათებში ნორმალურად მოგვწოდოს! თუ ეს არ მოხდა, მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ზომებს“.

გაზ. „ასაგალ-დასაგალი“ 1997, დეკემბერი, №49.

„თბილისის ერთ-ერთ ჩაბნელებულ უბანში შემთხვევით მოსულმა სინათლემ მოსახლეობის ნახვაზე მეტს მაცორები, ნათურები და ელექტრომოწყობილებები გადაუწვევა“.

გაზ. „ალია“, 1997წ. ოქტომბერი.

„ბათუმის სასტუმრო „მესხეთში“ 950 ლტოლვილი ცხოვრობს, სასტუმრო კერძო მფლობელობაშია ... დევნილებს გამოსახლების საფრთხე ემუქრებათ. სახელმწიფო თითო დევნილს დახმარების სახით 5 ლარს უხდის“.

გაზ. „ალია“, 1997, დეკემბერი.

„...დიფტერია გვიტვს. უფასო აცრები ხშირად მხოლოდ შეპირებად რჩება... იმედია, ჯანმრთელობის მინისტრი უყურადღებოდ არ დატოვებს აღნიშნულ შემთხვევას“.

გაზ. „ასაგალ-დასაგალი“, 1997, დეკემბერი, №49

„ოფიციალური მონაცემებით დღეს საქართველოში 400-მდე მაწანწალა ბავშვია რეგისტრირებული, ეს რაც აღრიცხვაზეა, ისინი, ვინც „იატაკებება“ მუშაობას წარმატების შემთხვევაში მეტია. არასრულწლოვან დამნაშავეთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში ასეთ ბავშვებს მხოლოდ რამდენიმე დღე აჩერებენ...“.

გაზ. „ალია“, 1997, ნოემბერი

„27 ნოემბერს მეორე მსოფლიო ომის ოთხმოცამდე ვეტერანი კვლავ შეიკრიბა საქართველოს პარლამენტის წინ პენსიების მომატებისა და ღრიულად დარიგების მოთხოვნით, გარდა ამისა, ისინი ტრანსპორტით სარგებლობასა და მკურნალობაზე გარკვეული შედაგაუბის გაწვევას ითხოვდნენ... მოქალაქეთა კავშირის მდგვანი დაპარილა ვეტერანებს, რომ პარლამენტის სხდომაზე... მოითხოვს პენსიების გაზრდას 40-45 ლარამდე.“

გაზ. „ასაგალ-დასაგალი“, 1997, დეკემბერი.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო საწრთვნელი პოლი-გონის ფუნქციონირების შეწყვეტისა და მისი გადატანის მოთხოვნით.“

გაზ. „ასაგალ-დასაგალი“, 1997, თელისი.

„ჩვენი ქუჩა ორმოებით დაცხრილული, აყრილ-დაყრილი და მოსაწესრიგებულია. ნორმალურად ვერ გაგვიფლია, დღის საათებშიც კი.“

...იქნებ როგორმე, მცირედი სახსრები მაინც გამოინახოს სარაჯიშვილის ქუჩის თუნდაც ნაწილობრივ შეკეთებისათვის.“

გაზ. „თბილისი“, 1997, ნოემბერი.

დაგვლება 1

1. წყარო 1-ის მიხედვით შეაფასე 1997 წელს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობა.

2. იმსჯელე, რამდენად სანდო წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს პრესაში მოცემული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ამსახველი მასალა.

3. წყარო 1-ში მოცემული მასალის მიხედვით განსაზღვრუ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება.

4. წარმოიდგინე, რომ ხარ უურნალისტი. დაწერ საგაზეთო სტატია დღევანდელ ყოფით პრობლემებზე და შეადარე წყარო 1-ში მოწოდებულ ინფორმაციას.



ეს საინტერესოა:

შენ უკვე იცი, რომ დამარცხებული ნაპოლეონ ბონაპარტი 1812 წელს კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. მაგრამ, მან მაღე დააღწია თავი ტყეებისა და საფრანგეთში იმპერიის აღსადგენად დაბრუნდა. საინტერესოა, როგორ იცვლებოდა ინფორმაცია ერთი და იგივე გაზეთის ფურცლებზე პარიზისაკენ ნაპოლეონის მსვლელობის შესახებ:

„პირველი ცნობა: „კორსიკული ურჩხული გადმოვიდა უუნის ნაციადგურში“, მეორე ცნობა: „კაციჭამა გრასიასაკენ მიდის“, მესამე ცნობა: „უზურპატორი გრენობლში შევიდა“, მეოთხე ცნობა: „ბონაპარტმა ლიონი დაიკავა“, მეხუთე ცნობა: „ნაპოლეონი ფონტებლოს უახლოვდება“, მეექვსე ცნობა: „მის იმპერატორობით უდიდებულესობას ხვალ ელიან მის ერთგულ პარიზში“ (ტარლე).

კითხვა

1. შენი აზრით, რას ნიშნავს პრესის ტენდენციურობა?
2. როგორ ფიქრობ, რა ფაქტორებმა შეიძლება გახადოს უურნალისტი არაობიერტური?
3. შენი აზრით, როგორ უნდა დაადგინოს ისტორიკოსმა ტენდენციურია, თუ არა, ინფორმაცია?

წყარო 2

„საბჭოთა პრესა პარტიის ყველაზე ძლიერი, ბასრი იარაღია. ბოლშვიკური პრესა იდეურად აიარაღეს საბჭოთა ხალხის მასებს. იგი ახდენს მათი შევნებისა და ნებისყოფის მობილიზებას. მებრძოლი პარტიული სიტყვა საიკვდილო ლახვარს სცემს მტრებს“.

„ცხადია პრესის ორგანოში მომუშავე ადამიანები, რედაქტორიდან კორექტორამდე უნდა იყვნენ კომუნიზმის, ლენინ-სტალინის საქმის ღრმად ერთგულნი. პოლიტიკურად გახრწნილ, შებალულ კაცუნებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს უურნალებსა და გაზეულების. ისინი უკლებლივ დაუნდობლად უნდა განვდევნოთ პრესის ორგანოებიდან“.

„კომკავშირულ და პიონერულ უურნალ-გაზეულებს აქვთ პასუხსაგები მოვალეობა, დაქმარონ მოზარდი თაობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას. დანერგონ მასში თავისი დედის, ლენინ-სტალინის პარტიის წმინდა ერთგულება, აღზარდონ ჩვენს ახალგაზრდობასა და ჩვენს ბავშვებში სოციალისტური სამშობლოს ყველა მტრისადმი მხურვალე სიძულვილის გრძნობა“.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937 წ., №176.



წყარო 3

„კომკავშირი საუკეთესო, მოწინავე და პოლიტიკურად მომზადებული ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაციაა, მან თავისი გავლენით უნდა მოიცავს მთელი მოზარდი თაობა და დაქმაროს პარტიას აღზარდოს ახალგაზრდობა და ბავშვები კომუნიზმის საფუძველზე, მომზადოს სოციალისტური სამშობლოს სახელოვანი სტალინური თაობა...“

„კომკავშირმა სკოლაში უნდა დაანთოს გამანადგურებელი ცეცხლი ყოველგარი ანტიხალხური მოვლენების წინააღმდეგ“.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი, 1937წ., №288.

„გერმანელი ფაშისტები განუწყვეტლივ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ახალგაზრდობა, რომ მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ გერმანია უზრუნველყოფდა მათ ბედნიერებას და მომავალს.“

ახალგაზრდობის ჩამორჩენილი ნაწილი მართლაც წამოევო ფაშისტური პროფკაციის ამ ანგაზე და გაყვაჲიტლერს.

ფაშისტები იმდენად გათავსედნენ, რომ გერმანიის მთელი ახალგაზრდობა დაუმორჩილეს ფაშისტ თავზებულადებულთა ორგანიზაციას „პიტლერულ ახალგაზრდობას“. აბა გაბედოს ვინმემ თავის არიდება! გერმანელ ბავშვებს ათი წლიდან ზრდიან ამ ორგანიზაციაში.

გერმანიის ახალგაზრდობას სავსებით წარმეული აქვს პოლიტიკური და კულტურული უფლებები, სიტყვის, კრების, კავშირების, რწმენის, თავისუფალი განვითარების, აზროვნებისა და ღისკუსის თავისუფლება“

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1937წ., №227.

დაფლება 2

1. იმსჯელე, რამდენად მართებულად მიგაჩნია საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა მომავალი თაობის მსოფლ-მსელველობის ჩამოყალიბებაზე.
2. წყარო 2-ისა და 3-ის მიხედვით შეაფასე თავისუფალი აზრისა და არჩევანის უფლება საბჭოთა კავშირში.
3. წყარო 3-ის მიხედვით შეაფასე და შეადარე საბჭოთა და გერმანული ახალგაზრდული ორგანიზაციები და იმსჯელე სტატიების ავტორების ობიექტურობაზე.
4. წყარო 2-ისა და 3-ის მიხედვით შეაფასე 1937 წლის საბჭოთა პრესის მდგომარეობა.
5. ამავე წყაროების მიხედვით შეაფასე უურნალისტის უფლება-მოვალეობები საბჭოთა კავშირში.

დამატებითი მასალა

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა იცავს პრესის თავისუფლებას და უურნალისტის უფლებებს.

წყარო 4

„საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“:

- ❖ საქართველოში პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფლია;
 - ❖ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ცენტურა დაუშვებელია.
 - ❖ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ საფრთხე ექმნება სახელმწიფო უშიშროებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
 - ❖ სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, ნებისმიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ... უურნალისტთა და რედაქტორთა იძულება, შეცვალონ ან უარი თქვან ინფორმაციის გავრცელებაზე, ისჯება...
 - ❖ უურნალისტს უფლება აქვს:
- ბ) თავისი მოვალეობის შესრულებისას შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს.
- თ) ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეცფონდით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ქმედი სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების პირად ცხოვრებას.
- ❖ უურნალისტი მოვალეა:
 - ბ) შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტესებაზე.
 - ე) პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს.
 - ❖ ყალბი ცნობების გავრცელების, მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა განზრას შეურაცხეოფისა და ცილის-წამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რედაქტორებს და მასალის ავტორებს.

კითხები

1. როგორ შეაფასებ პრესის თავისუფლებისა და მის საქმიანობაში ჩაურეველობის მნიშვნელობას?
2. უფლებამოსილი პირი რომ იყო, დააწესებდი თუ არა პრესაზე კონტროლს, რა სახის კონტროლს და – რატომ?
3. როგორ ფიქრობ, გამორიცხავს, თუ არა, უურნალისტის უფლებების დაცვა პრესაში ტენდენციური ინფორმაციის გაურცელებას?
4. შეაფასე კანონში (წყარო 4) მოცემული უურნალისტის უფლება-მოვალეობები, ხომ არ შეიტანდი მასში რაიმე სახის ცვლილებას?

დამოუკიდებელი სამუშაო

1. ა) აიღე ინტერვიუ შშობლების, მასწავლებლებისა და ნათესავებისაგან. გააანალიზე მოპოვებული მასალა და დაახასიათე 90-იანი წლების საქართველო.
- ბ) გაეცანი 90-იანი წლების, შენოვის ხელმისაწვდომ, უურნალ-გაზეთებს და შეაფასე, რამდენად ემთხვევა ინტერვიუს საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია პრესის მონაცემებს.
2. გაეცანი თანამედროვე უურნალ-გაზეთებს, იმსჯელე რამდენად არის დაცული წყარო 4-ში მოცემული, კანონით გათვალისწინებული ნორმები.

IV თავი. ისტორიის დამხმარე დისციპლინები

§1. არქეოლოგია

„არქეოლოგია“ ძველტერმული სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით „სიძვლისმცოდნებას“ ნიშნავს („არქაოს“ — ძველი, „ლოგოს“ — სიტყვა, ცოდნა).

წყარო 1

„მე ვიწყებ ჩემს ისტორიას უძველესი თქმულებებით, რომელთა შესახებ ჩემი წინამორბედი დუმდინენ... მოგითხოვთ პირველ პუნიკურ ომამდე. მოგითხოვთ ყველა ობის შესახებ, რომელიც რომაელ ხალხს უწარმოება, გაუწყებთ სახელმწიფო მოწყობისა და მმართველობების შესახებ, მეფეების დროს და მონარქიის გაუქმების შემდგე, მოგითხოვთ მორალსა და ჩვეულებებზე, განთქმული კანონმდებლობის შესახებ“.

დიონისე პალიკარნასელი, „რომის არქეოლოგია“.

1767 წელს გერმანიაში გიორგინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა ქრისტიან წეინემ წაიკითხა ლექციების კურსი „ძველი სამყაროს ხელოვნების არქეოლოგია, უპირატესად ბერძნობა და რომაელთა“. სადაც აღწერა ანტიკური ძეგლები და მოახდინა მათი კლასიფიკაცია. მისმა ერთ-ერთმა მოსწავლემ კი გამოსცა უერნალი „არქეოლოგია და ხელოვნება“, სადაც ძირითადი ადგილი ანტიკური კულტურის ისტორიას ეთმობოდა.

წყარო 2

„თანამედროვე არქეოლოგია დამოუკიდებელი ისტორიული მეცნიერებაა. არქეოლოგიის კვლევის ობიექტი მიწის წიაღში მოქცეული ნივთიერი კულტურის ძეგლებია... მიწის წიაღში უმთავრესი კვლევის საგანი ნიაღავის ის ფენა, რომელიც ადამიანის მოქმედების კვალსა და ნაშთებს შეიცავს. არქეოლოგია ამრიგად იკვლევს ადამიანთა და ადამიანთა საზოგადოების მიერ მიწის წიაღში დატოვებული ნაშთების წარმოშობასა და განვითარებას დროსა და სოვრცეში.“

ო. ლორთქიფანიძე.

კითხვები

1. ტექსტის, წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით, როგორ ესმოდათ „არქეოლოგია“ სხვადასხვა ეპოქაში?
2. შენი აზრით, რას შეისწავლის არქეოლოგია?
3. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა არქეოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბება?

ადამიანებს ყოველთვის იზიდავდა მიწაში დამარხული წარსული. ჯერ კიდევ ძვ.წ.VI საუკუნეში ბაბილონის მეფეს, ნაბონიდს ძველი სასახლეებისა და ტაძრების ნანგრევების გათხრები უწარმოება. ვარაუდობენ, რომ სამშენებლო საქმიანობით ცნობილი ნაბონიდი, ამ გათხრებისას ძველი სამშენებლო ტრადიციების შესწავლას და აღორძინებას ისახვდა მიზნად. ბაბილონის მეფის ძიებას არქეოლოგიისათვის უკალლოდ არ ჩაუვლია — ბრიტანეთის მუზეუმში დღესაც ინახება მის მიერ სიპარის ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი წარწერიანი ქვა.

მეცნიერთა თუ მოყვარულ არქეოლოგთა საქმიანობა, რა თქმა უნდა, შემდეგაც გრძელდებოდა. გათხრების ძირითადი მიზანი ძვირფასი ნივთების პოვნა და მათგან საინტერესო კოლექციების შექმნა იყო. გათხრები ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე წარმოებდა, რის შედეგადაც ხშირად უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველი მასალა ნადგურდებოდა.



კითხვები:

1. ძველი ეპოქის ძეგლების შესასწავლად გათხრების წარმოებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ადრე ჩატარებულ გათხრებს თანამედროვე მეცნიერები „არქეოლოგიურ გათხრებს“ მხოლოდ პირობითად უწოდებენ. როგორ ფიქრობ, რატომ?
2. როგორ წარმოგიდგნა ნამდვილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება?
3. შენი აზრით, რა ცოდნითა და იარაღებით უნდა იყოს აღჭურვილი არქეოლოგი, წარმატებას რომ მიაღწიოს?

XIX საუკუნეს „დიდი არქეოლოგიური გათხრების ეპოქას“ უწოდებენ: გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა უძველესი ბერძნული ქალაქები ტროა და მიკნი აღმოაჩინა. მეცნიერებმა დაიწყეს პირამიდებისა და ფარაონთა სამარხების შესწავლა. ამერიკელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა გვიატის ფარაონის — ტუტანქამონის აკლდა-მასა და საგანძურს მიაგნო. ფრანგმა პოლ ემილ ბოტამ ასურეთის დედაქალაქი ნინვია აღმოაჩინა... არქეოლოგიურმა

მიებამ თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. არქეოლოგიამ საოცარი პოპულარობა მოიხვეჭა. აღმოჩენებს მთელი საზოგადოება ყურადღებით ადგინებდა თვალ-ყურს, წერდნენ სტატიებს, რომანებს, პოემებსაც კი.

არქეოლოგია მოყვარულთა საქმიანობიდან თანდათან ნამდვილ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, შემუშავდა გათხრების წარმოების წესები, დაიწყეს მოპოვებული მასალის დაწვრილებით აღრიცხვა და კლასიფიკაცია. იმართებოდა არქეოლოგთა კონგრესები და საერთაშორისო სამეცნიერო შეხვედრები.



სურ. 2. ტუტანქამონის აკლდამა

წერო 3

„არქეოლოგიამ განვითარების გრძელი გზა, რომელიც აღსავს უდიდესი აღმოჩენებითა და ძიებებით, უდიდესი აღმოჩენებითა და შეცდომებით, იმედითა და იმედის გაცრუებებით, წარმატებითა და წარუმატებლობით.. შედეგად, არქეოლოგია სიძეველეთა შეგროვების მოყვარულობიდან გადაიქცა მეცნიერებად, რომელსაც აქვს თავისი სისტემები, კლასიფიკაციები და კვლევის მეთოდები“.

ა. მონგაიტი.

ჩამოყალიბდა არქეოლოგიური ტერმინოლოგია:

არქეოლოგები აღმოჩენილ ნივთებს, რომლებიც ადამიანის მიერ არის შექმნილი არტეფაქტს უწიდებენ. ტანსაცმელი, ჭურჭელი, სამკაული, ნახატი, თუნდაც ძლიერ დაზიანებული, ანუ ის, რაც პირველი მაძიებლებისათვის მხოლოდ „ძველი ნაგავი“ იყო, არქეოლოგების აზრით, ისეთივე ღირებულია, როგორც ოქრო-ვერცხლის ნაკეთობები.

აღმოჩენილი საგნის მდგომარეობას, მის გარემომცველ მიწასა და ნივთებს საგნის კონტექსტი წწიდება. არქეოლოგები, მაგალითად, მიიჩნევენ, რომ თუ საყოფაცხოვრებო ნივთები მოპოვებულია ცხოველის ძვლებთან ახლოს, ეს ადგილი ნაგვასაყრელი უნდა ყოფილიყო. დაუზიანებელი ნივთები, საგარაუდოდ, მეტყველებს, რომ ისინი ადამიანებმა სხვა ადგილზე გადასახლებისას დატოვეს ან დმერთებს შესწირეს. იზოლირებული საგნები შეიძლება, უბრალიდ დაეკარგათ. ადამიანის ნაშთი და მის ირგვლივ საგანგებოდ განლაგებული ნივთები საფლავის მანიშნებელია.

ეს საინტერესოა:

ძვ. წ. 79 წელს ვეზუვიზე ვულკანის მოულოდნელმა ამოფრქვევამ იტალიის ქალაქები: პომპეი, პერგამონუმი და სტაბია იმსხვერპლა. ლაგომ და ვულკანურმა ფერფლება თითქმის უცვლელად შემოგვინახა იმდროინდელი ქალაქების არქიტექტურა, მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი დეტალები.

არქეოლოგებმა იძოვეს პომპეელი მამაკაცის, მისი ცოლისა და თოთხმეტი წლის ქალიშვილის ჩონჩხები, რომებიც, როგორც მეცნიერებმა დაასკვნეს, ცდილობდნენ, გაქცევით ეშველათ თავისთვის. ვულკანურმა ფერფლება

მათი სხეულები დაფარა და ფორმა შეუნარჩუნა, მეცნიერებმა ამ ფორმებში თაბაშირი ჩაასხეს და სკულპტურული გამოსახულებები მიიღეს. აღმოაჩინეს სახლის ზღურბლზე ორი ქალიშვილი, რომლებიც თავიანთი ნივთების გადარჩენას ცდილობდნენ. ერთურთ სახლში ვულკანის ქელვიც შეუწყვეტია, ჭირისუფლები სუფრის ირგვლივ წამოწოლილიყვნენ. ასეთ მდგომარეობაში იპოვეს მათი ჩონჩხები არქეოლოგებმა.

ვულკანური ფერფლის ქვეშ ტაძრებსა და სასახლეებში ზელუბლებლად შემორჩა ცვილის ფირფატები, პაპირუსის გრაფნილები, იარაღები, ნაპონია მაგიდებზე მიმოფანტული ჭურჭელი და მონეტები.



სურ. 3. პომპეი

კითხვები:

1. როგორ ფიქრობ, რატომ მიიჩნევენ ნებისმიერ, თუნდაც დაზიანებულ, არტეფაქტს მეცნიერები ღირებულად?
2. შენი აზრით, რატომ თვლიან არქეოლოგები საგნის კონტექსტს მნიშვნელოვნად?

დავალება 1

1. ტექსტის მიხედვით იმსჯელე, რის საფუძველზე მიიჩნევენ, რომ XIX საუკუნისათვის არქეოლოგია ნამდვილ მეცნიერებად ჩამოყალიბდა?
2. დაახასიათე „სიძველისმოყვარული მაძიებელი“ და „არქეოლოგი“.
3. იმსჯელე რა მნიშვნელობა ჰქონდა არქეოლოგიის „მოყვარულთა საქმიანობიდან“ მეცნიერულ საფუძლებზე გადასვლას.

ეს საინტერესოა:



სურ. 4. ეგვიპტური შუმია

წარსულის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა თავად ადამიანის ნაშთიც. კანი და თმის ღერი ადამიანის ჯანმრთელობის, კვებისა და ყოფის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს.

მაგალითად, მუმიების შესწავლამ ცხადჰყო, რომ ეგვიპტელები ჯანმრთელობაზე სერიოზულად ზრუნავდნენ, მაშინ როცა ამერიკელ ინდიელთა მუმიებს აშკარად ეტყობა ოსტეოართორიტის — ძვლის ანთბითი დაუკადების კვალი, რომელსაც მძიმე ფიზიკური შრომა იწვევს.

აღმოჩნდა, რომ ორგანულ ნარჩენებს განსაკუთრებით კარგად ინახავს ჭაობი და ტბის შლამი. დანიაში, ტოლუნდის ჭობში აღმოაჩინეს მამაკაცის სხეული, რომელსაც თმა, კანი და შინაგანი ორგანოები შენარჩუნებული ჰქონდა. ჭრილობების კვალისა და ეკლზე შემოჭრილი ყულფის მიხედვით დაასკვნეს, რომ ის დაახლოებით 2000 წლის წინ სიკვდილით დაუსჯიათ.

2004 წელს რუსულმა სამეცნიერო უურნალმა „კალეიდოსკოპმა“ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა ბულგარეთში აღმოჩენილი თავის ქალის შესახებ, რომელიც დაახლოებით 9000 წლის წინანდელი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ადამიანი უხეში საკვებით იკვებებოდა, თუმცა ქალის საოცრად ჯანსაღი და ლამაზი კბილები აღმოაჩნდა, მეცნიერებმა მონაპოვარს „ქვის ხანის ჯულია რობერტის“ უწოდეს“.

წერო 4

„არქეოლოგიას მეტად საპატიო მისია აქეს: დღვენდელ ადამიანსა და მომავალ თაობებს დაუბრუნოს მიწის წიაღმი მოქცეული ყველაზე დიდი განძი — ადამიანის ნააზრევი და ნახელავი.“

„საისტორიო მეცნიერებათა წინაშე ყოველთვის იდგა საპატიო და მაღალი ამოცანა — ისტორიული სინამდვილის დადგენა. საკმაოდ როგორი ამოცანაა და მის წარმატებით გადაჭრაში საისტორიო დისკიპლინათა შორის არქეოლოგიის მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია: ისტორიკოსს მეტწილად საქმე აქვს იმ ფაქტებთან, რომელიც უკვე აისახა ადამიანის გონიერაში, კერძოდ, წერილობითი წყაროების შემდგენლის აზროვნებაში. რომლის გამოკვლევისას ერთმანეთს ენას გვება სუბიექტური და ობიექტური, რაც, ბუნებრივია, ქმნის ისტორიული სინამდვილის აღქმის სირთულეს. არქეოლოგიის კვლევის საგანი კი უფრო ობიექტური პირველწყაროა — ნეფთიერი კულტურის ძგლები“



სურ. 5. არქეოლოგიური გათხოვები

„...კაცობრიობის ძველი და უძველესი ისტორიის აღდგენა ძირითადად არქეოლოგიური მონაცემებითაა შესაძლებელი. ჯერ კიდევ ორასი წლის წინ კაცობრიობის ისტორიას სულ რაღაც 3000 წლით განსაზღვრავდნენ და იყი, წერილობითი წყაროების საფუძველზე, დაპყავდათ მხოლოდ მეფების ცხოვრებისა და ომების აღწერამდე. მხოლოდ XVIII საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო ძველი ბერძნულ-რომაული ცოდნის გაციება კონკრეტული მემკვიდრეობის, ასირიისა და ბაბილონის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა, რამაც კაცობრიობის ისტორიას კიდევ 2000 წელი დაუმატა... მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში გახდა ცნობილი კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდი, ქვის ხანის სახელით რომაა ცნობილი... ყოველ არქეოლოგიურ წელს ახალი ინფორმაცია მოაქვს.“

ო. ლორთქიფანიძე.

„არქეოლოგიამ გადატრიალება მოახდინა ისტორიულ მეცნიერებაში. მან ისტორიის სივრცობრივი პორიზონტი გააფართოვა ისეთი ოდენობით, როგორც ტელესკოპმა გაზარდა ასტრონომიის ხედვითი არე“.

ინგლისელი არქეოლოგი გორდონ ჩაილდი

კითხვა

როგორ ფიქრობ, რატომ არის ძველი და უძველესი ისტორიის შესწავლა უმთავრესად არქეოლოგიის საშუალებით შესაძლებელი?

დავალება 2

1. დაახასიათე წერილობითი ძეგლები და არქეოლოგიური მონაპოვარი, როგორც წარსულის შესწავლის წყარო. რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?

2. წყარო 3-ის მიხედვით შეაფასე არქეოლოგიის მნიშვნელობა კაცობრიობის წარსულის შესწავლის საქმეში.

ქართველი ხალხის ძველი ისტორიის შესწავლაც უმთავრესად არქეოლოგიურ კვლეული-ძიებას ეფუძნება. საქართველოს შესახებ უძველესი წერილობითი მასალები, ძველაღმოსავალური და ბერძნულ-რომაული წყაროები ძირითადად ძვ.წ. I ათასწლეულის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება. ამასთან, წყაროები ნაკლულია და სრულყოფილად ვერ ასახავს წარსულის მოვლენებს. მაგალითად, „ქართველი ერის ისტორიის“ ადრეულ გამოცემებში ფანე ჯავახიშვილი თხრობას პირველი საუკუნიდან იწყებდა. მხოლოდ მოგვიანებით, უკანასკნელ გამოცემებში შეძლო მან არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე უფრო ძველი პერიოდის წარმოდგენა.



სურ. 6. თრიალეთის კერძოს თასი

წყარო 5

„ჭოროხის აუზსა და მის მიმდგომ... ზღვისპირა ზოლში აღმოჩენილია ძვ.წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულით დათარიღებული რკინის დამამუშვებელი სახელოსნო საწარმოს ასეულობით ნაშთი — რკინის სადნობი ქურები, წიდები, ცეცხლგამდლე თიხის მარაგის შესანახად განკუთვნილი მოედნები. დადგინდა, რომ ძველი სახლოსნოები ნედლეულად იყენებდნენ მაგნეტიტურ ქვიშას“.

ო. ლორთქიფანიძე

წყარო 6

„განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დილმის ველზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის გრანდიოზული ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარის ნაშთები თითქმის 1.5 კილომეტრზეა გავრცელებული საქართველოს სამხედრო გზის გასწორება აღმართულ ბორცვებზე... ეს უზარმაზარი ბორცვები ტერასებადაა დანაწილებული და თითქმის მთლიანად დაფარულია უძველესი საცხოვრებლებით და სამურნეო ნაგებობებით ძირითადად ესაა რიყისა და ნაგლეჯი ქვის კედლებიანი და ბანურსახურავიანი სახლები, რომელთა შიგნით აღმოჩენილია ღუმელი (რომელიც რიტუალური კერის ფუნქციასაც ასრულებდა) სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების საკურთხევლები და სხვა. სამურნეო სათავსოებში ნაპოვნია მარცვლეულის შესანახი ხაროები, საღვინე ჭურჭლები და სხვა. ერთ-ერთ სათავსოში აღმოჩენილია ხორბლის მარცვლები და უფრონის წიპრები, საღვინე ქვერების არაჩვეულებრივ სიმრავლესთან ერთად... ყურადღებას იქცევს მოსახლეობის არაჩვეულებრივი სიმჭიდროვე: სახლები ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული, ამასთან სახლის ბანური სახურავი ზედა ტერასაზე მდგარი სახლის ეზოდაა გამოყენებული“.

ო. ლორთქიფანიძე

კითხვები:

1. წყარო 5-ში მოცემულია ცნობა ხალხზე, რომლის სახელიც კარგად იყო ცნობილი ძველი ბერძნებისათვის. ვინ უნდა იყოს ეს ხალხი? გაიხსენე, რომელი წერილობითი წყაროები გვამცნობენ მათ შესახებ.

2. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მასალა ისტორიის იმ პერიოდების შესწავლისათვის, რომელთა შესახბაც წერილობითი წყაროებიც არსებობს.

დავალება 3

1. წყარო 6-ში მოცემული არქეოლოგიური აღწერილობის მიხედვით დაახასიათე დიდმის ველის დასახლება.
2. „დაკარგვა“, „განადგურება“ და „პოვნა“ მხოლოდ შორეულ წარსულში შექმნილ ნივთებს არ ახასიათებს. მომავლის არქეოლოგები ჩვენი დროის არტეფაქტებსაც აღმოაჩენენ. შეარჩიე 5 ისეთი ნივთი, რომელსაც დაუტოვებდი მომავალ არქეოლოგს, ჩვენი დღვანდელი ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. დაასაბუთე შენი არჩევანი.
3. დაათვალიერე საკლასო ოთახი, განსაზღვრე, რომელი ნივთები გაუძლებენ ასწლეულებს და რა ინფორმაციას შეინახავენ ისინი დღვანდელობის შესახებ.



სურ. 7. უძველესი მარნის ნაშთი

ეს საინტერესოა:

წარსული ნაკალებს თითქმის ყოველთვის ტოვებს, მთავრია ვიცოდეთ სად უნდა ვეძიოთ ეს ნაკალები.

თანამედროვე არქეოლოგიაში ფართოდ გამოიყენება აეროფოტოგადაღება. დადგენილია რომ, ნამარხი კედლის თავზე ამოსული მცენარეები აეროფოტოზე ღია ფერის ზოლებად აისახება და მკვეთრად გამოირჩევა დანარჩენი მასისაგან. სწორედ აეროფოტოდაზერება გამოიყენეს ხორაზმის და ურარტუს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისას.

საინტერესო „მაგნიტური გადაღების მეთოდიც“, რისთვისაც სპეციალური ხელსაწყო — „პროტონული მაგნიტომეტრი“ გამოიყენება. ეს ხელსაწყო ადვილად პოულობს რკინის ნივთებს, მაგრამ ამითი მისი შესაძლებლობები არ ამოიწურება. ის იმ უმცირეს მაგნიტურ ანომალიასაც კი აფიქსირებს, რასაც კერამიკული არქეოლოგიური ნაშთები იწვევს.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორმოს, სადაც უძველესი ნივთებია დამარტეული, გაცილებით მაღალი მაგნიტური ამოვისებლობა აქვს მის ირგვლივ არსებულ ნიადაგის ფენასთან შედარებით. „პროტონული მაგნიტომეტრით“ არაერთი ძველთაძველი ნანგრევი იუ სამარხია აღმოჩენილი.

დამოუკიდებელი სამუშაო

შეარჩიე საქართველოს ისტორიიდან ერთ-ერთი წყარო და იმსჯელე, მოცემული ცნობებიდან რომელი მოითხოვს მეტი დამაჯერებლობისათვის არქეოლოგიურ დადასტურებას.

დამატებითი მასალა

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები არქეოლოგიის ისტორიაში:

- 1722 — დანიელ გოტლიბ მესერშმიტმა აბაკანის მახლობლად, ისტორიაში პირველად, უძველესი ყორდანის მეცნიერული მეთოდით გათხრა აწარმოვა;
- 1748 — უძველესი ქალაქის პომპეის გათხრა;
- 1799 — უკიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის დროს ჯარისკაცებმა იპოვეს ცნობილი „როზეტის ქა“;
- 1802 — უძველესი სპარსული ლურსმული წარწერის გაშიფრვა;
- 1820 — ბერძენი გლეხი მინდორში ვენერა მილოსელის ქანდაკებას პოულობს;
- 1824 — უკიპტური იეროგლიფების გაშიფრვა;
- 1856 — დიუსელდორფის მახლობლად ნეანდერტალელის თავის ქალის აღმოჩენა:
- 1869 — ჰაინრიხ შლიმანმა ტროა აღმოაჩინა;
- 1876 — ჰაინრიხ შლიმანმა მიკენი აღმოაჩინა;
- 1879 — ალტამირის მღვიმეში კედლის ნახატების აღმოჩენა;
- 1900 — არტურ ვანსის მიერ კუნძულ კრიტზე მინოისური ცვილიზაციის აღმოჩენა;
- 1911 — უძველესი ინკის ქალაქის მაჩუ პიკუს აღმოჩენა;
- 1922 — ჰოკარდ კარტერმა ტუტანხამონის აკლდამა იპოვა;



სურ. 8. მაჩუ პიკუს

- 1947 — ტურ პეიერდალმა ტივით „კონ-ტიკი“ გადაცურა წყნარი ოკეანე, რითაც დაამტკიცა წარსულში ასეთი მარშრუტის განხორციელების შესაძლებლობა;
- 1991 — ფსტრიის მყინვარში თითქმის მთლიანად შენახული პრეისტორიული აღამიანის სხულის აღმოჩენა;
- 1993 — ალტაის მთებში პრინცესა უკოკის მუმიის აღმოჩენა;
- 1999 — დმანისში უძველესი თავის ქალების აღმოჩენა; დმანისელი პომინიდები „ზეზვა და შზია“ 1 800 000 წლის არიან;
- 2006 — ნაპონია აქამდე უცნობი ქალაქი „კაზიმირი“ ბელორუსიაში.

§2. მთხოვლობია

ეთნოლოგია ბერძნული სიტყვაა (ეთნოს—ხალხი, ლოგოს—სიტყვა, ცოდნა) და ნიშნავს მეცნიერებას „ეთნოსის“ შესახებ. მისი ამოცანაა შეისწავლოს ხალხის წარმოშობის, განსახლების, ყოფისა და კულტურის საკითხები.

ყოველი ხალხის ისტორიისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მისი წარმოშობისა და ჩამოყალიბების პროცესი.

წყარო 1

„ყოველ ეთნოსს (ხალხს) აქვს თავისი ბინადრობის ადგილი. ქართველი ერის ფორმირება დღევანდელი და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა. საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ისტორიულადაც და დღესაც ქართველი ერია, რომელიც საუკუნეების სიღრმეში წარმოიშვა ძირითადად ქართველურ ტომთა და სხვა ეთნოსთა შერვეის შედეგად“.

რ. თოფჩიშვილი.

საქართველოს ისტორიულ თავისებურებას ეთნიკური მრავალფეროვნება წარმოადგენს. უძველესი დროიდან აქ ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხებიც ცხოვრობდნენ.

წყარო 2

„და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრუელნი ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“.

ლეონტი მროველი.

„(მეფე საურმაგმა) დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი... ამან საურმაგ წამოიყვანა ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარი და დასხნა მთიულეთს, დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი“
ლეონტი მროველი.

„(მეფე ფარნაჯომმა) შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოივანა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგვნი და დასხნა იგინი მცხეთას“.

„ქართლის ცხოვრება“.

„ნაბუქედუნოსორ მეფემან აიღო იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეულთა მამასახლისისაგან ქვეყნა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგვსა ზედა, წყაროსა ზედა, რომელსა პქვიან ზანავი“.
„ქართლის ცხოვრება“.

„(დავით აღმაშენებელმა) ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მარჯვეთა დედწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად გამავალი (ბრძოლისუნარიანი, მეომარი) რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულა ცხენებითა და საჭურველითა. ესენი შემოიკრიბა... ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი ... ეუმიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ“.
დავითის ისტორიკოსი.

დავალება 1

1. წყარო 2-ის მიხედვით იმსჯელე იმ მიზეზებზე, რომლებმაც ქართლის ეთნიკურ მრავალფეროვნებას შეუწევს ხელი.
 2. შენი აზრით, კიდევ რას შეეძლო, განაპირობებინა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელთა მიგრაცია.
 3. საქართველოს ისტორიაში ხშირია უცხო ეროვნების წარმომადგენელთა ჩამოსახლების ფაქტები, გაიხსენე ან მოიძიე მსგავსი შემთხვევები, იმსჯელე მიზეზებსა და შედგებზე.
 4. რომელი ერების წარმომადგენლები ცხოვრობენ დღეს საქართველოში?
- შეცადე, გაიხსენო მათი ჩვეულებები ტრადიციები, თავისებურებები.

წყარო 3

„საქართველოში შემთხვებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, თათრებსა და ვეროპელებს. მათ მინიჭებული აქვთ თავისუფლება. აქ უფლება გაქვს, იცხოვო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი“.

უნი შარდენი.

„მმართველობა და სამღვდელოება ამჟღაწებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკების, მაპ-მადიანი და ებრაული მოსახლეობის რელიგიების მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას (მართლმადიდებლურ) და არ სდევნიან მათ“.

გაულდენშტედტი.

„ყველა ადამის შვილი გართ, თათარიც ჩვენი ძმა არის,
ჩვენსა და სომხებს შუა განყოფილება რა არის“.

ქართული ხალხური ლექსი.

დავალება 2

წყარო 3-ის მიხედვით შეაფასე ისტორიულად ქართველთა დამოკიდებულება არაქართული მოსახლეობის მიმართ. შენი აზრით, რა განაპირობებდა ამგვარ დამოკიდებულებას?

ეთნოლოგია ხალხის ყოფით, წეს-ჩვეულებებით და ტრადიციებითაც ინტერესდება.

გვარის, ტომის თუ ერის სიძლიერეს ხალხი ყოველთვის პირდაპირ უკავშირებდა მის მრავალრიცხოვნობას. შესაბამისად, ბავშვის დაბადება ყოველი ხალხისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და საიდეალურო მოულენა იყო და მას თან ახლდა მრავალფეროვანი საზეიმო რიტუალები.

წყარო 4

„ოჯახის შვილის და ისიც ვაჟის შექნაზე, ხარება დიდი ყოფილა. გაუთავებელი სროლა გამართულა კაჟიანი ოოფისა და დამბაჩის, მახარობლისათვის მიღლოცვა, ქათინაურები დედ-მამის... მისალოცად შორიდან მოსულან ნათესავ-მოყვრები“.

ს. სახოკა



სურ. 1. ხევსურეთი

„ხევსურეთში ვაჟის გაჩენისას, მთელი სოფელი, ქალი და კაცი, მოკეთუ-მოგვარუები და ნაცნობები სიხარულით ფქთხე დადგებოდნენ, კაც მახარობელს მამა ან ბაბუა ხბოს, ბატყანს, ცხვარს და ტანისამოსსაც აჩუქებდა, ხოლო ქალს მანდილით ასაჩუქრებდნენ. სოფლის ყველა მამაკაცი მივიდოდა ვაჟის შშობლებთან და მიულოცავდნენ: „ახალკაცი... ღმერთმა ისეთ კაც გამაიყვანოს, რომ დედ-მამის გამხარეც იყოს და ოქმ-სოფლის საკვარიც“.

ნ. ღოღობერიძე

„ქალის გაჩენას ყოველი ხევსური მამა სწეველიდა და მათი დამოკიდებულება ახალშობილ ქალისადმი წააგავს ცუდი დედინაცვლის უგულო მოპყრობას, მაშინ როდესაც ვაჟის გაჩენას აღტაცებით დღესასწაულობენ და მხლოდ მის მიმართ იჩენენ მშობლიურ ზრუნვასა და ალერს“

გ. ოფელორაძე

მთიულეთსა და გუდამაყარში ნეფე-პატარძალს ლოცავდნენ: „ცხრა ვაჟი და ერთი ქალიო“.

წერო 5

(მთაში) ქალის მდგომარეობაც მამაკაცთან შედარებით უუფლებო იყო. მას უფლება არ ჰქონდა ოჯახში მამის, ქმრის ან მამამთილის დაუკითხავად რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიეღო. საქართველოს მთიანეთში, როგორც ცნობილია, მამის ოჯახში ქალს საკუთრება არ გააჩნდა, ოჯახის გაყრის დროს ქონება ნაწილდებოდა მხოლოდ მამაკაცებზე, გასათხოვარ ქალს კი საშიოთვოს გამოუყოფდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველი მთიელების ცხოვრების წესით ქალი მთლად უუფლებო მდგომარეობაში არ იძყოფებოდა, არც ოჯახში და არც საზოგადოებაში – მას მზითვის სახით ჰქონდა საკუთრება, რომელიც საოჯახო ყოფაში გარკვეულ აღვილს უქმნიდა. ამ ქონებას მის დაუკითხავად ხელს ვერაცინ ახლებდა, ვერც მიითვისებდა და ვერც გაასხვისებდა, ოჯახის მეთაურიც კი. ქალის მდგომარეობას ოჯახში ჩვეულებით სამართალი იცავდა და არყეულირებდა“.

ნათელა ციცინაძე?

ეს სინტერესო

ჩრდილოეთ კავკასიაში, ისევე როგორც საქართველოს მთიან რეგიონებში, ვაჟის დაბადება განსაკუთრებულად ახარებდათ. ოსეთში სასიხარულო ცნობის გასაურცელებლად ახალგაზრდა ყმაწვილები მთელ სოფელს დაირბენდნენ და ყველას ამცნობდნენ ახალ ამბავს. თანასოფლელები გალდებული იყვნენ, საჩუქრით მიელოცათ ახალშობილი ვაჟი ოჯახისათვის.

ძის დაბადება ავღანეთშიც სასიხარულო მოულენად ითვლებოდა. ამბობდნენ, რომ მათ რიგებს კიდევ ერთი მეომარი შევმატა. ამის საპატივცემულოდ მთელი სოფლის მამაკაცები შეიარაღდებოდნენ და ახალშობილი ვაჟის შშობლების კარგისაგან დაიძრებოდნენ, მიახლოებისთანავე იწყებოდა სროლა, რომელიც არ-მარეს აყრუებდა, მერე კი შშობლებს საჩუქრებს გადასცემდნენ.

კითხვები:

1. შენი აზრით, რატომ იწვევდა ვაჟის დაბადება განსაკუთრებულ სიხარულს?
2. მთიელები ოჯახს, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა „სოფლის ამანათს“ უწოდებდნენ, როგორ ფიქრობ, რატომ?
3. წყაროების 4-ისა და 5-ის მიხედვით, როგორი იყო მთაში ქალისადმი დამოკიდებულება? მისი უფლებრივი მდგომარეობა?
4. შენი აზრით, რა ცვლილებები განიცადა დღეისათვის ქალის დაბადებისადმი ოჯახის დამოკიდებულებამ და რატომ?

ახალი სიცოცხლის დაბადებასთან ერთად, ყოველი ხალხის ცხოვრებაში სიკვდილს და მასთან დაკავშირებულ ადათ-წესებს განსაკუთრებული აღგილი უჭირავს.

წერილობითი წყაროები საქართველოს ტერიტორიაზე — ძველ კოლხეთში, დამარხვის იმ თავისებური ტრადიციის შესახებ მოგვითხრობენ, რომელსაც მეცნიერები „პაერზე დამარხვის წესს უწოდებენ“.

წერო 6

„ფაზისის ფართო ლერწმნარ ჭაობში იასონმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაინახეს საოცრება. — მაღლა ტოტებზე თოვით მიკრული გვამები მიცვალებულთა... კოლხებს დღესაც კი თავზარს სცემთ და ცოდვად მიაჩნიათ გვამების დაწვა, არც შავ მიწაში მარხავენ კაცსა... ჯერ გაახვევენ ახლად დაკლული ხარის მოუქნელ ტყავში გვამსა და მერე ჰერი ჰერი მაღლა ხევზე, მყუდრო ჭალებში, ქალაქებარეთა“

აპოლონ როდოსელი, „არგონავტიკა“.

„არგონავტიკაში“ გადმოცემული პერიოდისათვის (ძვ.წ. VI-I სს.) კოლხეთი ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და დასახლებული იყო სხვადასხვა ქართველური ტომებით (კოლხები, კოლები, კორაქები, პენიონები, მესხები). შესაბამისად, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ აპოლონ როდოსელის მიერ აღწერილი დაკრძალვის წესი ყველა ამ ტომში იქნებოდა გაურცელებული.

საინტერუსოა, რომ „ჰაერზე დამარხვის“ წესი საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩა: აფხაზები მქის დაცემით გარდაცვლილ ადამიანს და ცხოველის ლეშს მიწაში არ მარხვდნენ — ფიცარნაგზე ტოვებდნენ, რადგან მქისაგან დაღუპული ადამიანიცა და ცხოველიც მათვის წმინდანად ითვლებოდა და მისი დატირება არ შეიძლებოდა ჰუქა-ქუნილის ღვთაების „აფის“ განწყენების შიშით.



სურ. 2. აფხაზები

წყარო 7

(XVII ს.) „აფხაზებს აქვთ ერთი შესანიშნავი ჩვეულება, სახელდობრ ის, რომ მიცვალებულებს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხეზე შემდგის წესით გამოდარავენ ხის ღეროს კუბოს მსგავსად, შიგ ჩადებენ მიცვალებულს და გაზის მაგარი ლერწებით ჩამოჰკიდებენ ხის წვეროზე. ამავე ხეზე ჩამოჰკიდებენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში საომრად ხმარობდა“.

არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“

(XVIII ს.) „აფხაზები არღარა მონობენ რჯულსა... არა დაჭვლავენ მეღდართა თვისთა, არამედ მისთვე სამკაულ-იარაღით და შესამოსელით შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა“

„ქართლის ცხოვრება“.



სურ. 3. ჩერქეზები

წყარო 8

„წყაროების შესწავლის საფუძველზე ცნობილი ხდება, რომ ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულება გავრცელებული უნდა ყოფილიყო წარმოშობით ჩერქეზულ ეთნიკურ ყველა გაერთიანებაში... მეოცე საუკუნემდე ეს ჩვეულება ადიღეულ ტომებს (ჯიქები, აბაზები, შაფსულები) შემორჩათ ... ჰაერზე დაკრძალვა ცნობილი იყო მსოფლიოს მრავალ ხალხებში — ტყეში ხის ტოტებზე ტოვებდნენ თავის მიცვალებულს ძველი მონლოლური ტომები. ჰაერზე დაკრძალვა ცნობილი იყო ციმბირის თურქულენოვანი ხალხისათვის. მსგავსი ჩვეულება გავრცელებული იყო ყირგიზებში, კორელებში და ასე შემდეგ“.

სალომე ბახია-ოქრუაშვილი.

დაგალება 3

მეცნიერების ერთი ნაწილის მოსაზრებით „ჰაერზე დამარხვის“ ჩვეულება ნათლად მეტყველებს, რომ თანამედროვე აფხაზები ძველი კოლხების პირდაპირი შთამომავლები არიან. მეცნიერთა ნაწილი კი თვლის, რომ თანამედროვე აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან არიან მიგრირებული. წყარო 7-ისა და 8-ის მიხედვით ჩამოაყალიბე შენი ვერსია.

დაკრძალვისთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა შემოგვინახა ხალხის წარმოდგენა საიქიო ცხოვრებაზე. დაკრძალვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია „რიგები“ (ქელები). თუ რამდენად აუცილებლად მიიჩნეოდა მიცვალებულისათვის „ქელები“, ამაზე საქართველოს ზოგიერთ კუთხეში XX საუკუნემდე შემორჩენილი „თვითდამარხვის“ წესიც მეტყველებს.

„თვითდამარხვის“ ანუ „თავის დამარხვის“ წესს უმემკვიდრეო რჯახები აღასრულებდნენ.

წყარო 9

„მთაში „თავის დასამარხად“ შხადება ისეთივე იყო როგორც ჩვეულებრივი რიგების დროს. „თავის დამმარხავი“ ლუდს აღუდებდა, არაეს გამოხდიდა, პურს გამოაცხობდა. შეკრიბდა სოფელს, ნათესაობას და ჭმა-სმაზედ მიიპატიუებდა. სტუმრებს სხვები ეგებებოდნენ და უმასპინძლდებოდნენ. „თავის დამმარხავი“ საუკეთესო ტანსაცმელში გამოეწყობოდა და ტაბლასთან დაჯდებოდა... ხმას არ იღებდა და შენდობანათქვაშ საჭმელს არ მიეკარებო-

და, იმიტომ რომ სწამდა, საიქიოში აღარ მიუვიდოდა... ზეუსურეთში „თავის დამარხვი“ რიტუალის შესრულების დროს კარუბს უკან იყო დამალული თვალებდახუჭული და ყურს უგდებდა, როგორ მოიხსენიებდნენ, როგორ ეტყოდნენ შენდობას. სიმბოლურად დამარხული აღარ ინაღვლებდა, რადგან სწამდა, რომ საიქიოს საჭმელ-სას-მელი მიუვიდოდა“.

დალი გიორგაძე

წერო 10

„გურიაში სცოდნიათ უძეოდ და უმეტევიდრეოდ „გადასული“ მოხუცი ქალისა და კაცისათვის აღაპის გა-დახდა. ასეთ აღაპებს თან სდევდა მხიარულება, სიმღერა, ოფე-დამბაჩის სროლა... სანაქებო აღაპი გადაუხადა თავის თავსა და მეუღლეს ოზურგეთის ტაძრის მნათე მაქსიმე ურუმაძე (1904წ.) მან საკლავიც დაკლა, ხუცესები, ბერები და მონაზენებიც მოიპატიისა, მათხოვარ-გლახაკებს სამოწყალეო უბოძა, მეზობლები და ნათესავ-მოყარენი მოიწვია. თამაღამ როცა მისი და მისი მეუღლის შესანდობარი დალია, „საუკუნო იყოს ხსენება მისის“ თქმის დროს მგალობლებს თვით მიეშველა... ფიშტო თვითონ გაისროლა. 90 წლის მოხუცმა იცეკვა და თავისი ბალიშის მოზარეც აცეკვა. აღაპის დასასრულს შეზარხოშებული სტუმრები გააცილა და ყველას უთხრა, რომ სიკვდილის შემდგა ტირილსა და გლოვას არავის აგალებს“.

აპ. წულაძე

დაგალება 4

1. ეთნოგრაფები თვლიან, რომ თვითდამარხვის რიტუალი ძველ საქართველოში საყოველთაო ხასიათს ატარებდა. წერო 9-ისა და 10-ის მიხედვით დაადასტურე ან უარყავი ეს მოსახრება.
2. ახსენი თვითდამარხვის რიტუალის არსი და იპოვე მასში წარმართული გადმონაშთები.
3. ძველი მსოფლიო ისტორიიდან გაიხსენე დაკრძალვასთან დაკაშირებული ტრადიციები.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მთა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ჩაკეტილმა გარემომ ბევრი თავისებური, განსხვავებული ტრადიცია შემოინახა.

მთაში თემის წევრები უფლებრივად თანასწორი იყვნენ. თუმცა, ქონების დაგროვება ცალკეული ოჯახის თუ გვარის ხელში, აძლიერებდა მათ სწრაფვას გავლენის მოპოვებისა და თემისაგან დამოუკიდებლობისადმი.

ხშირად დაპირისპირება ცალკეულ გვარსა და თემს შორის იმდენად მწვედებოდა, რომ გვარის აყრით, გადასახლებით და ამოწყვეტითაც კი სრულდებოდა. მთიელთა ზეპირი გადმოცემები გვარის განადვურებას ხან ღვთის რისხვას მიაწერენ, ხან კი პირდაპირ აღიარებენ, რომ თემი „გაამაყებულ“ გვარს გაუსწორდა.

წერო 11

„თათხელიონები ხალხს არ ეპუებოდნენ და და არც ჯვარ-ღმერთი სწამდათ. ამიტომ ისინი ხალხს აწუხებდნენ. მათ ადგილში თუ მსხვილი პირუტყვი გადავიდოდა, პატრონს აღარ უბრუნებდნენ. თათხელიონთი ეველია ეშინოდა... საუკეთესო სახნა-სათიბი ადგილებიც ეჭირათ... ერთ დღეს თათხელთ ბოლოზე მოხუცს გაუვლია... მოხუცი ძალიან სცემეს, შეურაცხყვეს და ისე გაუშვეს... მეთემჯებმა პირი შეკრუს და გამოუნიისას თავს დაესხნენ გაამაყებულ გვარს... მთელი გვარი ამოწყვიტეს“.

რ. თოფხიშვილი.



სურ. 4. აკლდამა

„პვირიკანი (ცისკარაულთა ერთ-ერთი დანაყოფი) ყოფილან ძალიან ამაყი ხალხი. არათრად აგდებდნენ არავის და რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ. თუ თვითონ არ სურდათ, არც სახალხო საქმეს გააკეთებდნენ და არც საჯვაროს — არც საერთო წესს და რჯულს ემორჩილებოდნენ. მათი სიამაყე კიდევ იმაში გამოიხატებოდა, რომ ღლიღვებს (ქისტებს) ხოცავდნენ სალად-სანებოროდ. საბოლოოდ მთელი გვარი ამოწყდა, რაც ხალხმა მათ სიამაყეს მიაწერა.“

... ხორჩანი (ოჩიაურთა გვარის განაყოფი) უფრო ქისტებზე ნადირობდნენ, როგორც ხალხი ამბობს, ხირჩანი ამოწყდენ იმიტომ, რომ მეტად ბევრ ურჯულოს ხოცავდნენ“.

„ჯალაბაურთა გვარში ყოფილა ვინმე თათარი (სახელი), რომელიც არ ერიდებოდა მთისათვის დამახასიათებელი ადათ-წესებისა და ტრადიციების დარღვევას. თათარს დაურღვევა სტუმარ-მასპინძლობის წესები. მას ერთხელ სამი ღლიღველი მოსვლია სტუმრად, ჩვეულებრივ კარგად გამასპინძლებია, მაგრამ მძინარეთათვის თავები მოუჭრია...“

„ჯალაბაურები ყოფილან ამაყი ხალხი, სოფელი უჩაგრავ, წყალი არ უზიდვინებია, მოჩხუბარი, მხოცველი და ერთი ხათაბალა ხალხი ყოფილა.“

„თანდათან დაიღლია ჯალაბაურების დიდი და მრავალრიცხოვანი გვარი...“.

„ხომიზურანი (ცისკარაულთ განაყოფი), ხალხის თქმით, სიამაყემ და სიურჩემ კი არ ამოწყვიტა, არამედ ჯიხვების გადამეტებით ხოცვამ, შემოუწყევლია ნადირის მწყემსს და დაილოვნენ ქალ-ქალიშვილიანად.“.

ალ. ოჩიაური.

დავალება 5

1. წყარო 11-ის მიხედვით შეაფასე მთაში თემსა და გვარს შორის დამოკიდებულება.
2. გაიხსენე მთის შენთვის ცნობილი ადათები.
3. წყარო 11-ის მიხედვით იმსჯელე, თუ რას თვლიდნენ მთიელები იმდენად მძიმე დანაშაულად, რომ გვარის ამოწყვიტა დამსახურუბულ საჯელად მიაჩნდათ.
4. იმსჯელე, როგორ გესმის გამონათქვამი: „ხორჩანი მეტად ბევრ ურჯულოს ხოცავდნენ“.

დამოუკიდებელი სამუშაო

1. წარმოიდგინე რომ ხარ უცხოელი და ქართველების შესახებ არაფერი გსმენია, მხოლოდ პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია იცი. როგორ გააცნობდი საქართველოს შენს მეგობრებს.
2. შექმნი უცხოელებისათვის საქართველოს ეთნოგრაფიული ცნობარი. შეიტანე ცნობები საქართველოს კულტურისა და ყოფის შესახებ, შენი აზრით, — ყველაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო და უცნაური.

განმარტებები:

აღაპი — იგვეა, რაც ქელები.

დიფერუნციაცია — რაიმემთელის დაყოფა, დანწევრება მრავალგვარ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილებად

§3. სახალხო გასართობები და ტრადიციები

ადამიანს ყოველთვის, ნებისმიერ ასაკში, სჭირდება რაიმე თავშესაქცევი. დღეს ამის უამრავი საშუალებაა. ზოგს სპორტული სანახაობები იზიდავს, სხვას თეატრი და კინო, ხშირად კომპიუტერსაც გასართობად ვიყენებთ. ბუნებრივია, ხალხს გართობის სურვილი წინათაც ჰქონდა და საამისო საშუალებებსაც თვითონვე იგონებდა.



სურ. 1. ბერიკაობა

„ბერიკაობა“ — განაყოფიერების კულტის სადიდებელი სანახაობა — ადრე გაზაფხულზე ეწყობოდა. მამაკაცები სოფლის მოედანზე იკრიბებოდნენ და ბერიკაობის მონაწილეებს ირჩევდნენ: მთავარ ბერიკას, ბერიკებს — ლორს, არაბს, ლეკს, თათარს, მღვდელს, ნათლიას, მებარგულებს, მეკალათუებს, მომღერლებს, მოცეკვავებსა და სხვათ. შემდგე დღესასწაულის მონაწილენი საგანგებოდ მოირთვებოდნენ. ბერიკაც ცვრის ან თხის ტყავს იცვამდა, სახეზე ნიღაბს აიფარებდა, თვზე კი დიდ ყურებსა და რქებს დაიმაგრებდა. ზოგჯერ ბერიკანიღების გაკეთების მაგიერ სახეს შავად იღე-

ბავდა, თხის წვერს იკეთებდა და თხისავე რქებს იმაგრებდა. ბერიკაობის მეორე მთავარი წევრი დედოფალი-„კაცელა“ იყო, რომელსაც ვაჟი ასახიერებდა. საპატარძლო ტანსაცმელში გამოწყობილ დედოფალს თავზე გვირგვინი ედგა ან ფრინველის ფრთხილით შემკული ქუდი ქურა. ბერიკები კარდაკარ შეძოვლიდნენ სოფელს. ყველა სიხარულით ეგებებოდა მათ. ოჯახის უფროსი მუხლმოდრეკილი აუწყებდა ბერიკას თავის გასაჭირს და შევლას სთხოვდა, შემდეგ კი საჩუქრად სანოვაგეს მიართმევდა. ბოლოს დღესასწაულის მონაწილენი სიმღერითა და ცეკვა-თამაშით დანიშნული ადგილისაკენ წავიდოდნენ და შეგროვილი სურსათით მოილხენდნენ.

არანაკლებ გურცელებული იყო „ყენობა“. „ყენობის“ დროს თბილისში დუქნებსა და სახელოსნოებს ხურავდნენ და სახეიმოდ რთავდნენ. დილით, სახედარზე ან აქლემზე ამხედრებული, საგანგებოდ გამოწყობილი ყენი ქალაქის ცენტრში გამოჩნდებოდა თავისი ამაღით. ამ დროს ჩაბერდნენ ზურნასა და საყვირებს. ყენის მხლებლები ქუჩებს მოედებოდნენ, იჭრიდნენ გამგლელებს და ყენთან მოყვადათ თაყვანისაცმად და ხარკის გადასახდელად. ყენის ქალაქზე ბატონობა შუადღემდე გრძელდებოდა. ამ დროს ქალაქი აჯანყებას იწყებდა. განრისხებული ყენი თავის ხალხს მიუსვდა ურჩებს. შერკინებაში იყენებდნენ ხის ხმლებსა და შუბებს, იმართებოდა კრივი. გამარჯვებული ხალხი ყენს შეიძირობდა, ვირზე პირუკუ შესვამდა და აძევებდა (ზოგჯერ მტკვარში აგდებდა). ხალხი ქალაქში მეფეს მოიწვევდა. მეფე და მისი ამაღა გვიანობამდე ზეიმობდა მოძალადეზე გამარჯვებას.

მეცნიერები მიუთითებენ, რომ სახალხო სანახობებს ისტორიული წყაროს ფუნქცია აქვთ, რადგან მათში იკეთება ძველი სარწმუნოებრივი შეხედულებები, ხალხის განწყობა და სულისკვეთება, მათი შინაგანი კულტურა, ასევე აისახება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები.

წეარო 1

„ბერიკაობა აგრარული ხასიათის დღესასწაულია, რომელსაც დიდი მსგავსება აქვს ძველ ბერძენთა დიონისოს დღესასწაულთან... რაში გამოიხატება მსგავსება „ბერიკაობასა“ და დიონისოს დღესასწაულს შორის? დიონისოს თავდაპირებელად იყო ღმერთი და მფარველი არა მარტო მევენახეობის, არამედ ყოველგვარი მოსავლიანობის, გაზაფხულის აყვავებისა და ბუნების ამწვანების...“.

მიხეილ აბრამიშვილი.

„ყენობა-ბერიკაობა ვეგეტაციური კულტის ელემენტებს შეიცავს. დღესასწაულში... არის წარმოდგენილი ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა, რომელიც რწმენასა და კულტებს შეიცავს და რომელშიც ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სძლვეს...“.

ამრიგად, ბერიკა მოული თავისი წეს-ჩვეულებებით შინაური ცხოველებისა და მცენარეულის კულტის ამსახულ ღვთაებას თანხვდება...

საყურადღებოა, რომ ბერიკაობა-ყენობის მსგავს შუმერულ საგაზაფხულო დღესასწაულში ერთ-ერთი მონაწილე თხის ნიღაბსა და ტყავს ატარებდა“.

კულიეტა რუხაძე.

„ყენობა თავისი პირველი დანიშნულებით წარმართული შინაარსისაა. იგი წარმომავლობით მოსავლიანობის, ნაყოფიერების ღვთაების დღესასწაულია. შემდეგ მას ისტორიულ გარემოებათ წყალობით ყენის ანუ შაპის სახელი დაუკავშირდა და დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართულ სანახობად იქცა. ყენობა უფრო აღმოსავლეთ საქართველოში იცოდნენ... მსგავსი დღესასწაული სეანებსაც აქვთ (ლიმურყვამალ)... ლაშელები ამ დღეს თოვლის კოშკს აკეთებენ და კეისართა შეჯიბრებას მართავენ. საითქნაც კისარი წაიქცება, თოვლის კოშკსაც იქით წაქცევენ და იმისდაგვარად მოსავლიანობის საკითხს არკვევენ“.

გ. ახვლედიანი.



დაგვლება 1

წეარო 1-ის მიხედვით იმსჯელე იმ ისტორიულ, სამეურნეო და რელიგიურ შინაარსზე, რომლებსაც ძველი ქართული გასართობები შეიცავდნ. შეუფარდე ისანი ბერიკაობა-ყენობის ჩატარების შესაბამის წესებს.

საქართველოში ოდიდთგანვე პოპულარული იყო ცხენოსნობა და შეედართა შეჯიბრი. მათ უმრავლესობას სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა და გარკვეულწილად ისტორიულ რეალობასაც ასახვდა.

სურ. 2. ცხენბურთი. კასტელი

ეს საინტერუსოა:

1892 წელს ქართველი ცხენოსნები ინგლისს ესტუმრნენ. მხედართა ოსტატობამ, მათმა შეუდარებელმა ჯირით-მა ლონდონებითა დიდი მოწონება დაიმსახურა. ქართველი ცხენოსნების გამოსვლით მოხიბლული კორესპონდენტი ერთ-ერთ გაზეთში წერდა: „საკვირველი ცხენოსნები არიან! ავსტრალიის და ამერიკის პრერიებში ვყოფილვარ, ასობითა და ათასობით ვიცნობდი ცხენოსნებს, მაგრამ მათი მსგავსიც კი არაფერი მინახუას“. ხმებმა ქართველ ცხენოსნთა ჩაუქობის შესახებ ინგლისის საიმპერატორო კარამდეც მიაღწია. უინბორის სასახლეში მიწვეულმა მხედრებმა დედოფალ ვიქტორიასა და ლორდთა პალატის წარმომადგენელთა მოხიბლგაც შეძლეს.

ერთ-ერთი საცხენოსნო შეჯიბრი იყო „ისინდი“. მასში მონაწილეობა მხედრისაგან მაღალ ოსტატობას, სიმარ-დეს, მახვილ თვალს, ალღოს, სისწრაფესა და სხვა იმ თვისებებს მოითხოვდა, რომლებიც მხოლოდ ბრძოლებში დაოსტატებულ მხედარს თუ ექნებოდა.

წყარო 2

„მხედარი მოწყდებოდა ხაზიდან, ის ძალიან ფრთხილად უახლოედება მოწინააღმდეგის ბანაკს, აწარმოებს დაზვერვას, მიზანს რომ მიაღწევს, იერიში მიაქვს მტერზე, ისვრის ისინდს, შემდეგ ცხენს უცბად შემოატრიალებს და მთელი სისწრაფით გარბის უკან თავისიანებისაკვე, მაგრამ ამავე დროს მოწინააღმდეგეც ისეთივე ილეოუბით ცდილობს დაამარცხოს მეტოქე, მისდევს მას, დაქვევა, მოემზადება და ესვრის ისინდს... წინა მხედარი მოხერხებულად ეფარება ცხენის თვეს, აიწვა, გასროლილ ისინდს იჭერს ხელში და ესვრის მის მომდევარ მხედარს. იწყება კონტრიერიში... ეველაფერი ეს ხდება ისე სწრაფად, ლამაზად და მოხერხებულად, რომ მაყურებელთა აღტაცებას იწვევს“.

კაპიტო ნაჟებებია.



სურ. 3. ყაბახი. კასტელი

არანაკლებ გავრცელებული სანახაობა იყო „ყაბახი“. მის შესახებ ცნობებს გვწვდიან გაუშესტი ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზ მეორე, ხოლო მისიონერმა კასტელიმ „ყაბახის“ აღწერილობასთან ერთად, ამ ასპარეზობის ამსახველი ორი ნახატიც დაგვიტოვა.

წყარო 3

„მწერივად დააყენეს ცხენები ყველამ ერთად, დაიჭყვილა თუ არა ზურნამ... (ცხენები) ჭიხვინ-ჭიხვინით გაგრძენენ ჯეირანებივით ცხენოსნებს უნდა ის მინდორი სიგრძისად გადაეჭრათ, მისულიყვნენ კიდემდე და მერე იქიდან სათითაოდ გამოეჭნებინათ ცხენი, რომ ყაბახი ჩამოვეღოთ. იმ დღეს ყაბახად ოქროს თასი იყო დასმული თვალუწვდომელ ჭადრის წვერზე; თითო ჯირითი ყველამ შესტყორცნა, ზოგმა ახლოს მიიღვანა, ზოგმა ხეს გადააღლო თავზე. მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეანძრია ნიშანი. ბოლოს წამოვიდა ვიღაც შავცხენოსანი ისეთი სისწრაფით, რომ თითქმის აღარ ჩანდა ცხენზე, შორიდან შესტყორცნა ჯირითი, ჰკრა შუაგულში და მაღლა შეაგდო, თასი ბზრიალ-ბზრიალით ჩამოვიდა, მხედარმა მიაგდო ცხენი ხის ძირში, შეაყენა უკანა ფეხებზე და პარშვე მოავლო ხელი თასს, დაბლა აღარ გაუშვა“.

აკაგი წერუთელი, „ბაში აჩუკა“.

კითხვები:

1. შენი აზრით, რა უწყობდა ხელს საქართველოში საცხენოსნო ასპარეზობების გაურცელებასა და პოპულარობას?
2. წყარო 2-ისა და 3-ის მიხედვით, მონაწილეთაგან რომელ მხედრულ თვისებებს მოითხოვდა „ისინდი“ და „ყაბახი“?
3. გაიხსენე სხვა საცხენოსნო შეჯიბრებები?
4. შენი აზრით, ჩანს თუ არა ამ ასპარეზობებში ისტორიის გამოძახილი? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითო თუ რა სახის ისტორიული ფაქტები დაედო მათ საფუძველად.

წარსულში ხალხის ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, სხვადასხვა კულტურულის ურთიერთგვალენის შე-

სახებ საინტერესო მასალას გვაძლევს სუფრასთან (პურიბასთან) დაკავშირებული ტრადიციების შესწავლა.

ცნობილი მოგზაური ჟან შარდენი დეტალურად აღწერს სამეფო კარზე გამართულ ნადიმს:

წერო 4

„მეფე (გახტანგ V — შაპნაგაზი) გამოგვიგზავნა შემწვარი ხოხობი, ორი კაკაბი და ირმის ფეშხო, და შემოგვითვალა: თუმცა ნადირობის ხორცზე ღვინო კარგია, მაგრამ მე მაინც ვუბრძანე, ძალა არ დაგატანონო... საკვირველი წესიერება და დიდი მოკრძალება სუფევდა ამ შექცევის დროს... მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ღვინო ბეჭრი სვეს. გასაოცარი სიუხვე იყო ხორაგისა, სახსნილოც მოჰკონდათ და სამარხვოც...“.



სურ. 4. ნადიმი. კასტელი

შარდენი აღწერს სუფრასთან ჯდომის წესსაც. მეფე სუფრის თავში იჯდა მაღალ ტახტზე. მეფის მარჯვნივ მის ვაჟებსა და ძმებს დაეკავებინათ ადგილი, ხოლო მარც ხნივ — ეპისკოპოსებს. „მესაკრავები“ კი სამეფო სუფრის ქვემოთ განლაგებულან. მეფის თითოეულ სტუმარს წინასწარ ჰქონია სუფრასთან ადგილი მიჩნილი. სხვა შემთხვევაში კი, შარდენის ცნობით, მასპინძელი სუფრასთან, პირველ რიგში, ასაკით უფროსთ, უხუცესთ მიიწვევდა, შემდეგ კი ახალგაზრდებს მიუჩნდა ადგილს.

საგარაულოა, რომ საქართველოში ქალები და კაცები სუფრასთან ერთად სხდებოდნენ. ასეთ ცნობას გვაწვდის XII საუკუნის მწერალი მოსე ხოხელი. ნაწარმოებში „ამირანდარეჯანიანი“ ის ერთგან აღნიშნავს: „დასხდეს პურად მას ძრეულისა კუბოსა (ტახტრევანი) შინა იგი ამირან დარეჯანის ძე და ხვარაშან ქალი...“. ხოლო XVII საუკუნის მეფე-პოეტი არჩილი ქართული ქორწილის აღწერისას ამბობს: „საერთაშორისო დამხადინენ ქალთა და კაცთა კრებანიო“.

მაგრამ პურობის ეს წესი, დროთა ვითარებაში, ზოგიერთ ქართულ კუთხეში იცვლებოდა და გეხვდება შემთხვევები, მათ შორის დღესაც, როდესაც მასპინძელი „საგაუკაცო“ და „საქალებო“ სუფრებს ცალკალკე შლის. ასეთი ფაქტი შარდენსაც შეუნიშნავს:

წერო 5

„ქართველებმა აუკრძალეს თვითით ქალებს კაცებთან ერთად ყოფნა (საუბარია სუფრასთან ყოფნაზე) მას აქეთ, რაც სპარსეთის მორჩილებაში არიან. ეს წესი ჯერ მხოლოდ ქალაქებშია გავრცელებული...“.

დღეს ქართული სუფრა წარმოუდგენელია „თამადის“ გარეშე. მკვლევარები ბოლომდე ვერ თანხმდებიან, თუ როდილან დამკვიდრდა ჩვენში „თამადის“ ინსტიტუტი, კამათს იწვევს მისი წარმომავლობის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში „თამადა“ არ არის მოხსენიებული, თუმცა არსებობს ცნობები მერიქიფევებისა და ღვინის მომწოდებელთა შესახებ. „თამადას“ არც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს და არც კათოლიკე მისიონერები, რომლებმაც მრავალი საინტერესო ცნობა დაგვიტოვეს ქართველი ხალხის ადათებზე, მათ შორის, ნადიმის გამართვის წესებზეც.

ეს საინტერესოა:

აღრე — XVIII საუკუნის ჩათვლით, არ იხმარებოდა სიტყვა „სადღეგრძელო“. აკაკი წერეთელს ჩაუწერია იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, თანამედროვის მოგონება: „სოლომონ მეფემ ბრძოლის წინ ბრძნა ღვინის მიტანა, ავსო აზარფეშა და თქვა: „დიდება ღმერთსა! ღმერთ, გაუმარჯვე ჩემს ჯარს, საქრისტიანოს გამოხსნისათვის მსხვერპლად გამზადებულს!“ დაცალა და გადასცა პაპუნა წერეთელს, წერეთელმა თავისი სცემით ჩამოართვა სამისი, ავსო და დაიღოცა“. ამ მოგონებიდან ჩანს, რომ ღვინის მიღება დაკავშირებული იყო ლოცვასთან — დალოცვასთან. საინტერესოა, რომ სიტყვა „სადღეგრძელო“, ისევე როგორც „თამადა“ განმარტებული არა აქვს სულხან-საბა ორბელიანს თვის „სიტყვის კონაში“.

სადღეგრძელოსა და სუფრის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს.

წყარო 6

„სიტყვა „სადღეგრძელოს“ ვხვდებით მხოლოდ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, კერძოდ გრიგოლ ორბელიანთან ამჯე სახელწოდების ნაწარმოებში: „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომი ლხინი“... ამ დროიდან „ლოცვა“ და „დალოცვა“ — შეცვალა „სადღეგრძელომ“. თუმცა გამოთქმა „დაილოცვე“ დღემდე შემორჩა ხმარებაში ქართულ სუფრასთან და იგი იმჯე მნიშვნელობით იხმარება, როგორც სადღეგრძელო...

...ასევე სუფრის ხელმძღვანელის სინონიმი — „ტოლუმბაში“ პირველად გრიგოლ ორბელიანთან იკითხება. სიტყვა „თამადას“... პირველად ვხვდებით ლავრენტი არდაზიანთან... შემდგომში ანუ XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული უკვე მრავლად გვხვდება ლიტერატურაში სიტყვა „სადღეგრძელოც“ და „თამადაც“. ამას გვიდას-ტურებენ ილიას, აკაკის, ვაჟას, ე. ნინოშვილის და სხვათა ნაწარმოებები...“.

გულნარა სტურუა.

დაგალება 2

ტექსტისა და წყაროების (4;5;6) მიხედვით იმსჯელე, თუ რამდენად ასახავს სუფრასთან დაკავშირებული ტრადიციები „ქართველთა ზნეობას“ და უცხო გარემოში ჩამოყალიბებული ჩვეულებების გავლენას ჩვენს ყოფასა და კულტურაზე.

დამოუკიდებელი სამუშაო

მოიძიე ცნობები რომელიმე სახალხო დღესასწაულის შესახებ და იმსჯელე თუ რამდენად ასახავს ის ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის კულტურას, ისტორიულ თავგადასაყალს.

განმარტებები:

ვეგეტაცია — მცენარეების სასიცოცხლო მოქმედება, მისი ზრდის პროცესი.

ვეგეტაციური — ვეგეტაციასთან დაკავშირებული.

პრერია — ვრცელი ველები ჩრდილოეთ ამერიკაში.

ისინიდი — 120-150 სანტიმეტრის სიგრძის შუბი, რომელსაც წვერზე წამოცმული აქვს დამცავი ჩაჩი.

ტოლუმბაში — იგივე თამადა (თურქულიდან სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ტიკის უფროსი“).

§4. პალეომეტრაზოა

წყარო 1

„წერის ხელოვნებას ქართულად დამწერლობა ქოდება და ამიტომ ამ ძველ ქართულ ტერმინზე დამყარებული დამწერლობათმცოდნეობა მნიშვნელობით კვრიპულ მეცნიერებაში მიღებულ პალეოგრაფიას უდრის. დამწერლობათმცოდნეობის მიზანსა და დანიშნულებას წერილობით ძეგლების გარეგანი, ნივთიერი მხარის შესწავლა შეადგენს: მათი საწერი მასალისა და ასოთა მოხაზულობის გამოკვლევა, ნაწერის წაკითხვა და დაფასება-განსაზღვრა აქვს ნაკისრები. რადგან წერილობით ძეგლები ხშირად დაზიანებული და უთარიღოა ხოლმე, პალეოგრაფიას ამგარი ძეგლების ქრონოლოგიურად განსაზღვრა და დათარიღებაც უხდება“.

ფ. ჯაფარიშვილი.

წყარო 2

„პალეოგრაფია სწავლობს წერის ხელოვნებასთან, დამწერლობით კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს: ანდანის წარმოშობას, ასოთა მოხაზულობის ისტორიულ ცვალებადობას, ნაწერის ესთეტიკურ მხარეს, ტექსტის დანაწერების აღმნიშვნელ სასვენ ნიშნებს, საწერ მასალასა და იარაღებს, ნაწერებისა და ხელნაწერი ძეგლების რაობას, მათ ქრონოლოგიას, შექმნის აღვილს, ისტორიულ გარემოს და სხვ.“.

კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე.

დაგალება 1

1. წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით იმსჯელე პალეოგრაფიის კვლევის საგანზე.

2. იმსჯელე წარსულის შესწავლის საქმეში პალეოგრაფიის მნიშვნელობაზე.